

# განათლება

[წალიწალი იანთი]

№ 4-5

პირილი ლ მაისი

1917 წ.

№ 4-5

## ფიზიკური აღზრდის მნიშვნელობა

(გადმოკეთებული)

ამ ემად ყველგან სამართლიანად უჩივიან, რომ სასწავლებლებში საზოგადოათ სხეულისა და სულის განვითარების ურთიერთობას მცირე ყურადღებას აქცევენ; სკოლებში მეტს მნიშვნელობას ანიჭებენ განვითარებას, მოწაფეთათვის ა თუ იმ ცოდნის გადაცემას აძლევენ სხეულის განვითარება და გამაგრება თათქმის სრულიად მივიწყებულია. ამის გამო საკვირველიც არ არის, რომ სხეული უძლურდება, მასთან სულიც უსუსტდება და სიცოცხლის ძალაც თანდათან ჰკრება.

რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს სხეულის ვარჯიშობას აღზრდაში, უნდა გამოვარკვიოთ რით სიტყვა «აღზრდის» მნიშვნელობა.

და ნიშნავს საზოგადოათ განვითარებას, სრულყოფამდის მიღწევას. რადგაც აღზრდის საგანი ადამიანია, არსება, რომელსაც ძეული მეცნიერები ჰყოფდნენ ულად და სხეულად, იბადება საკითხი, რა უნდა შეადგენდეს აღზრდისა და გან-

ვითარების საგანს, მარტო სული, თუ მასთან ერთად სხეულსაც უფლება აქვს განვითარებისა? ჩვენ რომ საშუალო საუკუნოებში გვეცხოვრა, ბერების ცხოვრება და მათი მისტიური შეხედულობა ერთად ერთ საშუალებად უნდა დაგვესახა ჭეშმარიტ ბედნიერების მისაღწევად, მაშინ ვიტყოდით, რომ განვითარება ადამიანის მარტო სულიერ მხარეს უნდაო. მაგრამ ჩვენ ხალსა და რეალურ დროში ყველამ იცის, რომ ჭეშმარიტი ცხოვრება არა პასიურს ცქერაში, არამედ ნაყოფიერს მუშაობაში გამოიხატება და ამისთვის კი უსაკიროესია სალი, განვითარებული სხეული. ამით იმის თქმა კი არ გვინდა, თითქოს ჯანსაღობა აღზრდის უკანასკნელი მიზანი იყვეს; მიზანი, როგორც ვსთქვით, არის შეძლებისდაგვარად მწალი სრულყოფა მთელი ადამიანისა. მაგრამ ადამიანის განვითარების თვით უპირველეს საფეხურსაც კი ვერ მივადწევთ, თუ იგი იმავე დროს თავის ჯანსაღობაზე უგონოა. მაშასადამე

როგორც სულის, ისე სხეულის სიმთე-  
ლევს აუცილებელი პირობაა წესიერი და  
კარგი აღზრდისა. *Mens sana in corpore  
sano* (სალ სხეულში სალი სულიაო) ამ-  
ბობს კარგად ცნობილი ძველი ბრძნული  
თქმულება. და ეს სრული ჭეშმარიტებაა.  
არ არის არც ერთი სულით ავადმყოფი,  
რომ იგი იმავე დროს სხეულითაც უძ-  
ლური არ იყვეს ე. ი. არ ჰქონდეს სხე-  
ული ტვინი: სულის ავადმყოფობა სხე-  
ულის გარეშე წარმოუდგენელიც არის.

მაშასადამე სხეულსაც ისეთივე მნიშ-  
ვლობა ჰქონია, როგორც სულს და  
რომ ისეთსავე ზრუნვასა და განვითარ-  
ებას თხოულობს იგი, როგორც სული.  
ამიტომაც ადამიანი საჭიროებს როგორც  
სულის, ისე სხეულის აღზრდასაც, ურომ-  
ლისოდა იგი ვერაოდეს ვერ მიაღწევს  
მისთვის შესაძლებელ სისრულეს. სული  
და სხეული ცოცხალ ადამიანში შეერ-  
თებულია ერთ განუყოფელ მთლიანად  
ისე, რომ არ არის არც ერთი სულის  
განყენებული მუშაობა, ადამიანის მთელს  
სიცოცხლეში არ არის ისეთი სულის  
მდგომარეობა, რომელსაც იმავე დროს  
თან არ მიჰყვებოდეს სხეულის მუშაობა  
და მისი მდგომარეობა. ავიღოთ მაგალი-  
თად ადამიანის ზნეობა, რომელიც მრავ-  
ალი ფილოსოფოსის, ფსიხოლოგის და  
პედაგოგის აზრით, ეკუთვნის სულის  
სფეროს: განა იგი სხეულის მდგომარეო-  
ბით არ ჰხდება სათუოდ? მართალია  
ზნეობა ნებაზეა დამყარებული, ნება კი  
დამოკიდებულია იმაზე თუ რაგვარი შე-  
ხედულება გვაქვს ამა თუ საგანზე. მაგ-  
რამ ყველაზე უფრო სწორი შეხედულო-  
ბა და განზრახვა გვაძლევს ჩვენ მხო-  
ლოდ საქციელის კარგ თეორიებს, თა-  
ვისთავად ისინი ჯერ კიდევ არ ჰქმნიან  
ნამდვილ ზნეობრივსა და კეთილ ადა-

მიანს, რადგანაც იგი მშვენიერი შეხე-  
დულობისა და საუკეთესო განზრახვისაც  
რომ იყვეს, შეიძლება მხოლოდ ზნეო-  
ბრივი ყბელიც გახლდესთ. ასეთი ადა-  
მიანი აუარებელია: კეთილ განზრახვაში  
მათ ნაკლი არ აქვთ, მაგრამ საქმით რის-  
მე განხორციელება კი არ ძალუძთ. გან-  
ზრახვათა საქმედ ქცევას ენერგია უნდა,  
ენერგიის გამოჩენას კი—ფიზიკური ძალა;  
მაშასადამე სხეულს ძალაც უნდა შესწევ-  
დეს და მხოლოდ მაშინ ადვილად დაგვე-  
მორჩილება იგი. სხეულის საშუალებით  
ვღებულობთ ყოველგვარ შეგრძობას,  
რომლითგანაც ჩნდებიან წარმოდგენანი  
და ცნებანი. თუ რა პასუხს მისცემს ჩვე-  
ნი ნერვების სისტემა ყოველგვარს გა-  
ღიზიანებას, იმაზეა დამოკიდებული შე-  
გრძობათა ცვლილებაც და მასთან წარ-  
მოდგენათა და ცნებათა ცვლილებანიც,  
რომლიდანაც ვითარდება ჩვენი პიროვ-  
ნებითი შეხედულება ამა თუ იმ საგანზე.  
ერთი სიტყვით ჩვენი ზნეობრივი სიმრ-  
თელე და სულის ძალა ხშირად ჩვენი  
სხეულის სისაღისა და ძალის შედეგია,—  
ჩვენი ზნეობრივი და გონებრივი ავად-  
მყოფობა ძლიერ ხშირად ჩვენი სხეულის  
სისუსტის შედეგია. მამაკაცში სულის  
სიმტკიცე და შეურყევლობა ცხოვრების  
ყოველგვარ შემთხვევაში, სიმართლისა-  
თვის ბრძოლა, თავის განწირვა, ცოტად  
თუ ბევრად, მისი ფიზიკური სიმართელი-  
სა და ძალის შედეგია. მართალია, ცხოვ-  
რებაში შეგვხვდება სხეულით სუსტი;  
ავადმყოფი და სულით ძლიერი ადამიან-  
ები, მაგრამ ისინი გამონაკლისს შე-  
დგენენ. როცა ასეთი ადამიანების საქ-  
ციელს უკვირდებით, გვიკვირს კიდევ და  
ვამბობთ: „საიდან არ ... ნების ძა-  
ლა, თავშეკავება, ენერგია და სულის  
სიმტკიცე“ და ამ გაოცებით ჩვენ შეგნე-

ბაში ისახება, რომ ჩვეულებრივად ეს მოულოდნელია. იშვიათად შეხვედებით ფიზიკურად ნაზსა და გრძნობიერობით განებივრებულს ადამიანს, რომ გაჭირვების დროს თავი შეიკავოს, სულის სიმტკიცე გამოიჩინოს. სწორედ ძლიერ ხშირად ამ თვისებებზეა დამოკიდებული პატიოსნება, გაწრთენილობა, ბეჯითობა და ხშირად ადამიანის ყოველგვარი ღირსება საზოგადოებაში. მაშასადამე საკმარისი არ არის ადამიანს შევავანებინოთ რა არის კარგი და რა ცუდი, არ კმარა არც მტკიცე რწმენის ჩაგონება, საჭიროა ძალის მიცემა, რომ კარგი შეასრულოს, ცუდი დაჰგმოს, ეს კი სხეულის ძალაზეა დამოკიდებული. ჩვენში ხშირად გაიგონებთ ლაპარაკს ამა თუ იმ უზნებობაზე, სკოლებში სწავლების უნაყოფობაზე, მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლები ბევრსაც სცდილობენ, ახალ ახალ მეთოდებსაც მიჰმართავენ ხოლმე; ეს საჩივარი ერთის მხრით მართალიცა, მაგრამ იმავე დროს ტყუილ უბრალოც: ჩვენ მტკიცე ხასიათისა და შეურყიველი ზნეობის თაობას იერ აღვზდით, ვიდრე საკმაო ყურადღება არ ექნება მიქცეული სხეულის გამაგრებასა და განვითარებას, ფიზიკურს აღზრდას.

როგორც სულის აღზრდის პრინციპებია დამყარებული ადამიანის სულის ბუნებისაგან გამომდინარე კანონებზე, ავრეთვე სხეულის აღზრდის პრინციპებიც სხეულის ცხოვრების კანონზე უნდა იყოს დამყარებული. ფიზიოლოგიურის კანონებით სხეულის სიმრთელისა და განვითარებისათვის საჭიროა: ა) წესიერი საზრდოობა, ბ) ჰაერის შესაფერო ტანსაცმელი, გ) მუდმივ სისუფთავეს დეჰა, დ) სუფთა ჰაერით სუნთქვა, და ე) ყოველ მხრივი მოძრაობა (ე. ი. ძალიან შე-

საფერი ვარჯიშობა სხეულის ნაწილებსა), რომელსაც თავის დროზე მოჰყვება დასვენება. ამ ჩამოთვლილ პირობებში ფიზიკური ჯანსაღობისათვის—კარგი ტანისამოსი, სისუფთავე, სუფთა და ნაზი ჰაერი, ცხადია, არსებითად საჭიროა, რომ ადამიანის პირადი ჯანის სიმრთელე და ცუდი იქმნას, მაგრამ შემდეგ განვითარებისა და სხეულის გამაგრებისათვის მარტო ესენი არ კმარა, უმთავრესად კი წესიერი საზრდოობა და ყოველმხრივი მოქმედება საჭიროა. ამიტომ შეიძლება ვსთქვათ, რომ ფიზიკურ აღზრდას—სხეულის განვითარებას ორი დადებითი საშუალება აქვს: საზრდოობა და მოქმედება. პირველი საშუალება ყოველ შემთხვევაში სკოლის მასწავლებელთა გარეშეა, მშობლების ხელშია, რომლებიც ასაზრდოებენ თავიანთ შვილებს თავიანთი ცნებისა, შეძლებისა და გარემოებათა მიხედვით, ზოგი კარგად, ზოგიც—ცუდად. მაშასადამე, საზრდოობა რომ ყოფილიყო სხეულის განვითარების უმთავრესი საშუალება, მასწავლებლები ვერც ვერაფერს გახდებოდნენ ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესებაში, რადგანაც ეს საქმე მათი უფლების გარეშეა. მაგრამ და გვიჩვენებს, რომ ფიზიკური სიმრთელისათვის საყურადღებოა როგორც საქმლის არჩევა, ისე მათი მონელებაც სტომაქში. ახეული საუკეთესო ნოყიერ საქმლის დროსაც კი სუსტდება და უძლიერდება, თუ ადამიანი ჭამის დროს ზომას გადააჭარბებს და საკმაო დროს არ მისცემს საქმელს მონელებისათვის. ძროხის კუჭში თივა და ბალახი ისევე გარდაიქმნება ხორცად და სისხლად, როგორც ხორცი კატისა და მგლის კუჭში. მაგრამ რადგანაც ზოგ საქმელს სხეულიც მეტსა თხოულობს და მონელებისთვისაც ძლი-

ერი ორგანოა საჭირო, ამიტომ ცხოველებს, რომლებიც უმეტესად ერთგვარი საზრდოთი იკვებებიან, ბუნებამ, საქმლის კვალობაზე, სხვა და სხვანაირი კუჭიც მისცა. ადამიანში, რომელიც სხვა და სხვაგვარ საქმლით საზრდოობს, ასეთი განსხვავება არ არის. გამოცდილებაც გვიჩვენებს, რომ ადამიანს ცხოვრება შეუძლია თითქმის ყოველგვარ საქმლით. მაგალითად შეხვდებით აწარებელ ხალხს, რომელიც განსაკუთრებით მცენარეულობით საზრდოობს, რაც არც ისეთი ნოყიერია, როგორც ხორცეულობა, მაგრამ ეს ხალხი სხვებზე უფრო სუსტი და უძლური არ არის. ჩვენი გლეხის მთავარ საზრდოს მქადი, ლობიო, პური და სხვა და სხვა მხალეულობა შეადგენს, რუსის გლეხი პურით, ხახვითა და კომბოსტოთი იკვებება, მაგრამ ისინი ნაკლებ ღონიერი და ჯანსაღნი არ არიან, ვიდრე კაბინეტში მომუშავე მეცნიერი, რომლის საზრდოსაც შიადგენენ უნოყიერესი ნივთიერებანი - ხორცი, კვერცხი, რძე და სხვა. ამით რომ თავიანთი საქმელი გაცვალონ, გლეხი უიქველია მშვიერი დარჩება და მეცნიერს კი კუჭი მოეშლება. მაშასადამე გლეხს საქმლის მომწელებელი ორანოები უფრო მაგარი აქვს, ვიდრე მეცნიერს. რით აიხსნება ეს? რასაკვირვლია ფიზიკური შრომით. ამას ფიზიოლოგიაც ამტკიცებს. ადამიანის მთელს სიცოცხლეში ხდება განუწყვეტელი მუდმივი ცვლა ნივთიერებათა, რომელნიც ჰქმნიან ჩვენს სხეულს ისე, რომ რამდენისამე ხნის შემდეგ სხეული სრულიად ახლდება. ეს ნივთიერებათა ცვლა განსაზღვრული კანონის საშუალებით სწარმოებს, ერთის მხრით მოძრაობისა და ყოველგვარ მოქმედების საშუალებით, მეორე მხრით საზრდოობის, სუნთქვისა

და სისხლის ტრიალის შემწეობით, საკმაო დასვენებით, ძილით და სხვა ჯანმრთელობისათვის საჭირო პირობების დაცვით. რამდენადაც უფრო წესიერად სრულდება ეს სასიცოცხლო პროცესები, მით უფრო უკეთ სწარმოებს ნივთიერებათა შეცვლა და უკეთაც ვგრძნობთ თავს, რადგანაც სნეულება სხვა არა არის რა, გარდა ნივთიერებათა შეცვლის დარღვევისა. ორს ზემოთ ნაჩვენებ ერთი მეორის მოპირდაპირე ფაქტორებს შორის სხეულის ცხოვრების პროცესში არსებობს ისეთივე ურთიერთობა, როგორც სხეულის დარღვევა-განახლებაში და იმავე დროს მჭიდრო კავშირიც არის, როგორც მიზეზისა შედეგთან. სხეულის მოშლა, რაც ხდება მუდმივ მთელ სიცოცხლეში, არის პირდაპირი შედეგი სხვა და სხვა სახის მოძრაობისა და მოქმედებისა. სასიცოცხლო მოქმედების დანაკარგის ანაზღაურება ნაყოფია საზრდოობის, სუნთქვის, სისხლის ტრიალისა და მოსვენების. ყოველი მოქმედება თავის შესამაგრებლად თხოულობს რამდენსამე მასალას. ორთქლის მანქანამ რომ განაგრძოს მუშაობა აღნიშნულ დროს განმავლობაში, იგი მოითხოვს საკმაო შესას და როცა შეშა მთლად დაიწვება, მანქანის მოქმედებაც მაშინვე შეჩერდება. სწორედ ასეა ადამიანის ცხოვრებაშიაც და იმ მუშაობის გასამაგრებლად, რომელსაც ჩვენ „სიცოცხლე“ ვეძახით, საჭიროა საკმაო რაოდენობა საქმლისა, წყლისა და ჰაერისა და ყველა ამათ გამოლევას მოჰყვება სიცოცხლის მოქმედების შეჩერება, ანუ სიკვდილი: წარმოვადგინოთ მოქმედი მანქანა, რომელსაც დაუღალავი მუშა მუდამ უკეთებს ახალ-ახალ შესას, ვიდრე წინად შეკეთებული მთლად არ დაიწვის. ამ შემთხვევაში რა-

საკვირველია, მანქანა ძალის ცოტად თუ ბევრად ზოგჯერ შემცირებით მუდამ მუშაობაში იქნება. როცა ახლად შეკეთებული შეშა დაიწვის, მანქანის მუშაობის შესუსტებაც მაშინ მოხდება და როცა ხელახლად შეუკეთებენ შეშას და ცეცხლიც აგუზგუზდება, მანქანაც ახლის ძალითა და ენერგიით განაგრძობს მუშაობას: მანქანის მუშაობაშიაც იქნება ასე ვთქვათ თავისებური მოქცევა და უკუქცევა. ასეთივე მოქცევა და უკუქცევაა ჩვენი სხეულის მუშაობაშიაც. უკანასკნელის ინტენსივობა დრო გამოშვებით ხან სუსტია და ხან ძლიერი, — და ეს მერყეობა ხდება იმავე მიზეზის გამო, როგორც ორთქლის მანქანაში! განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ჩვენი სხეულის მუშაობა გაცილებით უფრო რთულია. თავდაპირველად ვიდრე საქმელი თავის დანიშნულებით ორთქლის მანქანის შეშას დაემსგავსებოდეს, იგი განიცდის ხანგრძლივს დამუშავებას, მრავალ გვარს ცვლილებას: იქცევა ჯერ საქმლის ფაფად, შემდეგ რძის მაგვარ სითხედ, სისხლად, ბოლოს ვიდრე გადიქცეოდეს ჩვენი სხეულის შემადგენელ ნაწილად, იგი გარდიქმნება ისეთ მასალად, რომელიც ხელს შეუწყობს სიცოცხლის მოქმედებას ე. ი. სხეულში მიიღებს ისეთს დანიშნულებას, როგორც ორთქლის მანქანაში შეშასა აქვს. ვიდრე ეს შეშა არ დამწვარა, სიცოცხლის მოქმედებასაც ძალა და ენერგია ეტყობა, სხეულიც მხნეობას იჩენს, მაგრამ რაკი საწვავი მასალა შეცოტავდება ე. ი. ქიმიურად შეიცვლება და არ შეეძლება წინანდელის ენერგიით განაგრძოს თავისი მოქმედება, მხნეობაც ჰკარგება, დაღლილობა იჩენს თავს და ამ დაღლილობას ძილი მოჰყვება. ამავე დროსაც საქმლის გადამუშავე-

ბა, რომლის საშუალებითაც მიღებული საქმელი სისხლად და ხორცად იქცევა, თავის გზით მიდის. მაშასადამე რადგანაც ძილის დროს ძალა არ იხარჯება, ან ძლიერ მცირე იხარჯება, ცხადია, რომ ძილის დრო ყველაზე უფრო უწყობს ხელს ჩვენი სხეულის განახლებას. ჩვენი სხეულის სხვა და სხვა ორგანოების ამა თუ იმ ქსოვილების განახლება ხდება მოქმედების ცოტად თუ ბევრად შეჩერების დროსაც. ცხადია, როგორც დასვენება, აგრეთვე ძილიც უნდა ეფარდებოდეს წინანდელს დახარჯულს ძალას: რამდენადაც გაძლიერებული იყო მუშაობა — სულ ერთია ფიზიკური იქნება თუ გონებრივი, მით მეტი დრო უნდა ძალის კვლავ აღდგენას და პირაქეთ.

ზშირი დაკვირვება და გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ წესიერი, ყოველმხრივი ფიზიკური მუშაობა აძლიერებს გულის ფილტვებისა და საქმლის მომწელებელი ორგანოების მუშაობას. ამით ძლიერდება ამ ორგანოების მოქმედებაც: სისხლის მიმოქცევა ძარღვებში, სუნთქვა და საქმლის მოწელება. ყველამ გამოცდილებით ვიცით, რომ რამდენიმე ძლიერი მოძრაობის შემდეგ, სუნთქვაც და გულისცემაც განშირებული გვაქვს და საქმლის შიდაც უფრო გვიჩნდება. კუნთებსაც, რომელთაც მოძრაობაში მოჰყავთ ძელები და კანატილები, რომლებზედაც ისინი მიკრულნი არიან, დიდი გავლენა აქვთ მათს საზრდობაზე და ფორმაზე. ეს ქსოვილები მკვრივდებიან და მაგრდებიან და მათ ქვემო არსებული ღრუ (მაგ. გულმკერდის ღრუ) ფართოვდება. ამის მიხედვით ანატომებს ჩონჩხზე შეუძლიათ გამოიკვლიონ იმ ადამიანს, ვისაც ეს ჩონჩხი ეკუთვნის, სხეულის ვარჯიშობა ჰქონია თუ არა. თუ ნების მოქმედება რომელ-

სამე ნერვებზე და კუნთებზე, ტვინის და-  
ნარჩენი მოქმედება (მუშაობა გონებისა  
და გრძნობისა) შეწყვეტილია, — მაშინ  
ტვინი დამწვიდებულია და ისვენებს. ამი-  
ტომაც მოძრაობის დროს, განსაკუთრე-  
ბით გიმნასტიკურ ვარჯიშობის დროს,  
გულამღვრეულობა და მძიმე სულიერი  
შეგრძობანი ძლიერ ხშირად სრულიად  
ჰქრებიან.

ბოლოს, მაშინვე მოძრაობის შემდეგ,  
როცა სხეული ისვენებს, ორგანიზმში  
შემდეგი ცვლილება ჰხდება: ა) მოძრაო-  
ბისა და მოქმედების დროს ნერვებისა და  
კუნთების დახარჯული ნაწილები დაიწვის  
სისხლში და შორდება სხეულს სხვა და  
სხვა სახით; დაწვის დროს ჩნდება ცხო-  
ველის სითბო, ამიტომ საზოგადოთ მო-  
ძრაობა ათბობს და ხელს უწყობს. სხეუ-  
ლის ურგებ ნაწილთა მოშორებას; ბ)  
სისხლის მიქცევა მომქმედ ორგანოების-  
კენ ხშირდება; კუნთები იბერება, რად-  
განაც მათს ქსოვილებში შედის ახალი  
მასაზრდოვებელი სითხე, რის გამოც ჩნდე-  
ბა კუნთისა და ნერვის ახალი ნივთიერე-  
ბა და მასთან კუნთებიც უფრო მაგარა  
და მოქნილი ჰხდება.

ამ შოკლა განმარტებიდან სჩანს, რომ  
სხეული ჯანმრთელობისათვის საჭიროებს  
როგორც მოძრაობას, აგრეთვე დასვენე-  
ბასაც და როგორც მუშაობა, ისე მოს-  
ვენებაც ზომიერად უნდა სწარმოებდეს,  
რომ ხელი არ შეუშალოს ნივთიერებათა  
შეცვლას; სხეული მოძრაობით, მუშაო-  
ბითა და მოქმედებით მაგრდება და მეტს  
სიმარდეს იძენს, მაგრამ მხოლოდ იმ  
შემთხვევაში, თუ ეს მოძრაობა ერთობ  
ძლიერი და ხანგრძლივი არ არის, ხან-  
გრძლივი მოძრაობა უფრო ასუსტებს  
სხეულს, მაგრამ მოძრაობა არც ძლიერ  
სუსტი უნდა იყოს, რადგანაც ასეთ შემ-

თხვევაში იგი საკმაოდ ხელს ვერ შეუ-  
წყობს სხეულის ძველ ურგებ ნაწილების  
მოშორებას.

შემდეგ ნათქვამიდან სჩანს კიდევ, რომ  
სხეულის ყველა ნაწილებს სჭირია ზომი-  
ერი მოძრაობა, სხვანაირად შეიძლება  
ერთი ნაწილი უკეთ განვითარდეს და  
მეორე კი არა. ბოლოს მოძრაობა არამც  
თუ გამეორებული უნდა იქმნას წესიე-  
რად, არამედ გაძლიერებულიც იმის მი-  
ხედვით თუ როგორ გამაგრდება და გა-  
ძლიერდება თვითონ სხეული: მხოლოდ  
ძალისებრივს ვარჯიშობას შეუძლია გან-  
ვითარება. ეს კემშარიტებაა როგორც  
ფიზიკურის, ისე გონებრივი მუშაობის  
დროსაც.

ამ სახით სხეულის ყოველმხრივი მოქ-  
მედება უმთავრესი საშუალებაა ადამიან-  
ის ფიზიკურად განვითარებისათვის და  
სკოლისთვისაც იგი ჯანის სიმრთელის  
ერთად ერთი საშუალებაა.

ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ არც  
ერთი უმიზნო მოძრაობა, რასაც ვხე-  
დავთ უსაქმო ადამიანებში, არც სხვა და  
სხვაგვარ მუშაობა ხელოვნობის დროს  
ხელს ვერ უწყობენ ყოველმხრივს წე-  
სიერს ფიზიკურს განვითარებას: პირველი,  
როგორც ცხოვრების უნებლიეთი მოვლე-  
ნა, ვერ აყენებს სხეულს მუდმივს მოქმე-  
დებაში; უკანასკნელი კი ძალას ატანს  
მხოლოდ სხეულის რომელსამე ნაწილს  
სხვების საზიანოდ, რომლებიც უსაქმოდ  
რჩებიან. ამიტომ განათლებულმა ადა-  
მიანმა თავისი სხეულის გასამაგრებლად  
და გასავითარებლად მოიგონა და გამო-  
იყენა ერთგვარი ვარჯიშობანი, რადგან-  
ნაც ხედავდა, რომ ჩვენი ჩვეულებრივის  
მუშაობით სხეულის სიმრთელეს ვერ ვაღ-  
წევდით. ეს განსაკუთრებული ვარჯიშო-  
ბა ნასესხებია ზოგი პრაქტიკულის ცხოვ-

რებიდან, ზოგიც მოძრაობიდან თავის-თავად გამომდინარეობს. ამ სახით ცოტ-ცოტათი გაჩნდა მთელი რიგი სისტემა-ტიურის მოძრაობისა და ვარჯიშობათა, რომელთაც გიმნასტიკას უწოდებენ.

რადგანაც სკოლაში ბავშვები მომეტე-ზულად სხედან გაკვეთილების დროს, მათთვის გიმნასტიკას და საზოგადოთ ფი-ზიკურ ვარჯიშობას დიდი მნიშვნელობა აქვს: გიმნასტიკის დროს მოწაფეები და-დიან, მოძრაობენ, გიმნასტიკა აძლიე-რებს სუნთქვას და სისხლის მოძრაობას, ხელს უწყობს სხეულში სისხლის წესი-ერად განაწილებას, გამოიწვევს სისხლს ტვინიდან და მუცლიდან, სადაც გროვ-დება ჯდომის დროს. გიმნასტიკის დამა-ტებას - შეადგენს სასკოლო თამაშობა, რომელიც საუკეთესო საშუალებაა იმ-გულგრილობისა და აპათიის წინააღმდეგ, რომელიც იპყრობს ხოლმე მოწაფეებს ხშირად სწავლის დროს. გიმნასტიკა მხო-ლოდ მიმბაძველობითი მოქმედებაა, რომელიც ძალასა და სიმარდეს მოითხოვს, თამაშობა კი დამოუკიდებელი შემოქმე-დებითი მუშაობაა, რომელიც ავარჯი-შებს არა მარტო სხეულს, არამედ სულის ნიქსაც. მინდორში და ტყეში გასეირნე-ბა, ბანაობა, ცხენოსნობა, ნავით ცურა-ობა და სხვა სიამოვნება არსებითს სამ-სახურს უწყევს ბავშვების ფიზიკურად აღ-ზრდას.

მოძრაობა მოქმედებასთან განუწყვეტ-ლივ დაკავშირებულია სუფთა ჰაერის ჩა-სუნთქვა და სხეულის სასუფთავე. პირ-ველი უმეოროდ წარმოუდგენელია. შე-ხუთულ ჰაერიან ოთახში უძრავად ჯდომა კიდევ შეიძლება, მაგრამ მოძრაობა კი—

არა. მაშასადამე ყველა სკოლაში წესი-ერი მოძრაობისა და ფიზიკური სავარჯი-შობების შემოღებასთან ერთად სუფთა ჰაერის მოთხოვნილება ცდილათ საგრძნო-ბელი იქნება და უსათუოდ საკმაო ყუ-რადღებაც უნდა მიექცეს ჰაერის განა-ვებას, ვენტილაციას. იგივე უნდა ვსთქვათ სხეულის სისუფთავის შესახებაც. უეჭვე-ლია, რომ გლეხები და ყველა, ვინც ფიზიკურ მუშაობას მისდევს, ხშირად უნდა დადიოდნენ აბანოში. ეს იმიტომ, რომ გაძლიერებული ფიზიკური მუშაო-ბის გამო, რასაც ისინი მისდევენ, მათი სხეულის ოფლი და აორთქვლა იმდენად დიდია და იმდენად უსიამოვნო, რომ ამ ქუჭკის მოუშორებლობა ყოველად შეუ-ძლებელია და მავნებელი. მაშასადამე გა-ძლიერებულ ფიზიკურ მუშაობას შედე-გად უნდა მოჰყვეს სუფთა ჰაერზე და სხეულის სისუფთავეზე ზრუნვა.

სამწუხაროდ ჩვენი სოფელი ამ მხრით მეტად უნუგეშო სურათს წარმოადგენს. განათლებულს ქვეყნებში იშვიათად იპო-ვით ისეთს სოფელს, სადაც სხვა საერთო საზოგადო კულტურულ დაწესებულებას-თან ერთად სოფლის აბანოებიც არ იყვეს კარგად მოწყობილი. ამიტომ საზოგადო-ინტერესი მოითხოვს, რომ ჩვენშიც სო-ფლად თუ კერძო პირის მიერ არა, შე-ერთებულის ღონისძიებით მაინც მოეწყ-ყოს აბანოებიც. შეგნებულს სოფლის მასწავლებელს ბევრი შეუძლია გააკეთოს ამ დარგშიაც და მისი მოვალეობაა ჩა-გონოს ხალხს თუ რაგვარ აუცილებელ-საჭიროებას შეადგენს სოფლადაც აბა-ნოების მოწყობა.

# აკაკის ლირიკა

(გავრძელება \*)

რა ასაზრდოებდა პოეტის გულში იმედს საუკეთესო მომავლისას?—დიდებული წარსული ქართველი ერისა, რომლის ისტორიაში მრავლად ჰპოვებდა ეროვნულ სიმტკიცის მომხიბლავ მაგალითებს... პოეტი საქართველოს წარსულს თავისებურად აღამაზებდა და აკოპწიავებდა,—და ამის მეოხებით ჰქმნიდა იმ წყაროს, რომელიც ასაზრდოებდა მის იმედს... აკაკი ეთაყუანებოდა ჩვენი წარსულის კარგს მხარეებს, ყოველივეს და ყველაფერს წარსულის იდეალიზაციის თვლით უცჭვროდა... ის იყო მგოსანი საქარველოს წარსულის ესთეტიური მხრისა... ამ მიზნით ის წარსულში ისეთს სურათებს ეძიებდა, რომელნიც ასაზრდოებდნენ წარსულის უნაკლულოდ, იდეალურად წარმოდგენას, სიცოცხლის ძალას აძლევდნენ მის იმედს. მომავლის იმედი განსაკუთრებული პოეტური სიძლიერით და მომხიბლავ სილამაზით აკაკიმ გვიანდერძა... მისი ამირანი, ეს გმირთ გმირი, გასწყვეტს ჯაჭვსა. მას სიხარულად შეეცვლება დიდიხნის გასაქირი... ბევრს ეგონა საქართველო მოკვდაო,—ქართველები გადაშენების გზას დაადგაო, მას მომავლის იმედი აღარ უნდა ჰქონდესო. მაგრამ აკაკი, რომელიც თვის სამშობლოს მაჯის ჯემას უსინჯავდა და მის გულის ძვერას მოი-

სმენდა, გამამხნევებელ სიტყვებით ამბობს:

„არ მომკვდარა! მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს!“

რომ მართლა სამშობლომ გამოიღვიძოს და წარმატების გზას დაადგეს, მის შვილთათვის აუცილებლად საჭიროა ზნეობრივი დირეჟუჟებაანი, რომელთ მეოხებით საზოგადოების თითოეული წევრი მოვალედ ჩათვლის თავის თავს ზიარეყოს მუშაობას სამშობლოს საკეთილდღეოდ, შვიტანოს თვისი წვლილი მამულის კეთილდღეობის სალაროში... ქართველ საზოგადოების ზნეობრივ აღსაზრდელად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აკაკის სტიქას, რომელიც შოლტს სცემდა არა მხოლოდ გადაგვარებას, არამედ საზოგადოების სხვა ნაკლთაც: აზრის დაქსაქსულობას, გაუტანლობას, უშინაარსო პატივმოყვარეობას.

ცალიერი სიტყვები იქნება: „სამშობლოს აღორძინება“, „საუკეთესო მერმისი“, თუ ქართველ ერის უმრავლესობა—გაღებობა დაჩაგრული იქნება. ქართველების ბურჯად—მის ქვაკუთხედად გლახკაცობა ითვლება. ის აძლევს ერს მუშას, ამრავლებს ქალაქის და დაბების მცხოვრებლებს, იცავს სამშობლო ენას, ეროვნულ ძველ ადათებს, გადმოცემებს, სიმღერებს, ანდაზებს და სხვა... მშრომელ



გლენჯაკობას გაღვიძება, წელში გამართვა და გააღამიანება — თითოეული ქართველის უაღრეს და უუწმინდეს მოვალეობას უნდა შეადგენდეს... აკაკი ჯერ კიდევ რუსეთში ყოფნის დროს ერთს ლექსს: „მოგონება“ — ში წარმოადგენს ახალგაზრდა მოღვაწე ქართველს, რომელიც ებრძვის ცხოვრების უსამართლობას, ჰკიცხავს და გმობს ბატონ-ყმობას:

„ჰა წარმომიდგა თვალიწინ ჭაბუკი,  
გაჭირვებისგან რომ ცრემლსა ღვრიდა,  
მაგრამ მტკიცე და ჰატიოხსანი  
უფერასებისწინ თავს არ იხრიდა.  
პირმოთნეობით ის დანაგრული  
არავის სთხოვდა თვის წარმატებას  
და, სიძარღვისთვის თავგანწირული,  
ადიარებდა ტეშმარტებას“.

ეს ახალგაზრდა ქაბუკი, რომელიც, ექვ გარეშე, თვით პოეტია, შეებრძოლა უსამართლობას, უპირობას, სულის მდაბლობას...

შეიტყუეთ გლენჯი თქვენი ძმა არი და რას ისმენდა ნაცვლად სწყალები?

— „ჩუ, თორემ ცხვირში წაგსკდება ძმარი“.

დანაგრულ გლეხებს ეფერებოდა,  
დიდკაცებს გმობდა ზირუთუნვლად,  
მისთვის მას ეველა ემტერებოდა,  
ეველას მიანნდა სისინდარ გველად...  
ბოლქს სიმშვილით გახდა ის ავად,  
მისი დაცემით ეველამ იხსარა;  
მოკვდა სობრალე ტუკითხვად  
და სუეკუნოდ მიწამ დაფარა...  
კურთხეულმც იყოს ამ გვარი შვილი!  
და ამას ამბობს ეს ჩემი ქნარი:  
ვინცა სამშობლოს უყო კუთილი,  
ჩვენი მამაცა მხოლოდ ის არი!“

აკაკის ლექსში: „გლენჯის აღსარება“ — ერთი გლენჯი გულის ნაღვლით ეუბნება თავის ბატონს:

„ზირუტევივით მიმჩნებ, მიფლობ და არ გეცოდება. შენ... სუქლები... შე ოფლად ვარ დამდნარი... მაგრამ შენ რას დამეძებ, შენ ნატყრა ეს არი! „ნეტავ ვინ გასწორა ერთდა მთა და ბარი?“ ახლა რადაა სწუხარ, ახლა დროს რომ მოკლები? რად არ შეტყვი: „ძმები ვართ: მადი, მამხვიე ხელი?“

ეს ლექსი აკაკიმ დასწერა მაშინ, როდესაც ბატონყმობა ჯერ გადავარდნილი არ იყო. სწერდა ასეთს ლექსებს თავადი წერეთელი, დიდმებატონე წერეთლების ჩამომავალი. დანარჩენი თავადები ნათლად დანახავდნენ, რომ აკაკი წერეთელი ბატონურ სულისკვეთებით კი არ იყო გამსჭვალული, არამედ მთელი თავის არსებით, კალმით და პოეტურ აღმადრენით მოშორებულ ხალხს უქერდა მხარსა, მას ეკუთვნოდა. არა ნაკლებ შესანიშნავია ლექსი: „გავლესთ, ძმებო ნამგაღი!“... დაწერილია ისეთი ადამიანისგან, რომლის სულიერი განწყობილება ქვეყნის ხსნას, — შრომაში ხედავს და სამშობლოს აღორძინების იმედს — მშრომელი ხალხის ფიზიკურ და სულიერ გაღონიერებაზე ამყარებს. თავისუფლების მოტრფილვე მგოსანი თავისუფლებას ჰიძნს უმღერის. მოისპო ბატონყმობა. გლენჯს მიენიჭა პირადი თავისუფლება... დაუბრუნდა წართმეული ადამიანობა... მგოსანი ამ გარემოებაში ხედავს გლენჯის საუკეთესო მომავლის სახსარს... გლენჯის დედა თავის „ნანა“ — ში ეუბნება შვილს:

„დიდი კაცის შვილს სკოლაში გვერდს მოუჭადებო.  
აბა, შენ იცი, ბეჭოჯან,  
როგორ ეცდებიო.  
ძველ ბატონიშვილს სწყალებაში ნუ ჩამომჩნებიო.“

„გლეხსა ნიჭი არა აქვსა“  
არ აფიქრებია!“

მგოსანს უხარია, რომ სწავლა-განათ-  
ლების ნიადაგზე ერთად ივლიან თავადის  
და გლეხის შვილები, — ისე რომ ერთმან-  
ერთს არ დაჩაგრავენ. ისიც კარგია, რომ  
ყმის შვილი ბატონის შვილთან ერთად  
ისწავლის... სწავლა გლეხის შვილს მის-  
ცემს შეგნებას, რომლის მეოხებით ამორ-  
დება ათასნაირ უკიდურესობას და უზომო-  
ებას, რომელიც თან სდევს თავისუფლე-  
ბის ძიებაში მხოლოდ შეუგნებელს და  
უმწვერვალესობამდის გატაცებულს მო-  
ქალაქეს. გლეხი თავის მდგომარეობის  
გაუმჯობესებას ისე უნდა ესწრაფებოდეს,  
რომ სხვა, თუნდ ნაბატონარი, არ დაჩა-  
გროს, მისი შიშიც ცოდვები ახლა. შურის  
ძიების ჩაგონებით არ გაიმეოროს... აკა-  
კი მორიგების მომხრეა, თანხმობის მოცი-  
ქულია ერის სხვა და სხვა წოდებათა  
შორის:

არას გიჯობსთ მორიგება!  
ნუ იქნება შეთხედი...  
შემოვიდეს თანსწორება,  
გაუბრწყინდეს ყველას ბედი.  
გლეხს... რაც ერგება, შეერგება,  
რაც არა და ტუფილა სცდება.  
თვისი შრომა, თვისი თფლი,  
მოიხმაროს იმან უნდა,  
და სხვასაც არ მიუაროს  
იმავე დროს ქვა და გუნდა.  
უნდა შვილი გამოზარდოს,  
რომ პირუტყვად აღარ იყოს  
და „ძმობასა“ და „ერთობას“,  
მაშინ მხოლოდ ხელი მიჭყოს.  
სწავლა არის მხოლოდ ერთი...  
ერთი მხოლოდ განათლება,  
რომ შექცდოს უოველ კაცსა!  
თანსწორად ამაღლება!“

სწავლა-განათლებით აღჭურვილი გლე-

ხის შვილი შეგნებით შევა შრომის სუფევაში,  
რომელიც წინასწარგრძნობით გვიჩვენა  
ღრმად-მსჯელმა ილიამ, ამ ქართველ ინ-  
ტელიგენციის სულის კვეთების და მი-  
სწრაფების გამოძახატველმა...

„და დაიშხვრევა იგი ბრკილი (შრო-  
მა რომ ტყვედ ჰყავს)

შემთერხებელი კაცთა ცხოვრების,  
და ახალ ნერგზე ახლად შობილი  
ესე ქვეყანა კვლავ აღუფრთხილებს.  
შრომის სუფევა მოვა მაშინა...  
მაშინ მამუკალო, შენც განკაცდები,  
წართმეულ ნიჭთა კვლავ მოიხრევი:  
სხვას ძირს არ დასწყევ, თვით ამაღლ-  
დები,

არც ვის ემთხვი და არც იმთხვი.

ორივე მგოსანი მოძღვარია—ერის  
შვილთა შორის სოლიდარობისა, ერთო-  
ბისა, შეთანხმებულად მოქმედებისა, მქა-  
დაგებელია სრული თანსწორებისა, რომ  
ერთმა მხარემ მეორე მხარე არ დაიმო-  
ნოს. აკაკის ეს თანხმობა, ერთსულობა  
და სოლიდარობა იმისთვის უფრო სურს,  
რომ უიმათოდ ქართველი ერი არ მოი-  
სპოს, მის ძეთ ერთმანერთი არ ამოი-  
ქამონ:

„ჩვენ წავალთ და სხვები მოვლენ!  
მათ დარჩებათ ჩვენი მხარე!  
მე სულ ამას დაგტოვადით  
და დღესაც მდის ცრემლი მწარე!“

აკაკის ის ანუგეშებს, რომ ქართველ  
მშრომელს ხალხს თან სდევს ზნეობითი  
სიწმინდე სულის და გულის სისპეტაკე...  
მშრომელი გლეხობა საქართველოში არ-  
სებითად მშვიდია, და სწავლა-განათლება  
მის ხასიათის მოსაწონ მხარეებს ერთი  
ათად აღამაღლებს... გლეხს კულტად  
გაუხდია შრომა და ჯათა, თვისი გუთა-  
ნი, სახნისი და ნაჰალი. აკაკის მუშა  
ამბობს:

„შიუვარს ზირწმინდა ნამგალი,  
 მისი უნაში ტრიალი...  
 თაგი მოუკვდეს ზოგიერთს,  
 რომ იტაცებენ სხვისსა...  
 საწყალ ხალხს ჯიბეს აჭრინს,  
 ურცხვად ივსებენ ჯიბეს.  
 ქარი ვარ, სხვას რომ მოვსტაცო?  
 რათ გავიშავო ზირი მე?!  
 გარს შემოვუვლე ჩემს გუთანს,  
 ჩემი სახნისის ჭირიმე.  
 რად დავაბნელო სიხარბით  
 სამიწე წუთის თვალები?!  
 ხერხსა, ხელჩრის, სატეხსა,  
 ნაჯახ-ცუღს ვენაცვალები!  
 რად ჩემი შრომის არ არის  
 სახლში არ შემიტანია.  
 ღმერთმა მამარას, რად ჩემი  
 ოფლით არ გამიბანია!“

დიდად სახარბიელოა თითოეული ერი-  
 სთვის ასეთი მემკვიდრეობით. გარდმოცე-  
 მული ტრფიალი შრომისადმი, ასეთი  
 კულტიშრომისა... შეიტანეთ ასეთს ხალ-  
 ხში სწავლა-ცოდნა უფრო პრაქტიკული,  
 პროფესიონალური, სამეურნეო, სატეხ-  
 ნიკო, და მაშინ ნახავთ, თუ ბოლო არ  
 მოეღება უთავბოლო ხეტიალს, ხშირად  
 თავის დამცირებას კაკარდისა, მენდლისა  
 და ხარისხისათვის, თუ მაშინ არ აღ-  
 ყვავდება ჩვენში ვაჭრობა და მრეწვე-  
 ლობა, მეურნეობა და ტეხნიკა, ეს ქვა-  
 კუთხედი ერის სამრეწველო განვითარე-  
 ბისა და კეთილდღეობისა... არ ვიტყვით  
 გაზვიადებით, და ის თვისებანი, რომელ-  
 ნიც აკაკიმ შეამჩნია ქართველ მუშაკს,  
 ნამდვილად იმექონებიან ჩვენი ერის არ-  
 სების შინაგან საკუჭნაოებში. მის შვილთ  
 წარსულში და ახლო აწმყოში თავი გაუ-  
 წირავთ სხვა ერთა კეთილდღეობისა და  
 ბედნიერებისათვის. თორნიკე ერისთავი  
 თვისი 12 ათასი ქართველ ჯარით, წა-

სული გაჭირვებულ ბერძენთა საშველად,  
 საუკეთესო მაგალითია ამ აზრის დასა-  
 მტკიცებლად... ამ მარგალიტ სიტყვებს  
 ამბობს გმირი თორნიკე ომის გათავების  
 შემდეგ:

„ . . . . . გაურჩევლად  
 ქართველი იყოს, გინდა სპარსელი,  
 გინდა ბერძენი, გინდა სომეხი,  
 სულ ერთიანად მოჰკიდეთ ხელი...  
 სიკვდილი ვეკლას ათანასწორებს,  
 თვისიანს, უცხოს, მტერს ჭ მოუვარეს!  
 ვეცადეთ ვეკლას და ნუ დაუკლებთ  
 დაჭრილებს მოვლას ჭ მკვდრებს სამარეს.  
 ნურგინ გაბედავს დატყვევებულებს  
 რომ მიაყენოს შეურაცხყოფა...  
 ვაჟაკს რომ ბედი სხვას დაამხნებს,  
 დასატანჯავად ისიც ეყოფა!“ ნუ და-  
 ვივიწყებთ, რომ ბერძენთა საშველად  
 სწორედ თორნიკეს ბრძოლაში „ხუთი  
 ათასი გამოერია ქართველიც მკვდარი“.  
 აკაკი სამართლიანად ითვლება სახალ-  
 ხო მგოსნად. აკაკიმ მიაგნო ერის სუ-  
 ლიერ განძს, მის მგრძობიარე სიმებს,  
 მის თავისებურებას, და ყოველივე ეს  
 ერს ამცნო საუცხოვო ლექსით. აკაკიმ  
 შეიგნო ქართველ ერის ენა, მისი ესთე-  
 ტიური გემოვნება, მისი ტემპერამენტი, ის  
 ელემენტები, რომელნიც ჰქმნიან ერს  
 ერთად და აძლევენ მას ეროვნულ პირა-  
 დობას. აკაკი შევიდა ამ პირადობის შუა-  
 გულს ტაძარში, შეიტყო მისი მაჯის  
 ცემა, „შევიდა მის წმიდათა-წმინდაში,  
 როგორც მოციქულთ კვერთხით ხელში  
 და თვალხილული, იქილამ-გამოიტანა  
 ნაციონალური ცეცხლი და მით გაათბო  
 ჩვენი გული. გვიყვარს აკაკი. ის ჩვენი  
 აკაკია, და ეს მიტომ; რომ ის თვით  
 ჩვენა ვართ, ყველა ერთად, მთელი ქარ-  
 თველობა. აკაკი ჩვენი განხორციელებუ-  
 ლი ესთეტიური გემოვნებაა, ჩვენი ზე-

ციური სენდისია\* (ნოე ჟორდანია, „თემი“ № 208).

აკაკი ხალხის ღვიძლი შვილია. მისი ნიჭი განვითარდა და გაღონიერდა იმ სიტყვიერ მასალის მეოხებით, რომელსაც იღებდა ხალხურ სიტყვიერებიდან, იმ დაუშრომელ ნაკადულიდან, რომელსაც ხალხური პოეზია ეწოდება. ქართულ ხალხს აქვს მდიდარი ხალხური პოეზია, რომელიც ხიბლავს მსმენელს როგორც შინაარსის, ისე გარეგან გამოხატულების მხრით. მდაბალ წოდებაში აღიზარდა მგოსანი და სიყმის ქაშს მიიღო ისეთი შთაბეჭდილებანი, რომელთა მეოხებით მდაბალ დაჩაგრულ წოდებას სულიერად დაუკავშირდა. ამ გარემოების მეოხებით მთელი მისი ბუნება დემოკრატიულ ლტოლვილებით გაიმსჭვალა. მან შეიყვარა ხალხური ზვირ-სიტყვაობა, ხალხური ლექსის წყობა, ხალხური გამოთქმანი, ანდაზები, ზღაპრები და სხვა... აკაკი გრძობდა ხალხურ პოეზიის ნიმუშთა შეკრების და დაბეჭდვის აუცილებელ საქიროებას... ეს შეადგენდა მის დაჩემებულ იდეას. ამის შესახებ ეხვეწებოდა ყველას, ვისაც საამისოდ უნარი ჰქონდა. აი რასა სწერს აკაკი 1897 წელს ზვირსიტყვაობის შესახებ. „ჩვენ ამდენი ბანია განზე ვუდგებით ზვირსიტყვაობის შეკრება-შეგროვების საქმეს. ხალხური პოეზია უტყუარი სარკვე გადასული ცხოვრებისა და ისტორიის მტკიცე საძირკველი, და მიტომაც ცნობილია დღეს ყოველ განათლებულ ერისაგან ერთ უპირველეს საქიროებად. საშვილიშვილოდ გარდმოიცემოდა ხოლმე ერთი მეორისაგან ასისა და ათასი წლის ამბები და ამის გამო უმაღლეს წერტილამდე იყო აყვანილი ჩვენი ხალხური პოეზია. ძველი და ახალი აღთქმა მთლად გალექსილი იყო

და ტრიალებდა ჩვენს ხალხში. ვის არ გაუგონია ჩვენში საუცხოვო შაირები „აბრამზე“, „იობზე“, „სოლომონზე“, და სხვა... არც ერთი შესანიშნავი მოვლინება არ ყოფილა ჩვენში, რომ ხალხს უყურადღებოდ დაეგდოს და შაირი არ გამოეთქვას. ამას გარდა ძველი ხალხების მითოლოგია, განსაკუთრებით ბერძენისა, სულ ჩვენს ზღაპრებში არის მოქცეული, აქვე შევხვდებით ჰომეროსისა და სხვა ძველი მწერლების თხზულებათაც ნაწყვეტ-ნაწყვეტად, მაგრამ ქართული ხასიათი სულით კი... დღეს ჩვენში ახალდმას აღარ ეხალისება ძველი საზვიაროები და მოხუცებულ მამებს საფლავში ჩააქვსთ ასეთი ძვირფასი განძი. ერთი ათი წელიწადი კიდევ, და მშვიდობით! ჩვენი დღევანდელი დაუდევრობით დავკარგავთ იმას, რისიც მოპოვება მერე შეუძლებელი იქნება. ხალხურ ზვირსიტყვაობის შეკრებას გულ და გულ შედგომა უნდა და ცოტაოდენი ცოდნაც ყველა ხალხური ნაწარმოები რომ შეიკრიბება, მაშინ შევიტყობთ ჩვენი ქვეყნის ფასს და ჩვენს თავსაც გავიცნობთ; მაშინ ნამდვილათ გვექნება გათვალისწინებული საქართველო ყოველი მხრით; მაშინ ლექსიკონების შედგენაც ადვილი იქნება. სხვა ქვეყნებში დიდძალი თანხაა საკუთრად ამ ზვირსიტყვაობისათვის გადადებული, და ჩვენშიაც ძნელი იქნება უსახსროდ სავსებით საქმის წაყვანა“ („კრებული“ № 1 1897 წ.)... ხალხურ ნაწარმოებთა შეკრება აკაკიმ თავის ანდერძით დაუტოვა საქართველოს საისტორიო და საეტიმოგრაფიო საზოგადოებას, რომელსაც მისცა უფლება თვით თხზულებათა გამოცემისა. ხსენებულ საზოგადოების თავმჯდომარე დიახ დამსახურებულ ჩვენის წარსულის მკვლევარის

ბ. ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, „აკაკის ენა—იგივე განსპეტაკებული ხალხური პოეზიის ენაა, ხალხური პოეზიის შვილია, მისებრ სუბუქია, ხან ნაზია, ხან ჯადოქარია, მაგრამ ყოველთვის საყვარელია, ყოველთვის მომხიბლავია. ქართული პოეზია დაუშრეტელი ზღვა არის, რომელიც კოვზით არ ამოიწურება. ამ ზღვაში ათასი აკაკისებური პოეტის ნაწარმოებია გაღესილი, მთელი ქართველი ერის ისტორიაა შეერთული. მასში იხატება ჩვენი ხალხის სიბრძნე, გონების სიმკვირცხლე, მსოფლიო თვალსაზრისი, სიმღერა—გალობა, გლოვა, ზნე-ჩვეულება და სხვა... არავის ისე კარგად არ ესმოდა ჩვენი სახალხო სიტყვიერების მნიშვნელობა, როგორც აკაკის და სულ იმის ცდაში იყო როგორმე საფუძველი ჩაეყარა ხალხური სიტყვიერების შეკრებისათვის... განსვენებულ პოეტს, ხშირად უთქვამს: ქართველი ერი არ გაქრება, თუ მისი სახალხო პოეზია არ დაიკარგაო... თანამედროვე პირობებში ხალხური პოეზია ისპობა, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში კიდევაც თვალსაჩინოდ გაქრა, მაგალითად გურიაში—სახალხო სიტყვიერების შეკრებისთვის საჭიროა მომზადებულნი მუშაკნი. საამისოდ ყოველწლივ საჭიროა ორი-სამი ათასი მანეთი. აკაკი ბრძანებდა: „არ მინდა არც გვირგვინი, არც სიტყვა, არც ცერემონია. თუ ჩემი პატივისცემა გაქვსთ სახალხო სიტყვიერების ფონდი შეადგინეთო. ჯერჯერობით ამ ფონდისთვის ხუთასი თუმანა შემოვიდა... საჭიროა კია არა ნაკლებ ექვსი ათასი თუმანისა ამ დიდებულ საქმისთვის, თუ ჩვენ მართლა გვაქვს გულში აკაკის სიყვარული, ყველამ გამოვიდოთ წყალდი მისი ფონდისთვის, ყველამ მივიღოთ მონაწილეობა ამ ფონდის

შედგენაში, მდიდარმა და ღარიბმა, ერმა და ბერმა, მუშამა და მოხელემ, ნუ დარჩება საქართველოში. ნურც ერთი შეგნებული ქართველი, რომელმაც არ მიიღოს მონაწილეობა დიდებულ მგოსნის სურვილის განხორციელებაში, დაე ეს შეწირულება ღარიბ-ღატაკის მიერ ერთი კაპეიკი იყოს, მუშისაგან ერთი შაური წრფელის გულით მოძღვნილი, ესეც დიდათ შეიწირების... ღმერთმა ჰქმნას დიდებულ მგოსნის გარდაცვალებამ ახალი ხანა შექმნას ჩვენში. მკვიდრი ერთობა დაამყაროს, საქმიანობა შეგვმატოს. დაე აკაკის სიყვარულმა მჭიდროდ დაგვაკავშიროს ერთმანერთს, ჩვენი ძველი ზნე და სენი უკუგვაგდებოს!—და ეს ზნე და სენი გახლავთ ერთმანეთის ჭმა, პრტუკუ-პრტუკუდი ჯაშარაკი და წყაღწაღას საქმედროა მიზნად დავისახოთ ერთმანეთის ნდობა, დიდ-დიდი საქმე და ნაკლები ლაპარაკი!“ („თემი“ № 209)... აკაკის დამარხვის ეამს სხვა და სხვა კუთხის დღევანდებმა გამოთქვეს სურვილი და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებამაც დაადასტურა, რომ უკვდავი მგოსნის დაბადების დღე, სახელდობრ, 9 თებათვე გამოცხადდეს აკაკის დღედ, მაშასადამე, ერაგნულ დღედ. ამ დღეს გამართულ სალიტერატურო დილა-სალამოებისა და წარმოდგენათაგან წმინდა შემოსავალი მიემატება აკაკის სახელობის ხალხურ ზეპირსიტყვაობის ფონდს.

ჩვენი მხრით დავსძენთ, რომ როგორც რუსეთში, ისე სხვა ქვეყნეში მართლაც დიდძალი ფული იხარჯება ხალხურ ზეპირსიტყვაობის შესაკრებად და შესასწავლოად.. ჩეხიასა, სერბიასა, ბოლგარიასა და საბერძნეთში—ერთა აღორძინება და წელში გამაგრება დაიწყო მაშინ, როდეს-

საც შეკრიბეს, შეისწავლეს და შეითვისეს ხალხური ნაწარმოები. ხალხური ზღაპარ-თქმულებანი — გაუხდა საფუძვლად ბევრს გენიოსურ ნაწარმოებს: „ფაუსტი“, „გეტუხის ტყაოსანი“, „განდევილი“, „გველის ქამია“ და სხვა. ხალხურ ნაწარმოებთა სიბრძნე — ის საუკეთესო თვალმარგალიტია, რომელიც დაცულია ხალხის გულში... ქართველი ხალხი ამ მხრით სხვა ერებს უკან არ ჩამორჩება. მისი ხალხური პოეზია დიან მდიდარია. მასში დაცულია ის ხან დამამშვიდებელი და ხან აღმადგენელი პასუხი, რომელსაც ხალხის გონება იძლევა სხვა და სხვა საჭირ-ბოროტო საკითხებზე... ხალხში იმალება ხელ-შეუხებელი, დაუმუშავებელი ძალები, რომელთა გაცნობა შეგვიძლია ხალხურ პოეზიის შესწავლით... განსვენებულმა მგოსანმა თითქოს წინასწარ იგრძნო ის გარემოება, რომ მის დაჩემებულ იდეას ხალხურ ნაწარმოებთა გამოცემის შესახებ დარბაისლურად შეასრულებდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომლის გამგეობამ უკვე დაიმსახურა ყურადღება და თანაგრძნობა თვისი შრომის უნარით და საქმისადმი ენერგიით აღსავსე ერთგულებით. როგორც ვიცით ხსენებულ საზოგადოების გამგეობის თხოვნის თანახმად გაიშარათა დღევანდელი საღამო \*), როდესაც მოგვეცა შემთხვევა მადლობით

\*) წაკითხულ იქმნა ეს ნაწარმოები 9 ივნისს 1916 წელს ბათუმის საკრებულო დარბაზში. ამ დღეს „აკაკის დღე“ ეწოდება.

გავიხსენოთ ჩვენი დიდებული მოძღვარი და მასწავლებელი, რომელიც თუმცა დღეს ცოცხალი არაა, მაგრამ უხილავად ტრიალებს და მიმოიქცევა ჩვენ შორის: ის უკვდავად და მკვიდრებული თითოეული ჩვენგანის სულში და მეხსიერებაში; არაა ჩვენ შორის არავინ, რომ ერთი რამ მისი ნათქვამი არ ახსოვდეს. ზეპირად არ იცოდეს, არა ჩვენში არავინ, რომ მისი მოგონებით მთელი არსებით არ აღფრთოვანდეს და არ გადაფრინდეს მოკლე დროით მხოლოდ კეთილშობილურ აზრთა და გრძნობათა სამფლობელოში

„იმ აჩუკს,

სად ვარსკვლავნი კრთებიან,

სადაც ხშირად კაშკაში

გააქვს მაწმენდილ მთვარეს

და სადაც შტრას ისრება

მას ვეღარ მისწვდებაან!“

და დღე იმ დამაფიქრებელ წუთების წინდად, რომელსაც განგვაცდევინებს აკაკის პოეზია, — ჩაირიცხოს ის დღევანდელი მცირე წვლილი, რომელიც ჩვენ გავიღეთ დღეს და ყოველ წლივ გაიღებენ დღევანდელ ეროვნულ დღეს ქართველები იმ დიადი სამამულისშვილო საქმისათვის, რომელსაც ეწოდება ხალხურ ზეპირსიტყვაობის გამოსაცემი ფონდი. ეს გამოცემა ხალხურ პოეზიის ნაწარმოებთა სამუდამოდ და განუყრელად შეერთებული იქნება დიდებულ სახალხო მგოსნის შარავანდელოვან სახელოთან.

# ქართველები და ქართული ენა

V

მ უ ს ი კ ა .

ა. მუსიკის გამოგონებას ეგვიპტელები მიაწერდნენ ღერმესს, ბერძნება—აპოლონს, ინდოელები—ბრამას, ჩინელები—ფონის, ებრაელები—იობალს.

ამ იობალმაო, სწერია დაბადებაში (4, 21—23) გამოაჩინაო საფსალმუნე და ებანი. ხოლო ეს იობალი იყო ძმა თობელისა, რომლისაგან, როგორც იუწყება იოსებ ფლაბიოსი, წარმოიშვნენ ივერნი.

ასეა თუ ისე, ცხადია ერთი, რომ გალობის დასაწყისი მიუწვდება თვით კაცობრიობის დასაწყისს.

ადამი ეუბნებოდა თავისს შვილს სეთის, თუ როგელს ჟამს ვინ ევედრებოდა და უგალობდა შემოქმედს. ჩამოსთვლის (ხელნაწ. № 153):

დღის პირვილ ჟამს უგალობენ შვილნი ჩემნი, მეორე ჟამს ანგელოზნი, მესამეს ფრინველნი, მეოთხეს სხვა და სხვა ქმნილებანი, შემდეგ წყალნი და ყოველი არსი აღიდებს უფალსა.

ამასვე უფრო გარკვევით იმეორებს დავითი 148 ფსალმუნში. იგი მიჰართავს ყველა ქმნილებათ, როგორც ცხოველ არსებათ, და მოუწოდებს უგალობონ მსოფლოოს დასაბამის მიზეზს, უფალს.

„აქედლით უფალსა ცათაგან. აქედლით მას მ. ლალთა შინა. აქედლით მას ყოველნი ანგელოსნი მისნი, აქედლით

მას ყოველნი ძაღნი მისნი. აქედლით მას მზე და მთვარე..., ყოველნი ვარსკვლავნი და ნათელნი, აქედლით მას ცანი ცათანი და წყალნი..., ვეშაპნი..., უფსკრულნი, ცეცხლი, სეტყვაჲ, თოვლი, მყინვარი, სული ნიაჟქარისა..., მთანი ღ ყოველნი ბორცვნი, ხენი ნაყოფიერნი და ყოველნი ნაძვნი, მხეცნი და ყოველნი პირუტყვნი, ქვეწარმავალნი და მფრინველნი ფრთოვანნი, მეფენი..., ერნი, მთავარნი, მსაჯულნი, ქაბუკნი, ქალწულნი, მოხუცებულნი ყრმათა თანა. აქედლით სახელსა უფლისასა...

ასე, ყველა და ყოველივე თავის ფერად გალობდა, ყველა და ყოველი თავის ფერად უბნობდა: პირუტყვი, მცენარე, თევზი, მწერი, მდელო, ვარსკვლავი, მზე და მთვარე, ყველა მეტყველებდაო, ამბობს ქართული გადმოცემა\*), ყველას ერთფრთისა ესმოდა, ეყურებოდაო, თვით უსულო ქვემსაც კიო.

„მიიმღერის (ავთანდილი) ხმასა ტკბილსა. რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან, მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსდიან: ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის (ყმა), ატირდიან“ (ტ. 946—947).

\*) იხილეთ ჩვენს „საინგილოში“.

იგეთი სხეულები, ვით მზე, მთვარე, მთიები, ვარსკვლავები, მზის დაბნელება და სხ. მომხიბლავს შთაბეჭდილებას ახლდენდნენ ჯერ ისევ ნორჩ კაცობრიობის გონებაზე და ნება-უნებლიედ იწვევდნენ საგალობლოდ მათთადმი.

კაცობრიობამ აღრევე შეიმეტნა ბუნების მოვლენანი და აღრევე შეიგნო, რომელი იყო მისთვის სასარგებლო, რომელი მავნებელი, და იმ დასკვნამდის მივიდა, რომ ყოველს მოვლენას თავისი ანგელოზი ანუ ხელმძღვანელი ჰყავსო. ასრე გაჩნდა მის რწმენაში მრავალნაირი ანგელოზი ანუ კეთილი თუ ბოროტი ღვთაება. ერთ წიგნში ჩამოთვლილია ყველა ღვთაებანი, რომელნიც აჩენენ თოვლს, სეტყვას, წვიმას, ქარს, სითბოს სიცოცხლეს და სხ. ყველას გულის მოსაგებლად საჭიროდ შეიქმნა საგალობლების წართქმა, შესაწირავების მიძღვნა.

ქართველების დაკვირვებით არმაზი, ზადენი, გაცი და გა იყვნენ ღმერთები „ნაყოფთა მომცემლნი, სოფლის მპყრობელნი, მზის მომფენელნი, წვიმის მომცემლნი, ქვეყანის ნაყოფთა გამზრდელნი“.

და რახან ეს ასრე იყო, მათთვის არ იზურებდნენ უკეთეს შესაწირავებს, თვით შვილებსაც უკლავდნენო და უგალობდნენო.

მირიანმა რომ სვეტი-ცხოველი ააგო, მასში მღვდლებმა იწყეს გაჯობა და ღვთის ღიდება.

ქრისტიანობა შემოვიდა, მაგრამ ხალხმა ვერ გადაივიწყა თავისი ძელანდელი ღვთაება—ანგელოზები ხენა-თესვისა, მკისა, სთვლისა, შვილიერობისა („მზე შინაო), ყვავილისა (იენანა), და ბუნების სხვა და სხვა მოვლენათა. თან გაჩნდა საერო სიმღერაც შესამკობად გმირების

ქველობისა ან დასაგმობად ლაჩართა, ორგულთა და მოლალატეთ მუხანათობისა.

ფარსმან-ქველი (113—129 წ.) სპარსელების მოსყიდვით მზარეულმა რომ მოწამლა, საქართველოში შეიქმნა გლოვა, ტირილი და ტყება: წარჩინებულითგან გლახაკთამდე იტყებდეს თავთა თვისთა; ყოველ ქალაქსა და დაბას დასხდიან მგოსანნი გლოვისანი, შეკრბიან ყოველნი, ახსენებდიან სიმხნესა და სიქველესა, სიმშვენიერესა და სახიერებასა ფარსმან ქველისასა და იტყოდიან:

„ვამ ჩვენდა, რამე თუ მოგვძინა სჭე მან ბოროტმან, მეფე ჩვენი, რომლისაგან ხსნილ ვიყვენით მონებისაგან მტერთასა, მოიკლა კაცთა მგრძნებელთაგან ღ აწ მივეციოთ ჩვენ წარტყენვად ნათესავთა უცხოთა“.

გმირი ვახტანგ გორგასარიც მთელმა ერმა ტყებით, ნაცრის თავზე გადასხმით და გოდებოთ დაიტირა.

უმეტესი სიღიადით ქართველ თემებმა შესარულეს დატირება თამარ მეფისა, ვრეკლე II-ისა, ილიასი, აკაკისა.

ხოლო ეკლესიამაც უაღრესი ყურადღება მიაქცია სასულიერო მოღვაწეთ და აღრითგანვე შეუდგინა საგალობელნი. აქ სასულიერო პოეზიაში გაითქვეს სახელი იოანე მტებევეარმა, მიქელ მოღრეკილმა, ბერამ, არსენიმ, მაკრონ, ბატონიშვილმა და მრ. სხ.

ამათ სხვათა შორის დაგვიტოვეს ღიდი ნოტებიანი საგალობო წიგნი (მე X საუკე), რომლის მთავარი რედაქტორი სწერს: „მე გლახაკმან მიქაელ მოღრეკილმან ძმისწულმან ღმერთშემოსილისა მამისა დავითისამან ვიღვაწე და ყოვლით კერძო შრომამ ვაჩვენე უზემთავს ძალი-სა ჩემისა, და ფრიალითა ხარკებითა და



გულსმოდგინედ ძიებითა შეეკრიბენ სძლისპირნი ესე ყოვლით კერძოვე, რომელნი ვპოვენ ენითა ქართველთაჲთა მეხურნი \*) — ბერძულნი და ქართულნი —, სრულნი ყოვლითა განგებითა, და დავეწერენ წმიდასა ამჲს შიგა წიგნსა ყოვლითა განმარტებითა და ქვეშარიტებითა, და ესრეთ განვაწესე თავით თვისით და უმჯობეს ვყავ უმეცრებითა სიგლაბაკისა ჩემისაჲთა, რამეთუ ყოველსა ხმასა პირველ უფალო ღაღადყავისა ძლისპირნი დავეწერენ და შემდგომად გალობათანი... რახითთა, მოიხილითა და აქებლითთა ძლიერად და სიწმიდით და სიმართლით სისწორითა კილოასაჲთა და უტომეულობითა ნიშნისაჲთა».

ბ. მუსიკა ბერძნული სიტყვაა. „მუსიკი“ იმათებურად ნიშნავს მუსიკას, პოეზიას, რიტორობას, ხოლო „მუსიკოს“ — მოასწავებს მგალობელს, მომღერალს, პოეტს, მგოსანს (იხ. დიდი ბერძნ. — რუს. ლექსიკონი გრაცინსკისა). მისი მიზანია, ხმების ჰარმონიულ შეწყობით იმოქმედოს მსმენელის გრძობაზე. მუსიკას ადამიანი შეასრულებს ანუ თავის ხმით ანუ სხვა და სხვა საკრავების შემწევობით. იგი ორნაირია: საეკლესიო და საერო. პირველს ჩვენში ჰქვიან გალობა, მეორეს მღერა (იხ. ღერობა).

საბა ამბობს: „მუსიკა რათინურად ხმოანებათ მოვა, ქართულად სახიობა ეწოდების“. აქვე იგი იმოწმებს დანიელის 3—15-ს, მაგრამ აქ ხან სახიობაა (№ 471), ხან მეხმეობა. მათ ბაღლად ბერძნულშია „სუმფონია“ (=ხმათა შეწყობა). გამოვწერ მთელ მუხლს (№ 51):

\* გესმას-ყე ხმისა

საყვირისა ბერძნ. სალპიგგოს **трубы**  
 სასტეინლისა სკრიგგოს **свирѣли**  
 ქარისა კითარას **цитры**  
 სამეიკისა სამეიკეს **пѣвницы**  
 საფსალმუნისა ფსალტირიუ **гуслей**  
 მეხმეობისა სუმფონიას **симфоніи**  
 ნათესავთა მუსიკისა მუსიკალნი **музыкальн-**  
 სიკთაჲსა სიკონ **орудій.**  
 სუმფონია ასეა განმარტებული დიდ ლექსიკონში: „შეხმეურება, მწყობრობა; კონცერტი, მწყობრი მეხმეობა მრავალსამუსიკო საკრავებისა; გალობა. მუსიკეჲი. ა მაკაბ. 9—39: ბობლნებითა და მუსიკელებითა = ბერძნ. ტუპანონ კე მუსიკონ **съ тимпаномъ и мусыкою.**

მუსიკი. იქვე 9—41: ხმა მუსიკთა = ბერძნ. ფონი მუსიკონ **звукъ музыки.**  
 მმუსი (იხ. ზემო) და სამუსი (იხ.) წარმოსდგებიან ბერძნულიდამ „მუსა“ = მუსა; გალობა, სიმღერა; ხელოვნება, მეცნიერება, განათლება; ლექსეა.

მუსიკოსი ბერძნ. მუსიკოს.  
 მუსიკობა მუსიკობაი.  
 მუსიკება მუსიზო.  
 მუსიკებრ მუსიკას.  
 სამუსიკო მუსიკოს.

შოთა 25: მიჯნურისთვის ენა მუსიკობდეს. შავთ. 107: ვერ ვუძღვე თამარის შესხმა, მკობა, მუსიკობანი.

ახიობა- 1 მეფ. 18—6—7: მძნობარი... მემღერად მათ წინაშე პარით (შუშპარით) წინაშე მეფისა... ნესტეითა და ქანართთა ბობლნითა და წინწილითა, პირი აღედო და მიეგებვოდეს მათ, სახიობდეს (646: ახიობდეს) აქებდეს = ბეჭდურში: როკვით მიეგებდა... გალობდეს და ხლდოდენ წინწილითა სიხარულისთა და ებნითა და ვილოდეს დედანი განცხრობონი და იტყოდეს... **Съ пѣніемъ и**

\*) მეხური = მეხორი, სახაროო (იხ. ქვემოთ). ნიშნი და იტყოდეს... **Съ пѣніемъ и**  
 17

плясками, съ торжественными тимпанами и кимбалами и восклицали женщины, говоря. ახიობა=სახიობა-ს ბერძნულში უდრის „პაისტუსაი“ ზმნიდამ ჰაიზო, მღერა, მხიარულება, გართობა, გალობა, ლექსაობა. სჩანს, სახიობა=ახიობაც ნიშნავს მხიარულებას, სიხარულს (მეგრ. ხიოლება, სვან. ლი-ხიადე, ხიად. მეგრ. ახიოლი იხარა, ხიოლი სიხარული, ლხენა, ლხინი. (აქ ჯ იგეთივე ნაშთია, ვით სვან. ლი). იგივე რუსთაველში 693: ვაჟ მოყვრისა გაყრილსა ახიოს ეყოს ახიოს.

სახიობა. საბა: ესე არს მუსიკი მწყობრი ძალთა და საკრავთან და ხმოვანება ტკბილი გალობა თუ სიმღერაჲ. ეზეკ. 33—32: კმაჲ სახიობისაჲ და კმაჲ ნესტვისა. რუსულშია: какъ забавный пѣвецъ съ пріятнымъ голосомъ и хорошо играющій. სლავურში: гласъ пѣснивца сладкогласнаго благо.

შესხმა. 2 ნეშტი 23—13: ერსა უხაროდა და სცემდეს ნესტუპზსა და შემასხმელნი იგი სტუჯრითა შესხმასა და ახიობდეს ქებასა (№ 51)=ბექდ. ყოველი ერი ქვეყანისა იხარებდენ და კობდეს საყვრითა და გალობდენ ორღანთათა შინა გალობასა და აქებდენ ქებითა. რუსული: весь народъ земли веселится, и трубятъ трубами, и пѣвцы съ орудіями музыкальными и искусные въ славословіи.

შემსხმელნი. 1 ეზრა 2—65: შემსხმელნი მეფსალმუნენი (ბექდ. რშია მგალობელნი)—ბერძნ. აღონტეს კე აღუსაი=პწეცოვქი ი პწევიცქი. ნეუმ. 7—67: შემსხმელნი ფსალმუნთანი; აქვე 11—12 შემასხმელნი=აღონტონ (ბექდ. მგალობელი). ეკლესიასტე 2—8: შემასხმელნი (ბექდ. მემღერენი) ბერძნ. ზგივეა.

მეფსალმუნე (2 ნეშტი 35—15) ბერძნ. ფსალტოდოი—პწევეცქი, საკუთრად ფსალმუნის მოქმელ-მგალობელი.

მეშღერე. 2 მეფ. 19—35: ხმაჲ მეშღერეთა (ბექდ. ხმაჲ კვალად გალობისა და აღმო მგალობელისა). ბერძნ. „ფონინ აღონტონ ი აღუსონ“ პწეცოვქი ი პწევიცქი. იხ. ახიობა.

მგალობელი (№ 51 მეფანე. აღბად იქნებოდა მეფსალმუნე). რუსულშია პწევიცქი, ბერძნულში ფსალიტოდოს (1 ნეშტი 6—33; იქვე 9—33). მგალობელნი... მთავარი გალობათა მგალობელთა (№ 51)=დაბექ. მგალობელნი... წინამძღვარი მგალობელი მგალობელთა პწევიცქი.. начальникъ музыкантовъ и пѣвцовъ. ბერძნ. არხონ ტონ ოღონ ტონ აღონტონჲ.

მგოსანი. ეს სიტყვა ხშირად იხმარების მუსიკთან ერთად. შავთ. 101: „თვით (თამარ მეფე) შემეწია მუსიკ-მგოსანით მესტროლაბ ენით“. როგორც უკვე ვთქვით (იხ. მუსიკა), მუსიკი ანუ მუსიკოსი ბერძნულში ნიშნავს პოეზიას, პოეტს, მომღერალს და სხ. საბათი: „მგოსანი, ვაჟნი და ქალნი კეთილად მომღერალნი ხმითა სამუსიკოთა ებანთა და ბარბითთა ზედა; მეგოდებენიცა გლოვის მგოსნად ითქვიან“. ზევით უკვე აღვნიშნეთ ის სიტყვები, რომლითაც გლოვის მგოსნები დასტიროდნენ ლალატით მოკლულ ფარსმან-ქველს. იგივე სიტყვა არს სომხს სომხურშიაც. არამის სიგმირის ამბები შეკრიბესო გუსანებმა (ქორენელი, 51: გ. ხალატიანც. Армянскій эпосъ, 43).

პატანოვი ამბობს (ქორენელი, გვ. 251, შენიშ. 54): „გუსანაკან მრავლობითი რიცხვია სიტყვისა გუსან. იგი საზოგადოდ ნიშნავს მსახიობს (актеръ)

და ძველანდელს პირველყოფილ რაპსოდს, გალობათ დამმღერებელს ერის წინაშე მიმიკით (მოვიგონოთ ტრაგედიის დასაწყისი საბერძნეთში)“. რაპსოდების დამღერებულ ოდებისაგან (რაპს-ოდა) შესდგაო „ილიადა“ და „ოდისეია“ (იხ. ლექსიკ.).

ჩამომავლობა სიტყვისა მგოსანი ბნელით მოცულია. ამბობენ, იგი თავდაპირველად ვილაც გამოჩენილ მომღერლის თუ პოეტის სახელი იყო, თუმცა შესაძლებელია იგი აღმოცენებულიყო ქართულს ნიადაგზედაც ზმნიდამ მკობა, ისე, ვით „ხმიდამ“ თუ „ხმობრდამ“ აღმოსცენდა ხმოსანი \*). სიტყვა გვხვდება მრავალგან.

მათე 9 — 23: მგოსნები — რუს. СВИРЬЩИКЪ — ბერძნ. ავლიტის, მომღერალი ფლუტაზე, სტივირზე; მესტივირე.

ამირანდარ. 84: მღერდეს მგოსანნი და მოშაითნი; იქვე 86: ყიოდენ ხმითა შეენიერითა მგოსანნი და მოშაითნი. იქვე კიდევ 91, 94 და სხ.

ვისრ. 23: ამღერებდეს მუტრიბთა და მგოსანთა ხმამალლად ამოთა ხმითა. იქვე 233: მგოსანმან სიმღერა თქუა ვისისა ღრამინის მინ ჰურობასა ზედა.

შშეთ. 44: ისმის მგოსანთა, ვით საფირონთა, ხმანი ებნისა და წინწილისა. (საფირონ-ად იგულისხმებიან ის ნიმფები (ზღვის ქალები), რომელნიც თავიანთ ტკბილი გალობით ჰხიბლავდნენ ბენავეებს).

შოთა 119: მგოსანი და მუშაითი უხმეს; 1331: ორნივე ტურფად იმღერდეს ვით იადონი მგოსანი.

ლექსი. საბა: „ლექსი, სიტყვა სრული

\*) სომხურშიაც თურმე შეიძლება ნიშნავდეს შემამკობელს. პ. მირიანაშ. „სახალხო ფ.“ № 704, 1917.

და რჩეული, გინა შეწყობილი, ლექსი არს“ = СЛОВО; СТИХЪ. ლექსება, ლექსის გამოთქმა, СТИХОСЛОЖЕНИЕ; СТИХОТВОРЕНИЕ შოთა. 5: მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა. იქვე 20: შელექსეთა გამოსცდის ლექსთა გრძელთა თქმა; იქვე 24: ლექსი კარგი არს სანადიმოდ სამღერელად, სააშისოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სართეველად. ლექსი არის წუფილი (5 მარცვლოვანი), ბაიათი (7 მარც.), რუფი (8 მარც.), ფისტიაკური (10 მარც.), თუჯლიში (11 მარც.), მრჩობლედი (14 მარც.), იამბიკანი, შაირი (16 მარც.), მესტივირული (16 მარც.), ჩხრუხუფი ანუ ძანაკარული (20 მარც.).

მელექსე. შოთა 20, 21, 22, 25.

შაირი, ლექსი ოთხმუხლელი (საბა). შოთა. 29: გრძელნი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი.

შაირება პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი (შოთა 19).

შაირ-სიტყვა. შაირ-სიტყვითა მესტივირემ ღმერთი მალალი ახსენა (არსენას ლექსი).

მეშაირე არა ჰქვიან თუ სადმე სთქვას ერთი, ორი.

მეშაირება. შოთა 21: მაშინ-ლა ჰნახეთ მეღექსე და მისი მოშაირობა: რა ველარ მიჰხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა, არ შეამოკლოს ქართული, არა ჰქმნას სიტყვა-მცრობა. ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა.

გაშაირება, ორთა შორის პაექრობა ლექსების გამოთქმით.

ამბობენ, შაირი არისო გარმიანული სიტყვა. შეიძლება. მაგრამ ისიც შეიძლება, რომ წარმოებულ იყოს ქარც ფესვიდამ ირ თავსართით ლა=სა=შა. შეადარე: სვან. ჯაირ წიგნი, ჯაირ წერი-

ლი, ჯიჯი წერა. არის ქართულში ლა-  
რვა შექსოვა. გვიწვევს ცთუნება აზრის  
მხრივ დაფუკავშიროთ სიტყვები ლარვა,  
ლექსი, ლიბრი, შაირი.

მეხუკი. ბერძნულში ფესვიდამ ხორ  
იწარმოების სიტყვები ხორია (ცეკვა,  
ფერხვა, მხიარულება, ხორეჟო (სამია,  
ფერხული, საერთო სიმხიარულე...), ხო-  
რას (ხორო, მგალობელთ გუნდი, მძო-  
ბარი. ფერხვა სიმღერით). იგივეა ჩვენ-  
შიაც: ინგ. ხორხორი=მძობარი ЛИКО-  
ВАНІЕ, დოგახორხორა, გაგვამძობარა,  
გაგვახარ-ავგამეტყველა (ДАЛЬ ВОЗЛИКО-  
ВАТЬ). (ქართ. ხარხარი, ხარება ხომ  
არის იგივე ბერძნ. „ხარა“=სიხარული,  
РАДОСТЬ. აქედან სახარება). და რადგანაც  
უწინ უ-ს მაგიერობას ეწეოდა ო (ოფა-  
ლი=უფალი, ორი=ური, სასწორი=  
სასწური და სხ.), ამიტომ ბერძნ. ხორია  
ანუ ხოროს ჩვენში შემოვიდოდა ხო-  
როდ, ხური-დ და გაკეთდებოდა მეხური  
ანუ გალობა მეხოროე, მეხორი, ე.  
ი. ხოროს შესასრულებელი (სძლის  
პირი, გალობა). ესეთი ჩვენი განმარტე-  
ბა სავსებით ეთანხმება მ. კეკელიძის მო-  
წმობას, რომ მეხურ საგალობლებიანი  
ქართული წიგნები უღრიანო აწინდელ  
ღროის საგალობელ კრებულებს, ნოტე-  
ბით სამღერლებს (იერუს. კანონარი, გვ.  
333).

გ. რაიც შეეხება სამუსიკო საკრავებს,  
მათში ზოგი სიმინია, ზოგი შთასაბერი,  
ზოგი რტყმით დასაკრავი. მათი სახელები  
გვხვდება ძველის-ძველ წიგნებში, განსა-  
კუთრებით კი დაბადებაში.

1 ნეშტი, 15—16—28:

დადგინენით მგალობელი ფსალმუნითა,  
ფსტვირითა და საგალობელითა ნესტვითა  
და ფანდურითა და წინწილითა ხმითა ძალ-  
ლითა და ხმითა სიხარულითა... და ხმი-

თა სოფერითა და სსყვირითა და წინწილი-  
თა ხმასა სცემდეს ნესტვითა ებნითა და  
სტვირითა... იბეჟითა... დაჰბრონ ნე-  
სტუსა მას რქისსა (ისუ, 6, 3—4).

ფსალ. 150:

აქებლით ღმერთსა ხმითა ნესტვისაჲთა,  
აქებლით მას ფსალმუნითა და ებნითა,  
აქებლით ბობღნითა და მწყობრითა, აქებ-  
ლით მას ძნობითა და ორჯანობითა, აქებ-  
ლით მას სიტყვითა ტკბილითა, აქებლით  
წინწილითა ღალადებისაჲთა... ათაჲდითა  
სავსალმუნისაჲთა. (ფს. 32, 2).

იერემ. ლოცვა 15:

გარდაიქცა გლოად მწყობრი ჩვენი.

2 ნეშტი, 29—26:

დადგეს ფსტვირითა და ნესტვითა. იწ-  
ყეს გალობად.. საყვირნი სტვირთა თა-  
ნა... გალობდეს და ნესტუებსა სცემდეს.

გამოსლ. 15—20:

მოილო მარიამ წი-  
ნასწარმეტყველმან დაჰან აპრონისამან  
ეხანი კელითა მისითა, და განვიდეს ყო-  
ველნი დედანი შედგომად მისსა ბობღნე-  
ბისა თანა და მწყობრებისა (ხელნაწ. №  
51).

იგივე დაბეჭდილში (ტფილისის 1884  
წლ. გამოცემა): ... ბობღანი კელითა  
თვსითა და განვიდოდეს ყოველნი დედა-  
ნი მისთანა ბობღნებითა და მძნობითა.

რუსულშია: ВЪ РУКУ ТИМПАНЪ... СЪ  
ТИМПАНАМИ И ЛИКОВАНІЕМЪ (=სლავ.  
ЛИКИ).

ბერძნულშია: „... ტუმბანონ ენ ტი  
ხირი... მეტა ტუმბანონ კე ხორონ“.

ვურთავ აქ საკრავების სიას, რომელიც  
შევადგინეთ ჩვენის ქართულ-რუსულ ლექ-  
სიკონისთვის 1915 წელს.

1. ავილი=ავლი. ესაია 5, 12; იერ.  
48—36: ვითარცა ავლი ოხრიდეს აული  
ჩემი... ვითარცა ავლიმან იოხროს. სლა-

ვურშია: ЯКО ЦѢВНИЦА ЗВЯЦАТИ. საბათი:

„ავილი ანუ ავლი ნესტვია ერთი“. ბერძნულში იქვე (ესაია 5—12) აგრეთვე ავლოს-ია, ხოლო ძმსა ლექსიკონით ნიშნავს ფლეგტას, სტირს, ხან ნესტვსაც. (1 კორინთ. 14—7). იხ. ნესტვი.

2. ათძალი (ფს. 32—2; ფს. 91—4: ათძალითა საფსალმუნისათა. რუსულშია на десятиструнномъ и псалтири; ბერძნულშია: „ენ დეკახორდო-ფსალტირიოა“. საბაჲ ათ ალყად განუმარტია, მაგრამ „დეკა-ხორდოს“ ათ-სიმიანს მოასწავებს. თამარიანი 37: შენსა სასმენსა ათძალი ჰქონდეს ქნარ სიტყვა რეკად. შავთ. 15: ათძალითა ორღანო უძნონ ებან ებნითა.

ამისგან: მათძალე (გამოცხ. 18—22).  
3. ბარბითი მულნი ЛЮТНИ. ვეფხ. ტყ. 178, 472.

4. ბობღანი. გამოსლ. 15—20: ბობღანი—ТИМПАНЪ—ბერძნ. ტემპანონ; ფს. 32—2, 42—4: ბობღანი—ГУСЛИ—ბერძ. კითარა—კითარას უდრის გიტარას, ციტრას, რუსულს გუსლი.

5. ბუკი, ლათინ. ბუკკა=ბუჩინა ლაშქრის ანუ ერის თავმოსაყრელიად დასაყვირებელი დიდი საკრავი. ლათინურ. bucinator—მებუკე, რუს, РОЖОКЪ, НАБАТЬ. შოთა: 46, 405.

6. გუღასტვირი, ჰომონი, მესტვირული გულა სტვირითურთ, ВОЛЫНКА.

7. დაბდაბი—დაბდაფი—დაფდაფი; დაფი БАРАБАНЪ. საბა: დაფი, ესე არს გრკალი; ცალთა მხარეთა ეტრათი აკრავს საცემელად პროკიელთათვის, რომელსა სპარსნი დაირას უწოდენ, ხოლო დაფდაფთა ორსა მხარესა ეტრადი აქვს, რომელსა დაულს უწოდებენ“. შოთა 1390. დარეჯ. 21. შავთ. 58.

8. დაინა, ერთგვარი დაფი БУБНЫ, ЯНЫЧАРСКОЙ ТАЗЪ. გურამიშ. 225.

9. დაუღი (იხ. დაბდაბი).

10. დაფი (იხ. დაბდაბი).

11. დიშქაპიტო. მცირე ნალარა ручной барабанъ. ჩუბინაშვილით, დიშქლი-პიპო, მცირე დაფი БУБЕНЪ.

12. დოღი, დაფდაფი барабанъ.

13. დუღუკი. დუღულასაგან გაკეთებული სალამური—ДУДКА, СВИРЬЛЬ.

14. დუმბუჯა, მცირე ნალარა. ქ. ცხ. 224: ხმობა ბუკთა და დუმბუკთა. არჩილ. 143: დაჰკრეს ბუკსა და დუმბუკსა, ისმოდა ხმა სიავისა.

15. ებანი, დაფი (საბა). დაბ. 4—22: ებანი—СВИРЬЛЬ—ბერძნ. კითარა. 1 ნეშტი 15—28: ებანი—ბერძნ. კინურა, ათ-სიმიანი საკრავი მწუხარე ხმების გამოძცემი. ფს. 67—26: მეებნე ბერძნულშია მეტკიმპანე, რუსულში СЪ ТИМПАНОМЪ. ფს. 56—8: ებანი—ГУСЛИ—ბერძნ. კითარა. ასევეა ფს. 70—22-ში, 150—3-ში და სხ. შავთელი 15: ათძალითა ორღანო უძნონ ებან ებნითა. შოთა 1100; ქილილა 346; გურამიშ. 110; კორინთ. 14—7.

მისგან წარმოსდგება ზმნა ებანა ანუ ებანი. შავთ. 1: შწადს აქ ებანი; 1 კორინთ. 14—7: საცნაურ იქმნეს სტვინვაჲ იგი ანუ ებანა (=ბერძნ. „ავლუმენონა“, „კითარიზომენონ“).

16. ეჯვანი. საყლარუნებელი, საწკარუნებელი ПОГРЕМУШКА, გამოსლ. 28—33; შოთა 772; წყობ. 160.

17. ზრახუკუდი, საყვირია. მომცრო (საბა). რუსულ. 214.

18. ზურნა სხვათა ენაჲ, სტვირი ჰქვიან ქართულად (საბა).

19. ზურნაგი, მწყემსთ ნესტვი (საბა). არჩილ. 131: სცემენ ქოსსა და ზურნას ჰკვრენ, ჰგონებენ მათ სანადაროსა.

20. თარე ერთგვარი სიმებიანი საკრავი. არჩილ. 49.

21. იობელი, იობელისნი. საბას გან- (რიცხ. 31—6). საბა: „რაიცა საკრავი მარტებით იობელისნი საყვირია მოკე- განხვრეტილნი არიან, ნესტვალ ითქმიან. ცილი“. აქ საბა იმოწმებს 1 ნესტის ნესტუსი დაბერეთ (3 მეფ. 1—34) მე-15 თავის მე-28 მუხლს. მაგრამ ამ ზატრუბите трубою; ნესტუები უწყვბი- მუხლში (ხელნ. დაბად. № 51) სოფე- საა (რიცხ. 31—6) трубы для тревоги. რია (=ბერძნ. სოფერ, სომხ. ჰობელეან, შეადარე კრდევე: ნესტვი ცხვირისა, რუს. рога), და მართლაც ებრაული ჰობ- ნესტვი ფირტვისაჲ, ნესტვი წყაროჲსაჲ (подземная струя, каналъ), ნესტვი ბელ ნიშნავს რქას. ამ ჰობელისაგან წარ- გასაქალთაჲ. „გულისაგან გამოვლენან ნესტუნი მრავალნი და განეზავების სუ- მოვბულა ლათინ. jubulum. ებრაელნი ზანტევების წელიწადს (annus jubileus) ლი ცხოველი მათ მიერ ყოველსა გზასაჲ აყვირებდნენ იობელს—რქას. (აღვადგინე, გვ. 100).

22. შესტირული გუდა ანუ გუდასტი- რი (იხ.).

23. მუდნი, ბარბითი (იხ.). ქართ. ბექ- ლურში 1. მეფ. 10—5: მულნი.

24. მუდრი, საღრიალებელი საყვირი труба музык. (ჩუბინ.).

25. მწობრი, მწყობრი (იხ.).

26. მწყობრი. გამოსლ. 15—20; მწყობ- რი—რუს. ликование—ბერძნ. ხოროს მსაჯ. 11—34: მძნობრითა—ликами— ბერძნ. ხორის. (χορος, ხორო, მგალო- ბელ-მომღერალთა დასი ანუ გუნდი, ხმა- შემწყობილობა, ხმაშემწყობილობით ფერ- ხვა) ფსალ. 150—4: აქებდით მათ ბობ- ლნითა (съ тимпаномъ) და მწყობრითა (съ ликами). ბერძნულშია „ენ ტკმპანო კე ხორო“.

აკადემიური ლექსიკონი: ЛИКЪ: ეკლე- სიური: მგალობელთა დასი. მრავლო- ბითი ЛИКИ ანუ ЛИКОВАНИЕ—მწყობრი (გამოს. 15—20), განცხრომაჲ—ЛИКОВА- НІЕ (ლუკა 15—25).

27. ნა (შოთა 178). თეიმურ. ნა, დი- დი სალამური.

28. ნაღარა—ნაღრაჲ (ინგ.) ჩხირებით დასაკვრელი. ბარამჯ 59; გურამ. 53.— მენალრე; ნაღარახანა.

29. ნესტვი—ნესტუ (2 მეფ. 2—28) —ნესტუსი (3 მეფ. 1—34)—ნესტუ

(რიცხ. 31—6). საბა: „რაიცა საკრავი განხვრეტილნი არიან, ნესტვალ ითქმიან. ნესტუსი დაბერეთ (3 მეფ. 1—34) ზატრუბите трубою; ნესტუები უწყვბი- საა (რიცხ. 31—6) трубы для тревоги. შეადარე კრდევე: ნესტვი ცხვირისა, ნესტვი ფირტვისაჲ, ნესტვი წყაროჲსაჲ (подземная струя, каналъ), ნესტვი გასაქალთაჲ. „გულისაგან გამოვლენან ნესტუნი მრავალნი და განეზავების სუ- ლი ცხოველი მათ მიერ ყოველსა გზასაჲ“ (აღვადგინე, გვ. 100).

ნესტო—სვან. სტურარ (ნესტეები; ნესტრები (!)). ნე—ნა: ნეკენჩხალი— ნაკენჩხალი; ნე-დლი—ლა-დირი; ნემსი— ფშ. ნეესი—მეგრ. ლეში—ლეფსი—ლი- ში (ფესვ. ს-ობა). ნესტვი—ნესტუი ფესვ. სტევა. ნასტაგი ანუ ნესტვაგი წყლის სადინებელი აუზი.

30. ნობა, დიდი საყვირი. შოთა: 405: ჰკარით ბუკსა და ნობასა; 1170: იცემს ნობასა; 1390: აკრეს ნობსა და დაბ- დაბსა.

31. ჩრდნო. ფს. 150: აქებდით მას ძნობითა (на струнахъ) და ორღანოთა (и органъ); ბერძნ. „ხორღანის კე ორ- განო“. შავთ. 15: „ათძალითა ორღანო ლძნონ ებან ებნითა“.

32. ჟღარუნა, ექვანი, რაცა ჟღერს, აქ- ლარუნებს.

33. რქა. საკრავი რქისაგან. ფს. 97— 6: ხმისა ნესტვისა რქისათა (рога, ბერძ. კერატინეს).

34. საღამური—ინგ. სარამული ყანის ჩალისაგან გაკეთებული სტვირი სვირწლ (საბათი: ზურნაკი).

35. სამევიკი—ბერძნ. „სამევიკი“ (დან. 3—5—7—15) цѣвница.

36. სამუსი, საკრავია ძალეზიანი (საბა) ქილილ. 537; წყობილს. 205 სამუსო.

მმუსი—მმუსიკობი: წყობილს. »მმუსი ტკბილად«, »ტკბილად მმუსიკობი».

37. სანთუკა, ებანი, ქნარი ან ჩანგი გუსლი (ჩუბ.)

38. სასტვირეკი, свирѣль (დან. 3—5—7—15).

38. საფსალმუნე. დაბ. 4—22: ბერძნ. ფსალტირიონ, გუსლი; დან. 3—5 რუს. симфонія.

40. საყვირი. საბა: საყვირნი მრავალგვარნი არიან მალლ-მალლობითა: ბუკი, იობელისანი, ყვიროსტვირი, ზროხაკულა და სხ. 1 ნეშტი 15—28: საყვირითა трунь; დანიელ. 3—7: ესმოდის ერთა ხმისა საყვირისა (труны), მათე 24—31: საყვირითა ხმისა დიდისათა съ трубою громогласною. წმ. ნინოს ცხ. 20: ხვალისაგან იყო ხმაჲ ოხრისაჲ და საყვირისაჲ. ბალავ. 21.

ამისგან: მესაყვირე (გამოცხ. 18—22).

41. სიაფი, სპილენძის ქვაბი საკრავად. არჩილ. 143. იხ. დუმბული.

42. სოფერი. 1 ნეშტი 15—28: სოფერი—ბერძნ. სოფერ, რუს. рофъ.

43. სპილენძჭური. დიდი ნალარა, ქურის მსგავსი. სპილენძისა. იხ. სიაფი. ქართლ. ცხ. 278: ჰკრეს (თამარ მეფის დაგვირგვინების დღეს) სპილენძ-ქურთა.

44. სტვირე, სასტვინავი (საბა) свирѣль, дудка. ბალავ. 78.

ამისგან: მესტვირე (გამოცხ. 18, 22).

45. ტაბლავი, მცირე ნალარა (საბა), литавра (ჩუბინ.). შოთა 435: სცემდეს ტაბლავსა; 1156: ჰკრეს ტაბლავსა; 1484: ტაბლავსა ჰკრეს.

46. ტაბლი, საქორე ნალარა (საბა), рожокъ. ქილ. 92: აკეთებენ ხის ქერქისა და ტყავისაგან.

47. ფანდური ანუ ფანტური ანუ ბანდური, бандура.

1 ნეშტი 15—16. ეს სიმებიანი საკრავი გავრცელებულიყო ძველათგანვე. იტალიელთ ბანდოლა 10 სიმინია. მცირე რუსთა ბანდურას ჰქვიან კობზა; ამგვარივეა ბანდურა პოლონელთა, ფანდიროსებისა; 12 სიმინი ბანდურა მოიგონა ლონდონელ ჯონ-როსმა 1561 წელს.

48. ფსტვირე, სტვირი (საბა). 1 ნეშტი 15—16: ფსტვირი цитра.

49. ქანარი 1 მეფ. 10—5: ქანარით ნესტვი და ბობლანი. რუსულშია ტიმპანი, ბერძნ. ტემპან, ქართულ ბექდურში ქნარი.

50. ქნაი, ჩანგი (საბა). ბერძნულშია კითარა, რუსულში ციტრა (ესაია 5—12). წმ. ნინოს საგალობელში ქნარი რუსულად თარგმნილია цѣвница-დ. საზოგადოდ კი ნიშნავს არფას.

51. ქახი, ჩხირებით სამღერელი (საბა). ქ. ცხოვ. 178: ჰკრეს სპილენძჭურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილთა (თამარის გამეფების ზეიმში). არჩ. 131: სცემენ ქოსსა და ზურნას ჰკვრენ. ვისრ. 28

52. ქახნადარა, ქოსი (იხ.)

53. ღორტოტო, დიდი საყვირი труба.

54. ფვირცხტვირე, მომცრო საყვირი (საბა) кларнетъ (ჩუბ.), ვისრ. 28: დაიწყეს ცემა ქოსთა, ყვირილი ბუკთა და ყვიროსტვირთა ხმა იყო,

55. ჩანგი, მოდრეკილი საკრავი (საბა), лира (ჩუბ.). შოთა 101, 120, 472, 704: ვისრ. 208: ბალავ. 78, გურ. 225.

56. ჩანგური ანუ ჩონგური (იხ.).

57. ჩანგური, სიმებიანი საკრავი баялайка.

58. ჩანანა, სიმებიანი საკრავი, каштанетка. ქილ. 69: სიმღერას ისმენდნენ ჩანგისა და ჩალანის პირით. შოთა 704: ხმას სცემს ჩანგი ჩალანასა.

59. ძაღვი, სიმი. ხუთძალი, ხუთ-სიმიანი საკრავი. წყობილსიტ. 70: ქნარსა ზედა განჭიმულ იყვნენ ძაღნი ჟღერად იხ. ათძალი.

60. ძნობა, ა) შეწყობილი ხმა, ძნობით შეწყობილი ხმით დაკვრა-დამღერა. ბ) ძალი, სიმი: ფს. 150—4: ძნობა—струна—ბერძნ. ხორდი. შავთელი 1: მეფისა ძნობად.

61. წინწიღვი, ტკბილი საკრავი (საბა), КИМВАЛЪ. ლითონის ორის თეფშის შემოკვრით საამო საელარუნებელი. 1 მეფ. 10 5; ქ. ცხ. 278. ფს. 150—5; 1 კორინთ. 13—1: შოთა 46, 1100.

მისგან მეწინწილე (გამოცხ. 18—22).

62. ჭიანჭი, მუცლიანი საკრავი, скрипка, ქამანჩით დასაკვრელი.

63. შეჭიანჭურე скрипачъ.

64. ჭიშინა, გუდასტვირი (საბა), ВОЛЫНКА.

65. ხუთძალი, ხუთსიმიანი საკრავი, იხ. ძალი.


აქ სათანადო იყო აღგვენიშნა აწინდელი დროის ქართული ხალხური სასიმღერო კილოებიც—ურმული, ნადური, ხეური (თუ მეხური?), ფერხული და სხ., მაგრამ ამის შესრულებას დავუთმობ პატივცემულ სპეციალისტებს, კარბელაშვილებს, კარგარეთელს, ჩიკვაძეს, კავსაძეს, ფოცხვერაშვილს, არაყიშვილს და სხ. გამოჩენილ მოღვაწეთ.

საქართველო იმ თავით ამ თავამდე მშენიერების ქვეყანად ითვლება, ხოლო

შენიერება ხომ თავით პოეზიას, უალრესი მუსიკა. საცა ასეთი სამუსიკო ნიჟარია, იქ მუსიკობს არათუ მარტო შოთა, დავითი, ბესიკი, ნიკო, ილია, აკაკი, ვაჟა, არამედ თავით ერიც საზოგადოდ. აქ ყოველ ფეხის გადადგმაზე სიკეკლუცეა, მომხიბლავი ჰარმონია, ლამაზი ცხოვრება, საოცნებო შეწყობილობა სახეობათა, ფერადობათა. ქართველობას შესისხლხორცებული აქვს ეს მუსიკა, რომელსაც იგი გამოსთქვამს თავის უამრავ ლექსებითა, საგალობლებით, ღიღინით, ღიად ლეგენდებითა და გადმოცემით. აქ მგოსანია ქალი, ვაჟი, ყრმა და ბერი. აგერ ზის ბერიძის შვენიერი ასული, მგოსანი, მუთაქაზე და სწერს თავის ლექსს გრაგნილზე. აგერ მის დროის (1640 წლ.) სახელოვანი პოეტი სულხან ავთანდილისძე. რამდენი სხვები იყვნენ კიდევ არჩილის, დავ. გურამიშვილის და მომდევნო დროებში! 1448 წელს კეისრის ამალამ რომ გამოიარა საქართველოს მეფის ქალის დასანიშნავად ბერძენთ სადედოფლოდ, მათ მუსიკის სასმენად გამოდიოდა მთელი ქართველობა დიდის ცნობიერებით. ჰარმონია, მუსიკა აკეთილშობილებს კაცს და ამასთანავე გმირულ სულს უდგამს.

დიდბუნებავანობა და მასთან ენა-მუსიკობა ერთად მოთავსებულია არათუ შოთა-თეიმურაზ-არჩილში, არამედ ყოველს ქართველშიაც.

მ. ჯანაშვილი





# ილია ჭავჭავაძე

(მოგონება)

საუბარი ილიასთან.

ილია სასიამოვნო მოსაუბრე იყო, მაგრამ არა მოუღალავე მოლაპარაკე. მისი საუბრის სიმშვენიერე ლამაზ ფრაზებში კი არ გამოიხატებოდა, არამედ ლამაზსა და მახვილს აზრებში. როცა ილიას ვისმესთან მოუხდებოდა ლაპარაკი, დამშვიდებით ისმენდა მოსაუბრის აზრს და როცა იგი გაათავებდა თავისას, ილიასაც მზად ჰქონდა მოკლედ მოკრილი პასუხი. თავის საუბარს ილია ხშირად შეაზავებდა იუმორით, ხუმრობით და ზოგჯერ ნაკვესებსაც ჩაურთავდა ხოლმე. ბევრი ქართველის მიერ საყვარელი იუმორი ყოველთვის დიდს სიამოვნებას ჰგვრიდა ილიას და ხალისითაც ისმენდა სახუმარო ლაპარაკს, თვითონაც უყვარდა ხუმრობა არა მარტო გასართობად, არამედ სულის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, დასასვენებლად მძიმე გონებრივი მუშაობის შემდეგ.

ხშირად, როცა ილია ძლიერ გართული იყო ბანკის საქმეებში ან სწერდა რამე სტატიას «ივერიისათვის», შევიდოდი მის სამუშაო ოთახში, ავიღებდი გაზეთს ან წიგნს, მივჯდებოდა კუთხეში და დავიწყებდი ჩუმად კითხვას, რომ მუშაობისათვის ხელი არ შემეშალა, ილია მაშინვე დადებდა კალამს და ღიმილით

მოჰყვებოდა ლაპარაკს, სახე გაუბრწყინდებოდა, და, ჩვეულებრივის მოსალომების შემდეგ, ხშირად გავმართავდით საუბარს. დადლილობა და ნაღვლიანობა უცბად ჰქრებოდა იმის სახეზე, ისვენებდა და რამდენადაც უფრო შევებმოდით რომელიმე სასიამოვნო საკითხისა ან საგნის გამო ლაპარაკში, იმდენად ორნივე სულიერ სიამოვნებასა ვგრძნობდით. ილიას ძლიერ უყვარდა ეს საუბრები და რის შესახებაც არ გვისაუბრია მრავალი წლის განმავლობაში! რასაკვირველია ქართული და საზოგადო მწერლობა უფრო გვიზიდავდა ორივეს, მაგრამ ისტორია და სხვა და სხვა ერთა ცხოვრებაც ხშირად იყო ჩვენი საუბრის საგნად. მეც და ილიასაც ძლიერ გვიყვარდა, მოგზაურობის აწერილობანი, უფრო მაშინ თუ ამა თუ იმ აწერილობის ავტორი მართლაც დაკვირვებული ინტელიგენტი იყო, და რადგანაც მე მოგზაურთა აწერილობის კითხვის გარდა ხშირად მრავალ საინტერესო ქვეყნებიც მომივლია კიდევ, ამ დარგში ყოველთვის გამოუღლეველი სასაუბრო მასალა გვქონდა. ილია ძლიერ სწუხდა, რომ თავის სიცოცხლეში მას ძლიერ ცოტა ემოგზავრნა. მართლაც, ილიას ყმაწვილობის დროს საზოგადოდ ქართვე-

ლები იშვიათად მიესწრაფებოდნენ უცხოეთში, რასაც ენის უცოდინრობაც ხელს უშლიდათ. ამ ნაკლს ილია ჰხედავდა თავის თავზე და კიდევ შურით უყურებდა მათ, ვინც უცხო ენები იცოდნენ. „ენაო, იტყოდა ილია, ხალხის გონებრივი და ზნეობრივი საუნჯის გასაღებია და რომელიმე უცხო ერის შესწავლა მხოლოდ იმას შეუძლიან, ვინც მისი ენა იცისო“. ილიას ძლიერ იზიდავდა აგრეთვე ენების ფსიხოლოგია და ხშირად იტყოდა ქართულად სიტყვებსა და ანდაზებს, რომელშიაც ისახებოდა ქართული ხასიათი და ხალხის სული. გლეხების უბრალო საუბარში ილია ჰხედავდა ხალხის ფსიხოლოგიას და მის მსოფლმხედველობას. ამიტომაც უყვარდა ილიას გლეხებთან საუბარი, იგი საგურამოში მთელი საათობით ესაუბრებოდა გლეხებს და აღტაცებული რჩებოდა მათი სურათოვანი ენით. საზოგადოთ ილიას გლეხთა ცხოვრება პოეტურ წარმოდგენათა და მოსახრებათა საღაროდ მიაჩნდა და დიდის ხალისითაც კითხულობდა ყველაფერს, რაც კი ამ წყაროდან გამომდინარეობდა მაგ. რ. ერისთავის, ვაჟაფშაველას, ბაჩანას, თედო რაზიკაშვილის ლექსებს, ნიკო ხიზანაშვილის მიერ შეკრებილ სახალხო ლექსებს, პეტრე უმიკაშვილის მიერ გამოცემულს სახალხო ანდაზა-გამოცანებს და სხ. ვაჟაფშაველას ლექსებს ილია აღტაცებაში მოჰყავდა და როცა კი ვაჟა გამოუგზავნიდა დასაბეჭდად რამე ახალ ლექსს, მაშინვე ილია მიზიარებდა თავის აღტაცებას და მაცნობდა ფშაველ მგონის ახალ მარგალიტს.

ბაჩანასაც დიდ აღტაცებაში მოჰყავდა ილია. მახსოვს ერთხელ შაბათ დღეს მგონია 1886 წ. ილია შემხვდა თავის სამუშაო ოთახის კარებთან ბრწყინვალე

სახით და მისალმების ნაცვლად მითხრა, რომ ეხლავე წაგიკითხავ ორს მშვენიერს ლექსსაო. ეს იყო „მუხა“ და „სალამო მთაში“ ბაჩანასი.

ვაჟაფშაველაში ილია ჰხედავდა ძველი დროის მთიელ ქართველების ყველა პანთეისტიური რწმენისა და შეხედულობის განხორციელებას. ილიას აკვირვებდა აგრეთვე ვაჟას ბუნებისადმი ძლიერი გრძობა, რის მიღწევაც ილიამ ვერ შესძლო, თუმცა ბუნება ილიასაც ძლიერ უყვარდა და ცდილობდა მისი ცხოვრებით განმსკვალულიყო.

ერთხელ, როცა საგურამოში ვაპირებდით წასვლას, ილიამ მითხრა, თან მომყავს მესამე ამხანაგი, რომელიც ძლიერ გაგვართობსო. ეს მესამე ამხანაგი აღმოჩნდა გერმანული წიგნის თარგმანი „ბიზე—ბუნების გრძობის განვითარების ისტორია“, რომელშიაც ავტორი ძველი ბერძნებიდან და რომაელებიდან დაწყებული მოგვითხრობს და გვიმტკიცებს თუ როგორის ნელის ნაბიჯით ვითარდებოდა ჯდამიანში ბუნებისადმი გრძობა, როგორ ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ძველი თაობანი ბუნების სიმშვენიერეს და ამ გრძობას მოკლებულნი რამდენს სიამოვნებას ჰკარგავდნენ. ამ მშვენიერს წიგნს მე და ილია ვკითხულობდით საგურამოში, ამ საუცხოვო კუთხეში, სადაც ბუნება მდიდარია, სადაც ტყე და მთა აღერსით ჰხიზლავენ თვალს. ეს იყო გაზაფხულზე საღამოობით, როცა ბაღებიდან და ტყიდან ბუღბუღოთა მშვენიერ სტვენა საამოდ ეფინებოდა არემარეს.

— „არა, ამ ძველ ხალხს არ განუცდილია ნამდვილი ბედნიერება!“—სთქვა ერთხელ ილიამ ამ წიგნის კითხვას დროს—რამდენ მაღალ სიამოვნებას აძლევს ადამიანს ბუნების ცხოვრება და მისი სურა-

თის მშვენიერება და ყველა ეს ჩვენი წინაპრებისათვის არაფერი იყო და მათს სულს ბუნებასთან საუბარი არ შეეძლო!»

ღიად, ილიას უყვარდა ბუნებასთან საუბარი, უყვარდა ოცნება, როცა მის სიმშვენიერეს შეჰყურებდა და ამაში იმდენს ბედნიერებას ჰპოულობდა, რომ ძლიერ უხალისოდ შორდებოდა ამ პასიურ საქმეს.

აღმოსავლეთის მცხოვრებთა მიდრეკილება სიცოცხლის ჰერეტაში ილიაში ძლიერ იყო, ძლიერი იყო მასში აგრეთვე სიზარმაცეც, რომელსაც მიჰყავს ადამიანი ბუნების უქმად ჰერეტისკენ. ამ თავის მიდრეკილების შესახებ ილია ხშირად მელაპარაკებოდა ხოლმე, იგი მიაჩნდა მას აღმოსავლეთ ერების საერთო თვისებად და უარჰყოფდა მათში საფილოსოფოსო აზროვნებას.

ამ ნიადაგზე ხშირად მოგვდიოდა კამათი და ილიაც მუდამ იმას ამტკიცებდა, რომ აღმოსავლეთს ყოველთვის ჰყავდა და ეყოლება მხოლოდ სახალხო ბრძენი და არა ფილოსოფოსები, რომლებიც სისტემატიურად ავითარებენ კაცთა შეხედულობას ქვეყნიერებასა და ცხოვრებაზე. ასეთივე აზრისა იყო ილია რომანთა მოდგმის ხალხზე, რომელიც მისი შეხედულობით ძლიერ ნიჭიერი არიან შემოქმედებაში, მწერლობაში და ხელოვნებაში, მაგრამ ფილოსოფიურ აზროვნებაში კი არაო. მდიდარ გერმანულ ფილოსოფიას დიდს მნიშვნელობას აძლევდა, მაგრამ ნიტშესა და შოპენჰაუერის გარდა ცოტა ჰქონდა წაკითხული და უპირატესობას გერმანელების პოეზიასა და მეცნიერებას აძლევდა.

ილია ღრმა მოხუცებამდის ბევრსა კითხულობდა არა მარტო სალიტერატურო თხზულებებს, აგრეთვე სამეცნიერო ნაშ-

რომებსაც, ასე რომ მისი ცოდნის საღარო ძლიერ მდიდარი და სხვა და სხვა გვარად იყო. ამ მხრით აკაკისა და ილიას შორის ღიად განსხვავება იყო, აკაკის ნაკლები ცოდნა ჰქონდა, ილიას ცნობის მოყვარეობა ღიად ჰქონდა და ცოტა იყო ისეთი საგანი, რომელიც კაცობრიობას ეხებოდა და ილიასთვის კი საინტერესო არ ყოფილიყო. ხანდახან ილია ქებას უძღვნიდა გიოტეს უნივერსალურ ცოდნას, რადგანაც თვითონაც ეწაფებოდა ასეთს ცოდნას, მაგრამ დაბრკოლებას ევროპიულ ენების უცოდინრობაში და ცხოვრების განსაზღვრულობასა და წვრილმანობაშია ჰხედავდა. ერთსაც და მეორესაც ერთგვარად უჩივოდა, მაგრამ ილიამ მის თანამედროვე ქართველებზე მეტი მაინც იცოდა და სხვანაირი ცხოვრებაც მის დროს არ შეიძლებოდა. თავის თანამედროვეებს ილია კარგად იცნობდა და ხშირადაც ახასიათებდა მათ, ილიამ იცოდა მათი მისწრაფებანი და სისუსტე, რაც მის თვისებასაც შეადგენდა. თავის ჩვეულებით ილია მცირედ განირჩევოდა უმრავლეს მაშინდელ თავდაზნაურთაგან, მაგრამ ცოდნით კი მას ვერავინ შეედრებოდა. ჩვეულების გამო, თუმცა იგი ხანდახან უკულტურობის მიზეზიც იყო, ილია გულახდილად აღიარებდა, რომ მას დასაბამი აქვს ატავიზმში ე. ი. მემკვიდრეობით მომდინარეობს და მხოლოდ ნელ-ნელა და თანდათან გაჰქრებაო. თავისებურობას და ზოგიერთ პირველყოფილებას ყველა ერში აფასებდა ილია და იგი რაოდენადმე დედაბობდაც მიაჩნდა. ამ აზრის მიხედვით ილიას ყველაფერი უყვარდა რაც კი სიძველეს შეიცავდა და ხილისიდაც კითხულობდა მის შესახებ თხზულებებს. ოთხმოციან წლებში პეტრე უმიკაშვილი ტფილისის

უძველეს ნაწილში ანჩისხატის ტაძრის მახლობლად ცხოვრობდა და ამ სიძველეთა სიყვარულის გამო ილია ხშირად აქებდა უმიკაშვილს. ილია ნიკო ხიზანაშვილსაც აგრეთვე პატივსაც სცემდა იმ შრომის გამო, რომელიც საქართველოს სიძველეთა გამოკვლევას ეხებოდა, თუმცა ნიკო ხიზანაშვილი ილიას თავის ხუმრობითაც ხშირად ართობდა ხოლმე და ამ ხუმრობაში ილიასაც ზოგჯერ მწვავედ ჰხვდებოდა. როგორც ყველამ იცის, ნიკო ხიზანაშვილი მღვდლის შვილი იყო და ამით თავი მოჰქონდა, რადგანაც იმ დროს მღვდლის შვილებიდან წარმოდგა მთელი რიგი საზოგადო მოღვაწეებისა, მაშინ როცა მრავალი თავად-ახნაურობა იმ დროს ძლიერ მცირე მოღვაწეებს იძლეოდა. ეს გარემოება ისარგებლა ნიკო ხიზანაშვილმა და ხშირად აღიზიანებდა ილიას ფეოდალის სახელით. ყველა ამ ხუმრობაზე ილიაც ღიმილით და ხუმრობითვე უპასუხებდა და არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, რომ ილიას ოდესმე გული მოსლოდეს, ნიკო ხიზანაშვილის მწვავე ხუმრობაზედაც კი.

ილიას მაინც და მაინც არ უყვარდა ზოგი ახალი რამ კულტურულ ცხოვრებისა და უპირატესობას აძლევდა ძველის უხერხულობას და ნაკლსაც, თუ კი მას რამე სიმშვენიერე ჰქონდა და წინაპართა ცხოვრებასაც მოაგონებდა.

მაგალითად ეტლით სიარული მას უფრო მოსწონდა, ვიდრე რკინის გზით და როცა თავისუფალი დრო ჰქონდა, ტფილისიდან საგურამოში მუდამ საკუთარს ეტლით დადიოდა. შლია ეტლში, ზომიერი სიარულის დროს, მთელი არე-მარე და ბუნების სურათები სხვაგვარად გეშლებოდა თვალწინ, ვიდრე რკინის გზის ვაგონიდანაო, ბევრჯერ იტყოდა ხოლმე ილია

ჩვენი ხშირი მგზავრობის დროს საგურამოში.

შემდეგ ილიას გზაზე მოსწონდა სხვა და სხვა სანახავეები და სურათები და მუდამ კმაყოფილი იყო, როცა მისი ოთხი თეთრი ცხენი წყნარის ნაბიჯით მიგოგავდა წინ მზიან გზაზე; ილიას ამდროს სიამოვნებას ჰგვრიდა მცხეთის არე-მარე, ზედაძნის მთები, შეგვერცხლილი არაგვი და საგურამოს მთები. ილიას ძლიერ უყვარდა ეს საისტორიო ადგილები, აკვანი საქართველოს ქრისტიანობისა და თითქმის ყოველთვის ჩვენი რამდენისამე წლის განმავლობაში მოგზაურობის დროს, მიამბობდა ხოლმე ამ ადგილებთან დაკავშირებულს რამე ისტორიულ ამბებსა ან ლეგენდებს.

პოეზიისა და სიტყვაკაზმულ მწერლობის სიყვარულმა მთლად შეიპყრო ილია, ასე რომ დრამატული ხელოვნებისა, მუსიკისა და სხვა ხელოვნებისათვის მას არა რჩებოდა რა. ცოდნაც ამ დარგებში მას შედარებით მცირე ჰქონდა, თუმცა ამ სამი ხელოვნების დარგის შესახებაც ჰკითხულობდა თხზულებებს, თუკი ნიჭიერად იყო დაწერილი.

დიდებული დრამატურგების შექსპირისა და შილლერის წაკითხვას უპირატესობას აძლევდა, ვიდრე მათი ნაწარმოების სცენაზე ხილვას. თეატრებშიაც ხშირად არ დადიოდა და ქართულ თეატრშიაც იშვიათად ნახავდით, მაგრამ სიამოვნებით ისმენდა ყოველს ლაპარაკს ქართული თეატრის შესახებ, განსაკუთრებით, თუკი პიესა ქართული ყოფა-ცხოვრების გამომხატველი იყო. ილიას აინტერესებდა უფრო სასცენო ტიპები, მაგრამ, შეიძლება ვსთქვათ, მის ყურადღებას უფრო ყოფაცხოვრების გამომხატველი ტიპიური მხარე იზიდავდა, ვიდრე

თვითონ ხელოვნება.

ილია უფრო ნაკლებ იცნობდა მხატვრობას, თუმცა ხალისიანად ჰკითხულობდა დიდებული მხატვრების ბიოგრაფიებს და ხანდახან მათ ქმნილებაზედაც ჩამოაგდებდა ხოლმე ლაპარაკს. ამ მცირე ცოდნის მიუხედავად, ილიას მაინც უყვარდა ლამაზი სურათები, რომლითაც დამშვენებული იყო მისი სამუშაო კაბინეტი თავის დის ელისაბედის სახლში. ეს ქართული ისტორიული სურათები ილიამ საგანგებოდ დაახატვინა მხატვარ გიგო გაბაშვილს. ილია ხშირად ერთობოდა ამ სურათების ცქერით და ქებით იხსენიებდა გიგო გაბაშვილის, ამ თავისებურ ნაყოფიერ მხატვრის ნიქს. არ იცოდა ილიამ მაშინ, რომ გიგო გაბაშვილი ილიას გარდაცვალების შემდეგ დახატავდა ილიას სურათს, რომლის დახატვას მის სიცოცხლეშივე ცდილობდა გიგო, მაგრამ მაინც ვერ მოახერხა.

დაგვრჩა კიდევ ხელოვნება—მუსიკა, რომელსაც ილია ყველაზე ნაკლებ იცნობდა და რომელიც მას უცხოვდ მიაჩნდა. ოპერაზე იშვიათად დადიოდა, ფორტოპიანოს ხმას, ან კონცერტს გულდაუდებლად ისმენდა, მაგრამ უყვარდა ხალხური სიმღერები და როცა საგურამოში თავისი სახლის აივანზე ჩამოჯდებოდა, სიამოვნებით უგდებდა ყურს ბაღში მომუშავე გლეხების გუგუნს. რომ ილია მართლა ძლიერ გრძნობდა ხალხური სიმღერების სიმშვენიერეს, სჩანს, სხვათა შორის. იმ მომხიბლველ ლექსში, რომელშიაც აწერილია ალაზნის ველი, სადაც ურემი

„მიჭრიაფებდა, გზას ადვილებდა  
და ნადვლიანად მასზე მუჟუმე  
მწუხარს სიმღერას დაღუფუნებდა  
ღუფუნა იგი ჩამჩენია გუფს,

მწუხარე არის, ვით გლეგის ზარა,  
მაგრამ თუ ნადველს მოჰპერს დაჩაგრულს,  
უკუ ჰქრის კიდევ ვით ღრუბელის ქარა“.

თვითონ ილია არა ღროს არ მღეროდა, ძლიერ იშვიათად მინახავს, რომელიმე საყვარელი ჰანგი დაბალი ხმითაც ემღეროს, როგორც ამას შერება ბევრი, მაგრამ ილიას მაინც უყვარდა ზოგიერთი ჰანგები, რომელსაც მოუწყენლად ისმენდა. 80 წლებში პროფესორმა ოქრომქედლიშვილმა აჩუქა ილიას ლამაზი ავტომატიურად მოსაწყობი საკრავი. ეს საკრავი ყოველ ზაფხულს მიჰქონდა ილიას საგურამოში და მთელი საათობით ისმენდა საკრავის ხმას. ბოლოს თავისი სიცოცხლის მიწურულში შეუყვარდა ერთი ქართული სიმღერა, რომლის დაკვრას გრამოფონზე ხშირად თხოულობდა. ეს სიმღერა იწყება ასე:

„სული მიწუხს.  
გული მასთან ღონდება,  
თვალს ავახელ,  
ცრემლები არ მშორდება. და სხ.

ამ სიმღერის მოწყენილი კილო, რაც მეც ძლიერ მომწონდა, ისე გაუჯდებოდა გულში ილიას, რომ რამდენჯერმე უნდა რიგ-რიგად გაემოერებინათ. როცა ილია ამ სიმღერას ისმენდა, ან იჯდა, ან ჩაფიქრებული იდგა და მის სახეზე რაღაც იღუმელი მწუხარება იხატება, რომ ილია, ხანგრძლივი ბედნიერი ცხოვრების შემდეგ, სამარის კარს მისული, ისმენდა მას და გრძნობდა ტკივილს, რომ საამქვეყნო სიცოცხლე მთელის თავის მშვენიერებით დასასრულს უახლოვდებოდა.

ერთს შემოდგომის კვირას, ნასადილეც ჩვენ ორნივე ვისხედით ბინდით მოკულ ოთახში, ჩემმა მოწაფემ დავითმა მომარ-

თა გრამოფონი საყვარელი სიმღერის „სულ-ლის მიწუხს“ დასაკრავად. ილიამ უცბად მითხრა: „ჩვენ ორსავე ერთნაირად გვიყვარს ეს მშვენიერი ჰანგი, იგი ორივეს ძვალბილში გაგვიჯდა და ამიტომ შეიძლება ეს ჰანგი გახდეს შენთვის საუკეთესო საშუალებად ჩემდა მოსაგონებლად. ჩემი სიკვდილის შემდეგ ხშირად იმღერეთ ეს ჰანგი და მაშინ უჭკველია მოიგონებთ თქვენს მეგობარს და მშვენიერ დღეებს, რომელიც ერთად გაგვიტარებია“. ილიას მოსაგონებლად, რასაკვირველია, ეს ჰანგი ჩემთვის არ არის საჭირო. მაგრამ ილიას გარდაცვალების შემდეგ თითქმის ყოველ დღე რამდენჯერმე დაბალის ხმით ვიმღერი და მასთან ერთად ვიგონებ ილიას სამწუხარო სიტყვებსაც.

მახსოვს კიდევ სხვა სიტყვებიც, რომელიც თითქოს სიკვდილის მოახლოების წინაგრძნობას მოასწავებდეს. ილიას გარდაცვალების ერთი კვირის წინად საგურამოში ვიყავი, სადაც მაშინდელი ილიას მეფუტკრე ბალოსნობასაც მისდევდა და სწორედ იმ დღეებში დაემყნო მთელი რიგი ხეხილებისა. ერთ დღიას მეფუტკრემ სთხოვა ილიას ენახა სამყნელი ხეები და ჩვენც წავედით ბაღში. მეფუტკრემ გვიჩვენა სათითაოდ თვითოეული ნამყნი და თან გვიხსნიდა თუ რა ჯიშის მსხალი ან ვაშლი დაემყნო, აქებდა ხილის კარგ ღირსებას. როცა ბოლოს გაათავა, ილიამ გაიღიმა და უთხრა: „ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ ამ ნამყნების ნაყოფს მოვესწრობიო?“ როცა ცოტა მოვშორდით, ილიამ ჩუმად მითხრა: „საკვირველი კაცია ის არ ფიქრობს იმაზე, რომ მე ცოტა ხნის სიცოცხლე დამჩინია“.

ეს სიტყვები ილიამ ნელისა და მწუხარე ხმით წარმოსთქვა. მე შევხედე, მისი სახე მართლა მწუხარებას გამოხატავდა, არაოდეს მოხუცებულობის დალი ისე არ დასტყობია მას, როგორც იმ დღიას, როცა შემოდგომის მზე ბრწყინვალედ დაჰყურებდა მის სახეს და მისი სევდიანი თვალებიც მოწყენილად გაყურებდნენ ზედაძნის შემოდგომის სუსხით გაყვითლებულს ტყეს. ამის შემდეგ მაწუხებდა რაღაც მძიმე წინაგრძნობა. ოთხი დღე კიდევ დავჩი საგურამოში, მაგრამ ძილი არ მეკარებოდა და დილაძნის უძილოდ ვიყავი. ილია ამ დროს ძლიერ დაღვრემილი ჩყო, რასაც მე ვაბრალებდი ოჯახურ უსიამოვნებას მეურნეობაში, მაგრამ შემდეგი ფაქტი, რომელიც გადმომცა ილიას მოკვლის რამდენისამე თვის შემდეგ მისმა საცოდავმა მეუღლემ ოლღამ, ამტკიცებს, რომ ილიას აღშფოთებული წინაგრძნობა ჰქონდა. იმ საბედისწერო ბუთშაბათს, როცა ილია ტფილისიდან საგურამოში ბრუნდებოდა, ჩვეულებისამებრ უბრაანა მეეტლეს წიწამურში გაჩერება და ცხენებისთვის წყლის დაღვინება. ამას მოუნდა სულ ათი წუთი, მეეტლე შეჯდა კოფოზე და უცდიდა ბრძანებას წასულიყო, მაგრამ ილია ჩუმად დადიოდა აქეთ-იქით ჩაფიქრებული და არ აპირებდა წასვლას. კნენა ოღლა მარწმუნებდა, რომ ილია მთელი საათი ასე დადიოდა, შემდეგ ჩუმად ჩაჯდა ეტლში. ეტლიც გაეჭანა საგურამოსკენ და თხუამეტი წუთის შემდეგ ილია მოკლულ კმ ა. რა გრძნობა აკავებდა მას ასე დიდხნს წაწამურში?

დიად, არის ისეთი რამ ცასა და ქვეყანაზედ, რომელიც სიზმრადაც არ მოლანდებიათ ჩვენს ფილოსოფოსებსა.

სთქვა შექსპირმა. ილიას თვითონ არა  
სჯეროდა რა წინაგრძობისა, არც ცრუ-  
მორწმუნოებისა სწამდა რა. მაგრამ არც  
ეს ფაქტი და არც მისი სამწუხარო ნაღ-  
ვლიანობა უკანასკნელად საგურამოში,

არ შეიძლება სხვა რითიმე აიხსნას, თუ  
არა წინაგრძობით.

არტურ ლეიბი.

(შეგუბი აწეხა)



## იდეა და პიროვნება

ადამიანი ყოველთვის იღებს მის გა-  
რემო არსებულ ბუნებისაგან მრავალგვარ  
შთაბეჭდილებას. ამ შთაბეჭდილებათა შო-  
რის ისინი, რომელნიც მოიპოვებენ ძა-  
ლას და მიიქცევენ თავისზედ პიროვნების  
ყურადღებას, აღიბეჭდებიან გონებაში,  
როგორც ნიშანი ანუ ნასახნი იმ ნივთთა,  
თვისებათა და მოძრაობათა, რომლებმაც  
წარმოშობეს იგი შთაბეჭდილებანი. ადა-  
მიანის სულში ამგვარად ჩასახულ შთა-  
ბეჭდილებისაგან წარმოიშობებიან ჯერ  
მარტივი შეცნობები საგნებისა, თვისებე-  
ბისა და მოძრაობებისა, ხოლო მერმე ეს  
პირველსახე შეცნობები უფრო განსა-  
ზღვრულ იერს იღებენ, გარდიქმებიან  
მკაფიო წარმოდგენად და მაშინ უკვე  
უდრიან იმ კერძო საგნებს, თვისებებს  
თუ მოძრაობათ, რომელთა ზედგავლენა  
განუცდია სულს; იგინი არიან იმ საგან-  
თა ხატებანი.

მერმე, ადამიანის განვითარების შემ-  
დეგ ხანებში, ხსენებულ კერძო წარმო-  
დგენებიდან ანუ სახეებიდან თანდათან  
დამუშავდებიან განყენებული ცნებები,  
რომელნი უფრო რთულნი არიან და  
უდრიან არა მხოლოდ ერთს რომელსამე  
განკერძოებულ საგანს, თვისებას თუ მო-  
ძრაობას, არამედ მთელ ჯგუფს ერთგვარ

საგნებისა, თვისებათა და მოძრაობათა;  
იგინი შეიქმნებიან საზოგადო სახეებად  
ურიცხვ ერთგვარ საგანთა, თვისებათა  
თუ მოქმედებათა. ტაძარი ალავერდისა—  
ეს განსაზღვრული წარმოდგენაა იმ ერ-  
თი საგნისა, რომელი აღბეჭდილია გონე-  
ბაში თვისი განკერძოებული სახით; ტა-  
ძარი—ეს უკვე განყენებული ცნებაა,  
რადგან ამ სიტყვის შინაარსს აქვს უკვე  
ზოგადი ხასიათი და აღნიშნავს მთელ  
წყობას ერთგვარი საგნებისას. პირველ  
შემთხვევაში ჩვენს გონებაში აღვადგენთ  
ნახულ საგანს სწორედ იმ სახით, რო-  
გორც მიუღია ის ჩვენს შეგრძობას;  
მეორე შემთხვევაში სიტყვის შინაარსში  
უკვე ცხადადა სჩანს ზედგავლენა გონე-  
ბის შემოქმედებითი ძალისა, რომელს  
ერთისა და იმავე საგნის მაგვან სახეები-  
დან შეუქმნია ერთი საზოგადო სახე, არა  
თანაბარი რომელიმე განკერძოებულ ცა-  
ლისა, არამედ მექონი მთელი ჯგუფის  
საზოგადო ძირითად თვისებებისა; პირვე-  
ლი არის საგნის წარმოდგენა, მხატვრუ-  
ლი მისი აჩრდილი, მეორე კი მხოლოდ  
აზრთა ძალით არის შესაგნებელი; პირ-  
ველი არის ერთი განცალკევებული  
ნის დასახველი წარმოდგენა, ხოლო მე-  
ორე არის ფართე ცნება ყველა ერთგვარ

რი საგნების აღმნიშვნელი და იპყრობს პირველს, როგორც თვის შემადგენელ ნაწილს.

აზრთა სამფლობელოში თანდათან მრავლდება ამგვარი განსაზოგადოებული სახეები ნივთთა, თვისებათა თუ მოქმედებათა და ეს განყენებული ცნებები ანუ იდეები უკავშირდებიან ერთმანეთს მრავალგვარად: თვისი შინაარსის მსგავსებით ან განსხვავებით, საერთო ადგილის მექონობით, საერთო დროის მექონობით და სხ.; ექსოვებიან იგინი ერთმანერთს, მწყობრად ლაგდებიან დასდასად დაკავშირებულნი, რომ შესთხზიან აზრთა რამბადე მრავალგვარი, გარდაიფურჩქონ თვალთწარმტაც სამყაროდ იდეურად და ადამიანის სულში დაენაცვლონ პიროვნობის გარეშე არსებულ წივთიერ მსოფლიოს როგორც მისი ანარეკლი. შემთხვევითი თვისებებიდან უკვე განწმედილი და განსაზოგადოებული, როგორც მისი სახება წარმავალ თვისებათაგან გაძრცვილი და მით სრულქმნილი და გარდუვალი.

გარდა ამ განყენებული ცნებებისა ანუ იდეებისა, რომელნი ადამიანისაგან არიან შეძენილ-დამუშავებულნი და რომელნი წარმოადგენენ საზოგადო სახეებს არსებულ საგანთა, ვითარებათა და მოქმედებათა, აღივიანის სულში არიან ისეთი საყოველთაო თუ საერთო აუცილებელი იდეები, რომელთ გარეშე ვერ შეიძლება აზროვნება და მოქმედება პიროვნებისა, ვერც თუ წარმოადგენა და დახატვა რეალურ, თუნდ ქიმერიულ, არსთა. ესენი არიან: იდეა არსებობისა, რაოდენობისა, ურთიერთობისა, სივრცისა, დროისა, მიზნისა, მიზნისა; ამავე იდეების დასეკუთნიან: იდეა ქეშმარიტებისა, სიკეთისა, სიმშენივრისა და, დასასრულ,

იდეა შეუზღუდელის თვითარსისა, რომელი არის პირველმიზეზი ყოველისავე ქმნილებისა. ეს უკვე მეტად რთული იდეებია. ესენი განსაზღვრილ მიმართულებას და სახეს აძლევენ ადამიანის განყენებულ ცნებათა, წარმოადგენათა და შეცნობათა უამრავ სიმრავლეს, რომელიმე წესი შეაქვს მათში, დასდასად ალაგებენ მათ და მწყობრად ამოქმედებენ. ხოლო აქ უდიდესი მნიშვნელობა აქვს უმწვერვალეს იდეას განუსაზღვრელისას: რა სახითაც აღიარებს პიროვნობა ამ მიუწომელ შემოქმედ ძალას, მისი მსოფლმხედველობა იღებს იმნაირ სახეს. იგი განუსაზღვრელი შეიძლება დაისახოს, როგორც თვითარსი პიროვანი და შემოქმედ-განმგებელი მსოფლიოსი; როგორც თვითარსი პიროვანი და შემოქმედი, გარნა აწ უკვე მსოფლიოს გარეშე მდგარი; როგორც რაიმე გარეშემოუწერიელი ძალა თანაარსი თვით მსოფლიოსი, რომელი განვითარდება, საცნაურ იქნება და ხორციელდება ქმნილებებში; როგორც თვითარსი ნივთიერება, რომლის ატომთა თუ ნაწილაკთა დაუსრულებული მოძრაობა და მრავალსახე ურთიერთობა ჰქმნის მთელს მსოფლიოს; როგორც თვით მოქმედი ნებისყოფა შეუსაზღვრელი, რომელი ისწრაფის საცნაურ იქმნას ქმნილებებში და სხვა.

ესეთია შინაარსი ადამიანის ცრობიერებისა და ეს შინაარსი შექმნილია სულის იმ ძალისაგან, რომელი მიმართულია მსოფლიოს შეგნებისადმი, არსთა და მათ მოძრაობათა განქვერეტისადმი.

\*  
\* \*

გარნა პიროვნობაში არის არა მხოლოდ ძალა არსთა განმქვერეტელი და



შემგნებელი, არამედ ძალაც მოქმედი; ადამიანს მინიჭებული აქვს სული არა მხოლოდ მეცნიერი, არამედ სული შემოქმედიც, თვისი შინაარსის განმახორციელებელი მის გარეშე მყოფ ნივთიერებაში თუ ცხოვრებაში. ეს შემოქმედებისაკენ მიმსწრაფი ძალა არის ადამიანის ნებისყოფა თავისუფალი და გონიერი.

ადამიანის სული ჰქმნის მეთქი განყენებულ სახეებს არსებულ ნივთთა, თვისებათა და მოძრაობათა და ამ განსახოგადოებულ ხატებათაგან სთხზავს მთლიან იდეურ მსოფლიოს. გარნა ეს იდიური მსოფლიო ცალმხრივია, იგი არის მხოლოდ ასახვა გონების გარეშე არსებულ ქვეყნიერებისა და არსებობს მხოლოდ ფიქრთა სამფლობელოში, ჰაზრდა სამეფოშია იგი დატყვევებული და განუხორციელებელი, ცნობიერების გარეშე, მეორე მხრივ, სდგას რეალური მსოფლიო. ის შექმნილია მძიმე და უსახო ნივთიერებისაგან, რომელში მოქმედობს მრავალი შეუზღებელი ძალა, რის გამოც ის რეალური არსებები ვერ არიან სრულნი, უნაკლონი და ვერ წარმოადგენენ მთლიან განხორციელებას უებრო იდეებისას; მათში სავსებით საცნაურ ვერ იქმნებიან ის სრული და მშვენიერი იდეები, რომელნიც ცხადქმნილან გონების თვალ წინ ღ ჰხიბლავენ მას თავის დამთავრებული სახით. ამ ორ არსებულ მსოფლიოთა შორის, იდეურ და რეალურ ქვეყნიერებათა შორის, არ არის სრული შეფარდება და მთლიანი შეთანხმება. გონების ძალით განსპეტაკებულს და უხინჯოდ ჩანაქეთილს იდეებს, რომელთ ჩამოკლილი აქვსთ ყოველგვარი შემთხვევითი თვისებები, ვერ უდრიან ნივთიერი არსებობანი, როგორც მექონნი შემთხვევითი თუ გარდაშავალ თვისებებისა. და აი ამ ორ გათავ-

თავადებულ მსოფლიოთა შორის სდგას ძლიერი ძალა თავისუფალის ნებისყოფისა, რომელი დაუცხრომლად ისწრაფის განახორციელოს თვისი დამთავრებული და ჰაეროვანი იდეები მის გარეშე არსებულ ნივთიერ ქვეყნიერებაში თუ რეალურ ცხოვრებაში; ნებისყოფა ისწრაფის თავისებურად გარდაქმნას ნივთიერნი არსნი და მათი ურთიერთობა, გარდააკეთოს ნამდვილი ცხოვრება ისე, რომ იგი მთლად შეეფერებოდეს იმ უმანკო სახეებს და ფორმებს, რომელნი ნათლად დაჰხატვიან მას ჰაზრთა ფარგალში.

ამ სახით იდეები უძრავად კი არა სდგანან ადამიანის სულში, გარინდებულნი, როგორც რამ მოჯადოებული ქმნილებები გაქვავებულ სამფლობელოში, არამედ მარად ისწრაფიან ჩაისახენ ნივთიერებაში, საცნაურ იქმნენ რეალურ არსებებაში თუ ნამდვილ ცხოვრებაში მთელი თვისის სისრულით და მომხიბვლელ სიმშვენიერით, აი ეს განუყოფელი და დამთავრებული შედუღება იდეისა ნივთიერებასთან, როდესაც იდეა უკლებლივ ჩაიხატება ნივთში, ხოლო ნივთიერება შესძლებს უნაკლოდ განახორციელოს იდეა, არის ის ოცნება, რომლისადმი დაუცხრომლად მიილტვის ადამიანის გონიერი ნებისყოფა ყოველ დარგში თვისის მოქმედებისა, როგორც უბრალო საყოველღეო შრომის დროს, ისე თვის მაღალ და საზოგადო მისწრაფებათა ჟამს.

\* \* \*

ესეთი არის აგებულობა ცალკე ადამიანის ანუ პიროვნების სულისა, მისწრაფება მისის მოქმედი ნებისყოფისა და უნარი შემოქმედებისა; ესეთივეა აგებულობა მთელი ერის სულისა, მისწრაფება მისი

მოქმედი ნებისა და უნარი შემოქმედესი-  
სა: ხალხი არის იგივე პიროვნობა, გარ-  
ნა პიროვნობა შემკრებლობითი, კოლექ-  
ტიური. განსხვავება მხოლოდ ის არის,  
რომ ერის სულის შინაარსი უფრო ფარ-  
თეა, ღრმა და ნათელი, რადგან კოლექ-  
ტიური პიროვნობა ხალხისა უფრო ფარ-  
თეა, ღრმა და განსხივოსნებული; ერის  
შემოქმედებითი პიროვნობაც უფრო ძლი-  
ერია და შეუკავებელი, რადგან ხალხის  
შემკრებლობითი პიროვნობაც უფრო  
ძლიერია და თვის მისწრაფებაში უფრო  
შეუსაზღვრელი,

ესე: იდეები არიან პირველსახეები ადა-  
მიანის მოქმედებისა. იდეათა შორის ის,  
რომელიც შეიმოსავს მეტს ძალას და  
ამოქმედებს ადამიანის ნებისყოფას, რომ  
განხორციელდეს სინამდვილეში, საცნაურ  
იქმნას ნივთიერ ცხოვრებაში, არის სა-  
მოქმედო იდეალი პიროვნობისა. იდეალი  
არის სანიმუშო ანუ ტიპიური სახე. რო-  
მელიმე სისრულისა, რომელი ისწრაფის  
ცხადიქმნას ნივთიერებაში; ხოლო გან-  
ხორციელება ამ იდეისა არის შეგნებული  
მისწრაფება სისრულისადმი, უკვე ცხად-  
ქმნილი რეალობაში და, როგორც ესეთი,  
უნდა იყოს უსათუოდ მთლად შეფერყ-  
ბულ-შეფარდებული როგორც სულიერი  
ცხოვრების ძირითად წესებთან, ისე ნივ-  
თიერი არსებობის უმთავრეს კანონებთან,  
და არა ქიშერიული, მსოფლიო კანონე-  
ბის გარეშე და მათი უარყოფელ-დამარ-  
ღვეველი.

აქედან ცხადია, რომ ავტორისა თუ  
ხალხის ნაწარმოებში ჩახატულ სანიმუშო  
ანუ ტიპიურ პირთა შესაგნებლად და  
მათ ღირეულობის დასაფასებლად, აუცი-  
ლებლივ საჭიროა გამოარკვევა იმ უმთავ-

რეს სამოქმედო იდეისა, რომელი ცხად-  
ქმნილა შესაფასებლად აღებულ პიროვნო-  
ბაში და რომლის დასახატავად შექმნი-  
ლია ესე თუ ის ნაწარმოები; თანაც აღ-  
ნიშნული და დახასიათებული უნდა იყოს  
იმ სამოქმედო იდეის დამოკიდებულობა  
სანიმუშო პიროვნობის მთელ მსოფლ-  
მხედველობასთან, ნაწარმოებში რომ არის  
რალაცა საუკუნო თუ გარდუვალი, რო-  
მელი ჟამთა მსვლელობაში არა ჰკარგავს  
თავის ფასს და მიმზიდველობას, არის  
უპირველესად იგი უებრო იდეა საუკუ-  
ნო, რომელს განსკვრეტს ავტორი და  
განიცდის, როგორც უკვე ხორცსმულ  
სინამდვილეს.

(გაკვეთილთაგანი).

კანსუქტი: 1, ადამიანს მინიჭებული  
აქვს ძალა მგრძნობელი, შემგნებელი და  
დამსახველი, ესე იგი მას მინიჭებული  
აქვს სული მეცნიერი; 2, ადამიანს მი-  
ნიჭებული აქვს ძალა თვისის სულიერის  
შინაარსის განმახორციელებელი მის გა-  
რეშე არსებულ მსოფლიოში, ე. ი. ადა-  
მიანს მინიჭებულ აქვს სული შემოქმედი;  
3, მისწრაფება ადამიანისა განხორციე-  
ლებისადმი თვისის იდეურის მსოფლმხე-  
დველობისა რეალობაში; 4, უმთავრესი  
საზომი სანიმუშო ანუ ტიპიურის პიროვ-  
ნობისა არის სამოქმედო იდეალი, რომ-  
ლის მატარებელი არის ის და რომლის  
განხორციელებას ისწრაფის ცხოვრებაში.

თემა: შეფასება ნაწარმოებში გამოყვა-  
ნილ გმირისა, როგორც იდეის მატარე-  
ბელისა და განმახორციელებისა (მასწავ-  
ლებელი დაუსახელებს ნაწარმოებს და  
გმირს).

ვ. ბარნოვი

# ხალხის განათლება, მისი მნიშვნელობა, მიზანი და საშუალება.

(თარგმანი).

წარსული საუკუნე უგულვასაღვს ცნობილია, როგორც საუკუნე ორთქლისა და ელექტრონისა. ამ გვარი განმარტება სავმარისი იქნებოდა, რომ ამ დიკსებასთან ცოტადენი ნაკლულებებაც არა ჰქონდეს, იმიტომ რომ ფიზიკური აღმოჩენანი, რითაც სამართლიანად შეუძლიან თავი მოიწონოს მე-19 საუკუნეში, შეადგენს ნაწილს იმ წარმატებისას, რაცტ კაკეთა კაცობრიობამ ამ ხნის განმავლობაში საზოგადოთ მთელს მეცნიერებაში. ამისათვის ჩვენ უფრო სამართლიანად მიგვაჩნია განმარტება საფრანგეთის ცნობილ კონომისტ—ლევისერისა, რომელმაც მე-19 საუკუნეს სკოლისა და მასთან სახალხო სკოლის საუკუნე უწოდა.

ამ გვარი განმარტება ერთი ორად მართალია. მართალია ერთის მხრივ იმიტომ, რომ ხალხს ჯერ კიდე არადროს ასე ფართოდ ორთქლისა და ელექტრონის წყალობით მეცნიერება ასე არ შეუსისხლხორცებია. არადროს ჯერ კიდე კაცობრიობას ასე დრმად და სკრძნობელოდ არ უგრძნია სხვა და სხვა სწავლა-ცოდნის საჭიროება და ნყოფი: არადროს მას ასეთ უმაღლეს კულტურულ განვითარებაში არ მიუხწევია, როგორც ამ უკანასკნელს 100 წლის განმავლობაში. მეორე მხრივ, არადროს ასე ნათლად და გარკვევით

კულტურულ კაცობრიობას არ უგრძნია მეცნიერების და ცოდნის შეძენის საჭიროება; არა დროს კაცობრიობას ასე შეგნებულ სურვილი არ ჰქონებია გადაეტანა აუცილებელი მეცნიერული ცოდნა სხვა ხალხშიაც, როგორც ამ უკანასკნელ ასი წლის განმავლობაში ეს მოჭნდა უცბად კი არა, არამედ თანდათანობით, გარკვეულ ფაქტორთა ზედ გავლენით. როგორც მაგალითად სწავლის სურვილი და საჭიროება შეჭქონდათ საზოგადოების ფართე მასში.

სკოლა, როგორც ჩვენ ქვემოთ ღავინახავთ წმინდა არისტოკრატიული დაწესებულება იყო. რავდენიმე ათი საუკუნე, ბევრი სულიერი, გონებრივი და ბეგრჯელ მტერიადურის მხრივ შევიწროება იყო საჭირო, რომ კაცობრიობას საბოლოოთ შეეგნო და გაეთვალისწინებინა არამც თუ უგულვას უფლება, არამედ თვითოეულის ვალდებულება ესწავლნათ საზოგადოების მდგომარეობის დამოუკიდებელივ. ამ სახით სკოლამ თანდათან ახალი დემოკრატიული ხასიათი მიიღო და გახდა, როგორც იტყვიან, სრულად სახალხო.

როგორც ზემოთაც ვსთქვი, დიდი შკობა იყო საჭირო, რომ კაცობრიობას საბოლოოთ შეეგნო საუფელთა და სავალდებულო სწავლის საჭიროება. დიდი მასწავლებელი კაცო-

ბრიტანის ხვით ცხოვრებას თავის მოულოდ-  
 ხელ—ცვლილებებით, რომელიც ხშირად და-  
 მოკიდებულია სხვა უფრო ძალგან მსწავლე-  
 ბეზე, ისტორიაზე, რაც ნათლად გვჩვენ-  
 ებს განათლების საჭიროებას და დამკვიდრე-  
 ბას. „პრუსიამ დამარცხა ავსტრია 1866 წ.,  
 გერმანიამ საფრანგეთი 1871 წ. ეს ისტო-  
 რიული მომენტი დიდხანია ხალხისგან გა-  
 დასხვავებულია ამ გვარად: „ავსტრია 1866  
 წ., საფრანგეთი 1871 წ. დამარცხეს არა  
 პრუსიის და გერმანიის ჯარებმა, არამედ  
 გერმანელთა სკოლის სახალხო მსწავლეობ-  
 ლებმა“.

ეს აზრი ანდაზად კი გადაიქცა, რაც  
 ზედ გამოტყობდა საუბედურთ რუსეთისაგან  
 იაპონიისთან გამტარებულ ომზე. მუკაენის  
 და ცუსიმის მსგავსი გაკვეთილები, რომელ-  
 საც ბევრი უდანაშაულო მსხვერპლი შეეწირა,  
 კაცობრიობისთვის უბრალოდ არ ჩაივლის.  
 განათლებულ-გაწრთნილ მოწინააღმდისგან  
 ურცხვად დამარცხებულმა უზარმაზარმა რუსეთ-  
 მა, რომელიც უკვლავ უძლეულად და საშინათ  
 ეჩვენებოდა და ნახევრათ კი შეუგებელია  
 და უკულტურო, მხოლოდ დღეს ისწავლა ტკუა  
 და იწუბს განათლებულს ცხოვრებას.

უკვლამ საკმარისად შეიგნო, რომ რუსეთის  
 განსახლებლად საჭიროა მოჭბდეს ფართე სა-  
 ხელმწიფობრივი რეფორმები, არამც თუ სა-  
 ზოგადო, არამედ კერძო პირთათვისაც. ამ  
 გვარი აზრი და შეხედულება ხალხში კი დაჭ-  
 ბადა რუსეთის უკანასკნელმა ომმა. უკვლამ  
 უცბად შეიგნო, რომ დახვსებული რუსეთი  
 ამ მოკლე ხანში უნდა განახლდეს, იწუოს  
 სახლი ცხოვრება და დაადგეს სახლ გზას.

განათლების შეტანა უკვლას სფეროში,—  
 აი საზოგადოთ ახლანდელი დევიზი. თვით  
 სიტუვა განახლებას ფილოლოგიურად კავშირი  
 აქვს განათლებასთან. აი რა გვინდა ჩვენ პირ-  
 ველ უფლისა, აი რა არა გუქონდა აქნობამ-  
 დის და აი რისთვის უნდა ვიბრძოდეთ: გა-

ნათლება, ხალხის ფართე განათლება. ვიკით-  
 ხთ მაინც რა არის ხალხის განათლება და  
 ან რა უნდა გვესმოდეს ამ ტერმინათ? ვიდრე  
 მე ამას სრულს განმარტებას მივცემდე, სა-  
 ინტერესოა ვინცოდეთ თუ ამ ტერმინათ ძველს  
 დროს რას გულისხმობდნენ.

საბუთები, რომლებსაც ქვემოთ დავასახე-  
 ლებ, ნათლად დამტკიცებენ, რომ განათლე-  
 ბა და სკოლა უცბად კი არ კახდა დემოკრა-  
 ტიული, არამედ პირველად იყო წოდებრივი  
 და არისტოკრატიული.

სულ უძველეს დროს დღეიდან 5 ათასი  
 წლის წინდ ტიგრის, ეფრატის, ნილოსისა და  
 განგას ნაპირებზე განათლება მარტო ამოკ-  
 ჩეულ პირთა, კერძთ თავანის მცემელთა სა-  
 მდგდელიობის და შემართა ხვედრს შეადგენ-  
 და იმდენად, რომ ამგვარ ცოდნით შეფუები  
 კამოსულიყუნენ. ბაბილონში, ეგვიპტეში და  
 ინდოეთში სკოლა ემსახურეოდა მხოლოდ  
 საწმუნებებას \*).

ინდოეთში საქმე იქამდისაც კი მიდიოდა,  
 რომ დაბალ წოდების ხალხს აკრძალული-  
 ჰქონდა წმინდა სადგოთ ტექსტების კითხვის-  
 თვის უური ეგდო. იმათის აზრით წყრკით-  
 ხვის ცოდნა დედაკაცებს ჰრუნია და, წყრ-  
 კათხვის შესწავლის ნებას ამის გამო აძლეუ-  
 ნენ მხოლოდ გამჩენილ მოთამაშე. მომდუ-  
 რად და მგოსან ქალებს.

\*) არხეოლოგიური გამოკვლევანი, რომელიც  
 მოჭბდა მე-18 საუკუნეში მესოპატამიაში და  
 ეგვიპტეში მოწმობენ იმას, რომ ბაბილონელები  
 არამც თუ კულტურულის განვითარებით  
 მილლა მდგარან, არამედ სარდანაპალის დროს  
 იმათ შორის წერაკითხვის უტოდინარი ერთიც  
 არა ყოფილა. იმგვარი მოვლენა აღინიშნება  
 მხოლოდ ბაბილონიის ეპოქის ალყავებაზე და  
 მის დაბოლოებაზე. ეგვიპტეში კი წერის სამ  
 გვარ სისტემის არსებობა: ჰიეროგლიფური, გიერა-  
 ტიული და დემოტიკური კვათითებს წერის  
 წმინდა სარწმუნებების ხასიაზე.

არც უძველესი ებრაელები იუკნენ წერაკითხვის მცოდნენი და განათლებულები; გამოხატვის ამათში შეადგენდა მხოლოდ სამღვდლოების და ლევიტების ჩამომავლობანი. ჩინეთში თვით წერის სისტემა, რომელიც, როგორც ყველასაც მოეხსენება, წარმოადგენს ცალკე ჰერეოგლიფურს, ცალკე აზრის აღსანიშნავად და გამოსატყელოდ, რის შესწავლაც დიდ შრომას მოითხოვს და ძნელიცაა ცოტადენი მაინც რომ შეისწავლო, ამის გამო ამას სწავლობდნენ ისინი, ვისაც გადაწვეტილი ჰქონდა თავი შეეწირა სახელმწიფოს სამსახურისთვის. უძველეს დროის სახალხო სკოლა წმინდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის იყო; სკოლის კარზე სტოვებდნენ ბერძენთა დარბი ხალხთა კლასს, და რომელთა მონებს, რომელთათვისაც თვით ღვთისნიერმა პლატონმა ამ მხრივ შესაფერისი თანაწიერი უფლება ვერ მოუძოვა ამათ სხვა დანარჩენ ხალხთან. პირიქით სპარტანელებს, ათინელებს და რომაელებს ის უფლება და მისწრაფება ჰქონდათ, რომ აღეზარდათ სახელმწიფოსთვის ნამდვილი შესმენილი მოქალაქენი.

იმ დროის ცნობილმა მ. ტულის ციცერონმა სთქვა: „ჩვენ უნდა შევისწავლოთ მხოლოდ ის ხელოვნება, რომლის საშუალებითაც შეგვიძლება საჩუქრება მოვუტანოთ ჩვენს სახელმწიფოსაც“. სახელმწიფოებრივი აღზრდითი ხასიათი სპარტანელებს ანდაზადაც კი გადაეჭრათ. ათინელები კი, როგორც სჩანს, განათლებას და აღზრდას უფრო ღრმად და ფართოდ უფერებდნენ, რომელთა უპირველეს შეცადინებას შეადგენდა ის, რომ სახელმწიფოსთვის ნამდვილი კაცური კაცი და შესმენილი მოქალაქე აღეზარდათ. ამასთან ერთხელ თუ არისტოტელმა გაკვირით საუბრობდა სწავლის აუცილებლობაზე წარმოსთქვა აზრი, იმას მხედველობაში ჰქონდა ამავე დროს ყველას უფლებრივ გათანაწილება და არა უბრალოდ ხალხისნობა და მონობა როგორც ესდის.

ამ გვარად ყველა უძველეს ხალხისთვის (გარდა სპარსელებისა, რომელთა სახელმწიფომაც დამოუკიდებლობა სულ მოკლე ხანში დაჰკარგა), როგორც ჩვენ ვხედავთ განათლება და მისი გამაგრებელი სკოლა მათის აზრით ხალხის ამორჩეულთა ხვედრი და არისტოკრატიული დაწესებულება უფოთილა. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ძველ დახვედრულს ქვეყანაზე მეცნიერების ახალმა სიფხამმა ამოაშუქა, რომელიც თავმოქონე მეფეთა და მონათა ერთ ერთ სიყვარულს ქადაგობდა, ამ სწორედ ამ დასიდან იწყება ხანა დემოკრატიულ სწავლა განათლებისა.

თვით ქრისტეც ადამიანის გონებას კი არ მიჰმართავდა ხალხე, არამედ გულს და რამდენადაც ამგვარი მიმართვა გულწრფელი იყო, იმდენად უფრო უკეთესი იყო. არც იესო ნაზარეტელი, არც მომეტებული ნაწილი იმის მოწაფეებისა არამც თუ მეცნიერები არ იუგნენ, არამედ ღრმად განათლებაც კი აკლდათ.

აქობამდის ჯერ კიდევ სადაც საკითხათა გადაჭრული ის, იცოდნენ იმათ უბრალო წერაკითვა მაინც თუ არა?

იმათ მიერ ძველი აღთქმის წიგნების შესწავლა და მასთან ტალმუდისა, რომელიც მე-2 საუკუნეში ქრისტეს შემდეგ დაიწერა და ამ დრომდის კი „ზეზირ გადმოცემითა“ ისწავლებოდა, ნყოფი უნდა იყოს იმისა, რომ ისინი გულდასმით ისმენდნენ ამ მოძღვრების ტექსტებს ტაძრებში, ებრაელთა სამლოცველოებში.

განათლების შექმნა შემდგომ ეკლესიის სამსახურეთა აუცილებლობასაც კი შეადგენდა, რომელთაც ცოტადენი წერაკითხვა მაინც უნდა სცოდნოდათ. მართლაც შუა საუკუნეების განმავლობაში წერაკითხვის შესწავლას ჩვენ მხოლოდ მონასტრებში ვხედავთ, რაც წმინდა სარწმუნოებრივი ხასიათისა იყო, და შუა საუკუნეების სხოლასტიკები, რომელთაც არისტოტელის სწავლა არაბების და ებრაელ-

ბის დახმარებით შეისწავლეს, თამაშათ აცხადებდნენ: philosophia ancilla theologiae est (ფილოსოფიის ღვთის შეტყვევებას ხელქვეითია). ამით ნათლად ირკვევა მაშინდელი განათლების მნიშვნელობა, რომელიც განსაკუთრებით ეკლესიას ემსახურებოდა. თვით სიტყვა მირიანი (laicus, laique) წარმოსდგება ბერძნულ სიტყვა laos (ხალხი, უბრალო ხალხისნობა) ე. ი. ჭინწხავს დაბლს წოდებას, არა არისტოკრატიულს.

ახალი ეპოქა რომ დადგა, მაშინაც კი ხალხი სკოლას ისევ ძველებურად უყურებდა, და სწავლა ხალხის ამოწვევითა და არისტოკრატთა ხვედრს შეადგენდა. არც რეიხლინს, არც კრაზმუ, როტერდამიელს და არც უფრის ფონგუტენს არ მოჭსვლიათ თავში ის აზრი, რომ მიემართნათ ხალხისთვის, რომ სწავლის შექმნა და სკოლა მათთვისაც ხელ მისაწდომი უფიქროს და არა მარტო გამომჩინილ, არისტოკრატთა ხვედრი. არც დანტეს, არც ბოკაჩიოს და ზეტრაკის თავიანთ თხზულებებში ხმაც არ ამოუღიათ იმის შესახებ, რომ საჭიროა ფართე განვითარება და ცოდნის შექმნა უბრალო ხალხისთვის.

ამ ზემოთ დასახელებულ იტალიის ზოეტებს მაინც დიდი ღვაწლი მიუძღვით ხალხის წინაშე იმით, რომ ხალხის გასაკვებ ენაზე სწერდნენ.

ამ მხრივ იმით აჭარბებს რეფორმაციის დედა ბოძი და მონტიქელი იმისა მარტინ ლიუტერი. ეს შორისმჭვრეტელი მოაზროვნე სწრაფად დაწმუნდა და ერთად ერთ საადვილო მოსახერხებელ საშუალებათ კატოლიციზმის წინააღმდეგ საფუძვლიან საბრძოლველათ ხალხის შეგნებულ ბრძოლა აღიარა სარწმუნოების საკითხებზე. კათოლიკეთა სამღვდელთების მიზანს და მისწრაფებას შეადგენდა ის, რომ მას ხალხი მთლად უვიცი და გაუწილადი ქუთლდა, რომ ამ გზით უფრო მეტი ეპატონათ და მეტი ექსპლუატაციის (გაყვლება)

მოკედინათ მათზე. ზირიქით, ამის საწინააღმდეგოთ ლიუტერმა შოთხთვავა, რომ ეველას შეძლება ჭქონოდა წაქეითხნა სამღროთ-წერილი, გამოეთქვა თავისი აზრი და შეხედულება თანხმად ლიუტერის მიერ შედგენილ „სახარების“ მსგავს კატეხიზმში ნათქვამ განხებისა. ხალხში ამ გვარ კომფირმაციის გატარებამ, რომელიც დაკავშირებული იყო სარწმუნოების და საღვთო წერილის ტექსტების საფუძვლიანთ შესწავლასზე, ამ აზრების მიმდევარ პროტესტანტებისთვის სავალდებულო გახდა წერა-კითხვის შესწავლა. უკანასკნელები დიდის სიამოვნებით დათანხმდნენ გაქსნათ მათთვის რადენიმე სკოლა სოფლად და ქალაქად; წინათ კი კათოლიკეთა სამღვდელთა უოველ ამგვარ დაწესებულებას იდეით რათ ებრძოდა და ეწინააღმდეგებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ხალხში სწავლის სურვილს ჯერ კიდე საშუალო საუყუნოების მეორე ნახევარში, განახლების ეპოქის იდეების წყალობით, ნიადგი ჭქონდა მომზადებული. საინტერესოა ვიცოდეთ პროტესტანტთა ეს სკოლები არსებითად საუფელთათ განათლების ხასიათის სკოლა იყო თუ არა?

ამ საკითხზე საწინააღმდეგო ზასუხი გვიხდება ვსთქვათ. მოგუსმინოთ თვით ლიუტერის რას ამბობს ის ბავშვების სწავლა-აზრდაზე: „სულითა და გულთ ენადე, ამბობს ის, რომ შენმა ემაწვილმა სასულიერო საგნები შეისწავლას, რომ ჯერ ღმერთი შეიუყარონ და შემდეგ საქვეურო საქმეებს შესწირონ თავიო“.

„ჩემის აზრით \*) საჭიროა ბავშვები უფელ დღე ერთი ან ორი საათი ჭეზაწროთ იმ სკოლებში, რომელიც მე აზრათა მქვს გახსნა და დაწარჩენი ღრო იმუშაონ და შინაურ საქმეებს დაუბრუნდნენ“. ჯერ კიდე წი-

\*) მიწერილობა ბურგომისტრებთან და გერმანიის სამოქალაქო საბჭოს წევრებთან.

ნეთ, როდესაც რეფორმაციონულმა მოძრაობამ გრანდიოზული (საშიში) ხასიათი მიიღო, რასაც თვით ლიუტერი არ მოელოდა და წინააღმდეგი იყო იმისა, რომ სარწმუნოებაზე ატეხილი ბრძოლა სისხლის მღვრელ ომით გარდაიქცა, რასაც კი ნამდვილათ სარწმუნოებასთან არაფერი საერთო კავშირი არა ჰქონდა, ამის შემუშავებელ ხელმძღვანელს ილაჯი უწყდებოდა და წინააღმდეგი იყო ამისი, რის გამოც, როგორც ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, იმან სხვა მიზანი და საშუალება გამოიგონა ხალხის განათლებისთვის.

„თუნდაც რომ არც სული, არც ცა, არც ჯოჯოხეთი არა უთფილიყოს ქვეყნათ და მთელი ჩვენი არსება საერთო—სახელმწიფოს მთხროვნელებებისათვის შეგვეწივნა, განაცხადი არ არის, რომ მაშინაც ამგვარივე სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვენ ხალხისათვის უფრო კარგს სკოლებს, და უფრო კარგ ნაწავალ ხალხსო, ვიდრე ჩვენი მტრადინეობა მოწმუნეთა სულის საცხოვრებლად“. თავის „მოძღვრებაში იმაზე, რომ გაიგზავნოს უმწიფელები სკოლაში“ ლიუტერი ამბობს:—„თუ კი მთავრობას შეუძლიან აიძულოს თავისი ქვეშევრდომნი შეიარაღოს ხიმტებით და თოფებით და სამრათ გამოიყვანოს, განა ის უფრო კარგი არ აქნებოდა, რომ მთავრობამ ასევე აიძულოს თავისი ქვეშევრდომნი, ასწავლონ თავიანთ შვილებს სკოლებში“.

ლიუტერის აზრი სკოლის მნიშვნელობაზე პირველათ განხორციელდა ცხოვრებაში იოაკიმ ბუგენგაგენმა, რომელმაც ჩრდილოეთ გერმანიის ზოგიერთ ოლქებასთვის შეადგინა სპეციალი „საკლესიო და სასკოლო წესდება“. თუ რა ძნელი შეიქმნა ცხოვრებაში ამ წესდების სრულიად განხორციელება, ამაზე ჩვენ აქ, ადგილის უქონლობის გამო ვერ შევსაძლებით და დავკმაყოფილებით მხოლოდ სახალხო განათლების საქმის უმახლობლეს რე-

ფორმაციონულ მოძრაობის ზოგიერთ შედეგების ჩვენებით. ეგნატე ლოიოლის საზოგადოების წარმოშობის შემდეგ გაიხსნა ბევრი სკოლები იესუიტთა გემოზე მოწყობილი, რომელსაც მიზნათა ჰქონდა დასასული ნახევრად უსწავლელი პროტესტანტთა მოწინააღმდეგეთა სავარისთ განათლებული და კატოლიციზმის მომხრე მებრძოლი ჰყოლოდა. უველასათვის ცხადია, რომ იესუიტთა სკოლებს განსაკუთრებით საომარი მიზანი ჰქონდა და სწორეთ ამის გამო წმინდა საღვთისმეტყველო ხასიათისაც უნდა უთფილიყო. ამ სახით, ხალხის საყოველთაო განათლების საქმე ხელ შეერთე სარწმუნოებრივ ნიადაგზე გადავიდა, სკოლამ მიზნად ისევე ვიწრო—სპეციალური მიმართულება მიიღო და ცდილობდა ხალხში განსაკუთრებით სარწმუნოების დაშვიდრებას. ლიუტერის დროს სკოლა თანდათანობით დემოკრატიულივასდა, შემდეგ კი ისევე კლასობრივ ინტერესებს ემსახურებოდა, ვიდრე საზოგადოებრივს. ოცდა ათი წლის ომის საშიშროებაში, რომელიც დაბოლოვდა პროტესტანტიზმის ბრწყინვალე გამარჯვებით, სბოლოოდ შეარგია ხალხის განათლების საქმე და დიდხნობამდის შეაყენა საზოგადოთ ხალხის განათლება. დასასრული მე-17 და დასწყისი მე-18 საუკუნოებისა დღესასწაულობს საზოგადოებრიულ და კონებრივ მიმდინარებაში სარწმუნოების საკითხთა ინტერესების დაცემას, რომლის სამაგიერო ადგილი პოლიტიკურ ხასიათის საკითხმა დაიჭირა. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში განათლების შესახებ მომხდარმა მოძრაობამ ხელმეორეთ აღძრა ინტერესი ხალხის განათლებაზე და გაათავართოვა სახალხო სკოლების პროგრამა დასავლეთ მხარეს. იმ ხანებში სკოლა იქ მაინც არ სზობდა ესწავლებინა მარტო შეძლებულ და მდიდარ მშობელთა შვილებსათვის.

დამონაგებული, უუფლებო მას თავისდა

საუბედუროდ შეუძლებლობისა გამო სკოლას უფრო მდიდარ კლასთა ხელმისაწვდომით ვხვდებით. თუ ამ მხრივ მაგალითად რამდენად ცუდად იყო სწავლა დაუენებელი საფრანგეთში, ამას ჩვენ ვხედავთ ე. ლუვასის შემდეგ სიტუაციებიდან, „ბევრ სკოლებში სავატიო ხარისხს მწერლებისას, მთხუზელებისას (Писателей) არქმეუდნენ იმ უმაწვილებს, რომელთაც ცოტაოდენი ცოდნა შესწევდათ მხოლოდ წერისა \*).

ყოველივე ეს კი ხდებოდა იმ დროს, როდესაც ევროპაში დიდებული რეფორმაციის ვაჟდენის გამო, უკვე ას წელიწადზე მეტს არსებობდა სახელმწიფოების პირველი დადგენილებანი სსწავლებლების მოწეობის შესახებ, რის გამოც ამ ხნის განმავლობაში გამოჩენილ გენიოსების, როგორც მაგალითად: ჰატონი, იან-ამოს კომენიუსი, ლაკი, მონტენი, ფენელანი, როლენი და რუსო მთელს აზვიანთის ძაღდონით და ცოდნით ცდილობდნენ გაეთართოებინათ და რიგინად მოეწყოთ ხალხის განათლება. ამ მეტრობლთა გეგმარიტებაზე და სიმართლეზე ქადაგებამ ნათელი მხოლოდ საფრანგეთის დიდებულ რეკოლიუციის ხანებში გამოიღო. 1789 წ., გვიანტში, როდესაც ხალხისკან მოწონებულ და მიღებულ „დეკლარაციაში ადამიანის და მოქალაქის უფლებები“ მოთავსებულია ერთი მუხლი, რომელიც ამ გვარი შინაარსისა: „ხალხის განათლება ისე ორგანიზაციულათ უნდა მოეწყოს, რომ სწავლა ევლასათვის საყოველთაო და უფასო იყოს. ამ მხრივ რომ ასწავლიდნენ ხალხს მხოლოდ ამას, რაც მისთვის ევლასზე აუცილებელია“. ეს იყო დიდებული სსმსახური რეკოლიუციის მოდვარეებისა. მაგრამ სიტუვს და საქმე ერთ-

მანეთზე საკმარისათ შორი-შორს ივგნენ. რეკოლიუციის მოდვარეებს დრო არა ვქონდათ ამ გვარი საკეთილო თეორეტიული მოსახრებანი ცხორებაში პრაქტიკულათ განხორციელებინათ. მაგრამ თვით ხალხის განათლების ასე იდეალურად დაწეებისათვის უკვლავ ვუკვს იმთ თავი. ალორედ რამბო ავტორი საფრანგეთის ცივილიზაციის შესანიშნავ ისტორიისა სწერს: კონვენტის მოდვარეთა ერთ უდიდეს სამახსურათ თავიანთ შესანიშნავ იდელებით ის უნდა ჩაითვადოს, რომ ისინი ერთგულათ ეკიდებოდნენ ხალხის განათლების საქმეს, სსახალხო მასწავლებლთა მდგომარეობას და ელემენტარულ სკოლების პრეკრამას.

მაგრამ საუბედურათ ამ გვარი იდელები ბევრით მადლა იდგა იმ ხარჯებზე, რაც განზრახვა ვქონდა კონვენტს სკოლებზე დაეხარჯნა. მას აქეთ თითქმის აწ არსებულ რესპუბლიკამდის არც ერთს სახელმწიფოს არ დაუსახნია მიზნად სახალხო სკოლის იდეალურად მოწეობა, ვიდრე ეს თავს არ იდვა თვით კონვენტმა. ამ გვართ, მართალია კონვენტმა ის თავის მოვალეობა, რაც მან საიდეალო მიზნად დაისახა, ცხორებაში ვერ განხორციელა, მაგრამ იმას მაინც გზა უჩვენა სხვებს, რომ მოვალენი ვარ მივისწრაფოდეთ ხალხის განათლების საქმის ორგანიზაციულად მოწეობისთვის და შევიმუშავოთ პრინციპი ამ გვარ ორგანიზაციისათვის \*).

ლ. იოლას წიგნში „ხალხის განათლება ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოებში“, თარგმანი რუსულად ა. სანინისა, გვ. 129) ვკითხილობთ: „რეკოლიუცია, მართალია, დიდის ინტერესით ეკიდებოდა საზოგადოების დაბალ კლასთა სუდიერ განვითარების საქმეს, მაგრამ პრაქტიკულად ვერაფერ შედეგებს ვერ მიახწია“. ეს სრულებით მართალი არ არის: შედეგი, და ისიც უმთავრესად პრაქტიკული,

\*) Срав. П. Мижувъ, „Элементарное образование“ въ 80 полут. „Энциклоп. сл.“ Брок. Ефрона, ст. 621.

\*) П. Мижувъ, 1, с., р. 621.



მდგომარეობდა იმაში, რომ თვით ფაქტიურად აღეარებინა ხალხის საყოველთაო სავალდებულო სწავლა, თორემ ისე რა იქნებოდა. დღიდან საფრანგეთის რევოლუციისა, ეს საკითხი ხალხის განათლებისა პრინციპიალურად მიღებულ იქმნა სახელდობრ სახალხოდ და, სკოლა, მართალია ზღრველ ხანებში თეორიულად არისტოკრატიულადაც აღარ იწოდებოდა, რის შემდეგ სკოლა განდა წმინდა დემოკრატიულ ხასიათის დაწესებულებათ.

შემდეგ განმარტებაში ჩვენ მოკლეად გავცნობით იმ დაბრკოლებებს, რასაც კულტურული სახელმწიფოები განიცდიდნენ წინათ, ვიდრე ისინი შეიგნებდნენ სამართლიანს დემოკრატიზაციას სკოლისას, ისიც პირველ დაწვეებისას. ამ გვარი საქმე ისე უცბათ არსებობდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ევროპაში აქნობამდის არსებობენ იმგვარი სახელმწიფოები, რომლებიც ჯერ კიდე შორს არიან და უარს ჰყოფენ საყოველთაო სავალდებულო სწავლის პრინციპიალურად განხორციელებას, რომელთა რიცხვს სამწუხაროთ უზარმაზარი რუსეთიც ეკუთვნის.

ამგვართ ჩვენ ვხედავთ, რომ ხალხის განათლების მიზანი და თვით ხასიათი იმისი სხვა დროს, სხვა და სხვა ხალხს სხვა და სხვა ჰქონდა. მასთან თვით მისი მნიშვნელობა ეკვლიან და მუდმივ ერთგვარად როდი ესმოდათ? მაგალითად სამღვდელთების სკოლები ინდოეთში, ეკვიპტოში და საზოგადო სასწავლებლები სპარტანელებისა და მასთან რომისა, იმდენად არ ასწავლიდნენ, რამდენადაც ჰზრდიდნენ ბავშვებს იმგვართ, რომ ისინი ან მღვდლები და ან სახელმწიფოს მოხელეები გაეხადნათ (მაგალითად ჩინეთში). თვით ათინელები, ეს დედა ბოძი და ცენტრი უძველეს სახელმწიფოთა განათლებისა, ისიც

ნიც კი თავიანთ განმანათლებელ დაწესებულებებში, ემაწვილებს იმდენად განათლებას არ აძლევენ, რამდენადაც განსაზღვრულს სისტემატიურს აღზრდას. საშუალო საუკუნეებშიაც ხალხის განათლებასთან ერთად სარწმუნოების წმინდა ფუქსავატურ მიზანს მიზღვევენ. მხოლოდ შემდეგ რომ ხალხს შეეგნო განათლების მნიშვნელობა და გაეტარებინა სწავლა-აღზრდის სურვილი ხალხის ფართე მასაში, ამგვარი სამხასური ეკუთვნის მხოლოდ ახლადროს. ესლა სკამარისათაა გასაკები ის, რომ სწავლება და აღზრდა არსებითად ერთი და იგივეა.

გამოჩენილ სტრასტბურგის უნივერსიტეტის პროფესორის ტეობალდა ციგლერის აზრით „აღზრდა“ ეს არის მოთქმებულად და სისტემატიურად სწავლა-ცოდნის ხელშეწყობითი შეთანხმება, რის შემწეობითაც კაცი ხდება იმათ, რაც ის თავის ღირსებით და დანიშნულებით უნდა გამხდარიყო, ე. ი. კაცი, ამ სიტუვის მთელი მნიშვნელობით. (სხვა სიტუვებით რომ ვსთქვათ აღზრდა და სწავლება კაცისა ჭინშავს იმას, რომ მასში განავითაროთ უოველივე მშვენიერება, ჩავაქროთ უოველივე გარეუნილება, რომ ის შეიქმნეს და გახდეს ფაქიზ ზნეობის მატარებელ არსებათ.

ცხადია, თუ ამგვარ შედეგს მივახწევთ, მაშინ სკოლა თავის წმინდა დანიშნულებას შეასრულებს.

მაგრამ შესძლებს კი სკოლა განხორციელოს ეს; ან განა ამგვარი მიზანი უტოპიური არ იქნება? განა ფართე არ არის მისი ამგვარი საკითხი? შეუძლიან ან კი ამას გაუძღვას მთელის თავის შეძლებით? სამწუხაროდ უოველ ამ საკითხებზე უკუთქმით უნდა ვუბასუხოთ.

კოტე ხეხნიაშვილი  
(შემდეგი იქნება).





„რაცა ვისა ბედმა მისცეს,  
დასჯერდეს და მსახურებდეს:  
მუშა მიწყვი მუშაკობდეს,  
მეომარი გულოვნებდეს!“

ძალიან საქებურიაო, რომ კაცი ემსახურებოდეს მთელს კაცობრიობას, მაგრამ ჩვენ სად შევძლებთო ამას, ჩვენ ჯერ საკუთარი ჭირ-ვარამი გვაქვსო, ჩვენ ჩვენს ხალხს უნდა მივხედოთო, მას ვემსახუროთო, ხალხი უწიგნოთ დარჩენილაო. თუშები, ერწოელები, მოწათფენი წერაკითხვის მცოდნენი, თუ არიან სადმე, ყველანი ქართულ წიგნს თხოულობენო, მეტადრე იმერლები, რომელთაც ჩამოჰყავთ ღვიძლი შვილები და მსახურად აღწევნ და აღებისაგან იმის მეტს არ თხოულობენ, რომ მათ შვილს წერაკითხვა შეასწავლონ. უწიგნობისა გამო მინახავს ბევრნი, რომ სწავლობენ რუსულს და ნელ-ნელა რყენიან თავიანთ ღვიძლს ენას: ჩქარა შველა უნდაო საქმეს, ჩქარა ხელი უნდა მოვკიდოთ ქართული წიგნების ბეჭდვა-გამოცემას. თითოეული გვარტომი მოსათმენიაო სოფლად და თითოეულისთვის სამსახური იგივე კაცობრიობისათვის სამსახური არისო. ყოველმა იზრუნოს თავისთვის და ამ თავისთვის ზრუნვით შესდგებაო კაცობრიობისთვის ზრუნვა.

მაშ ბეჭდვით ქართული წიგნები, მიეცით ხალხს წიგნის სწავლის სახსარიო. ამ წერილს დღევანდლამდე შეუნახავს თვისი სიანხლე.

ამაზედ უმეტეს რიხითა და გაბედულეობით დაწერილია აექსონის მიერ წერილი „მასე“, რომელიც დაბეჭდილია 1865 წელს, როდესაც სემინარია დაასრულა („ცისკარი“ ნოემბრის №). აექსონი შეეხება თანამედროვე ჭირ-ვარამს, ყრუ ბრძოლას, ატეხილს ახალგაზნდა და ძველ

საქართველოელებ შორის. წერილის დაწერის საბაზად გამხდარა ბ-ნ ლვიმელის მღერვა, რომ ჩუბინაშვილს თავის ჭირ-ტომატიაში არ შეუტანია ილია ჭავჭავაძის და ან აკაკის ნაწერთაგან რაიმე და იმავე დროს თავისი წიგნი აუვისა ძველ ნაწერების ნიმუშებით, იმ ძველებისა, რომელთაც „გაჩაღებული ლიტერატურა“ არ დაგვიტოვესო. აი ამას ვერ ეთანხმება აექსონი, აი ეს აღებინებს ხელში კალამს, რომ დასწეროს უბადლო ჩვენში ფილიპპიკები, დიდ გაბედულობით მორკმულად გამოანასკვილიო. აექსონი იწინამძღვრებს დ. გურამიშვილის სიტყვებს:

„პირს ფერობა, უკან ზრახვა  
არა თქმულა საფარსაგო,  
სჯობს ტყუილით ქვე ყოფასა,  
ზე სიმართლით ავიბარგო.

(აღწინდ) ვაზის მრგველთან ის არ ვაქო, ვინც მის ნაცვლად ძეძვი დარგო“ გული ჰკრთისო, განაგრძობს აექსონი, როდესაც წარმოიდგენ, რომ ჩვენი კურთხეული საზოგადოება ნელ-ნელა იღვიძებს, გიხაროთ კაცს, რომ გამოჩნდნენ საქართველოშიაც ისეთი კაცები, რომელთაც წრფელის გულით მსურთ საქართველოს წინ წაწევა, განათლება და გაბედნიერება. მაგრამ სამწუხაროდ, ამ სურვილს იგინი აცხადებენ მხოლოდ სიტყვით, საქმისთვის კი ხელს არ ანძრევენ, არაფერს არ აკეთებენ, იმათი თვისება მართო ქუხილია და არა წვიმაც. იმ ანდაზისა არ იყოს, როგორც ჰქუხან, ისე რომ აწვიმონ, იგინი, ჯერ კიდევ მძინარე საზოგადოებაში, ემსგავსებოდნენ ციციანათელას, ღამის სიბნელეში მანათობელს. მაგრამ გვიხაროთ კიდევ, რომ საიმედო სიტყვებით იხარჯებიან, ეგების ამას ზედ საქმეც მოჰყვეს.

სამწუხაროდ მათ სჭირთ ცული ზნე:

სე არ დაიწყებენ ლაპარაკს, რომ მამა-  
 აბა არ გამოგვიღანდღონ, თავისი ქუჭუკი  
 მამა-პაპას არ მოახვიონ. აი მაგალითებო,  
 ილაღ ღვიმელი თავის სტატიაში „ჩვენი  
 პროცების მწერლები“ („ცისკარი“ 1865  
 წ. ივნ.) ძლიერ უწყობდა ჩვენს მამაპაპათ  
 მისთვის, რომ იმათ გაჩაღებული ლიტე-  
 რატურა არ დაუტოვეს მის ბრწყინვალე-  
 ას, ლანძღავს და თვითონ კი არიან  
 იხეზნი ჩვენი ერის დამცირებისა და გა-  
 ექმებისა. ლანძღავენ მამაპაპას, სეირნო-  
 ენ მაზე როგორც სურთ და თავიანთ  
 ება-დიდებას მოსთქვამენ. ძველი შთა-  
 მომავლობა ასვენია უკვე სამარეში. სახ-  
 არი აღარა აქვს, რომ თავი დაიცვას,  
 ეღონოა, რომ ღონიერს ჰასუხი გასცეს.  
 ოლო ღონიერთან—ნათქვამია—ყოველ-  
 ვის უღონო დამნაშავეა. ის კი ავიწ-  
 დება ამ თავმომწონე ახალთაობას, რომ  
 კელი საქართველო თითქმის მარად თა-  
 ისუფლების დაცვაში იყო ჩაბმული,  
 უმცა არა სცალოდა მწიგნობრობისთვის,  
 აგრამ მაინც დედებს ავალეზდა შვილთა  
 ზორის წერაკითხვის გავრცელებას, მაგ-  
 რამ მაინც ახერხებდა—თავის ძლიერების  
 პროს მწერლობის აყვავებას, მაგრამ მა-  
 ინც შეიძლო თავისუფლება მოეფრიალე-  
 ინა ჩვენი საუკუნის კარამდე, ჩვენთვის  
 ოცეა ნიჭი არსებობისა, სიცოცხლისა.  
 ულ ტყუილად იგდებენ ძველ დროს.  
 ქ ჩანან იგეთი მწერლებო, ვით შოთა,  
 ურამაშვილი, ვახუშტი, საბა და სხ.  
 წარწყმდეს ის დღე, რომელშიაც ჩვენ  
 აყოფს არ მოვიტანთო“. ეს იყო სწრა-  
 ვვა იმ ძველებისა, მაგ. ისტორიკოს ვა-  
 უშტისა. მართლის თქმა მათი უდიდესი  
 ღირსება იყო.

„მართალს ვიტყვი, შევიქნები  
 ტყუილისა მოამბე რად?  
 მე თუ გინდა თავიც მომქრან,

ტანი გახდეს გასაბერად,—  
 ვინც არა ჰგავს კახაბერსა,  
 მე ვერ ვიტყვი კახაბერად“.

რა ვყოფილვართ და რა ვართ დღეს-  
 ყველგან ჩვენი ენის დაძაბუნება მოსჩანს.  
 თვით კრიტიკოს ღვიმელის ნაწერებშიაც  
 კი ასეთი უმართლო გამოთქმებია: „ამ-  
 ხელილი“, „ნამყოფი“, „სამძრავი“, „გა-  
 მომკვლევა“ და სხ. ძველ ტერმინის  
 მქვერმეტყველობის უცოდინარობისა გა-  
 მო ახალ მწერლობაში დიდხანს იხმარე-  
 ბოდა „წითელსიტყვაობა“. საჭიროა ძვე-  
 ლი ნიმუშების შესწავლა და იქიდან აწინ-  
 დელ ენის გამდიდრება. ჩვენი მამაპაპა  
 დამნაშავე არ არის, რომ ჩვენ სკოლებში  
 არ ვსწავლობთ ღვიძლს ენას, რომ მაზე  
 წერას არ ვეტანებით, არ ვბეჭდავთ ქარ-  
 თულს წიგნებს, უცხო შერეულ ენაზე  
 ტირტირით ვკოხტაობთ, ბრძნად მოგვაქვს  
 თავი. ეს არის და ეს. არა კმარა ცა-  
 რიელ სიტყვით ყვირილი: „ჩვენ უნდა  
 ვუმოვოთ ჩვენი მყობადი, ჩვენ უნდა მიე-  
 სკეთ მომავალი ხალხს“: ამისთანა სიტ-  
 ყვები უსაქმოდ მკვდარ არს. მამაპაპათ  
 ქირღვა ვერას გვიშველის. იმათ მაინც  
 უომნითო, გვეტყვიან, აბა თქვენ რა  
 გაგიკეთებიათო? მეცხრამეტე საუკუნე  
 ჯერ ისევ ბურანშია და ქშენას ვერ ას-  
 ვლია, ახალგაზღობას არ მიეტყვება უსა-  
 ქმობა, ცუდათ ყოფნა, ტრაბახობა. კაცს  
 უნდა ჰქონდეს სიტყვა საქმიანი და საქმე  
 სიტყვიანი. გულზე ხელდაკრეფილი ჯდო-  
 მა აღარ შეგვეფერის. დროა სიტყვა საქ-  
 მედ ვაქციოთ. ჩვენს დროში ყველა ერი  
 ნამეტან შრომას ეწევა, იღვწის, წინ მი-  
 დის. ჩვენც მათ მივბაძოთ. საკმაო არ  
 არის, რომ ვიძახოთ, ილია ჰავჭავაძე და  
 აკაკი წერეთელი გენიოსები არიანო. მა-  
 გათი გენიოსობა ქურნალ გაზეთებს არ  
 გასცილებია. მათ საქმეს ხალხამდის ვერ

მიუღწევია. რატომ „გენიოსი“ ჰავებოდაც ცალკე არ დაბეჭდავს თავის შვენიერ „კაცია-ადამიანს“, „გლახის ნაამბობს“ და ხალხში არ გაავრცელებს, რომ ეგების ეშველოს ამ ხალხს რამე კარგი შეიგნოს. მისი „საქართველოს მოამბეს“ ნომერი რომ გამოვიდა, გვეგონა ჩვენი მზე ახლა ამოვიდა—გამობრწყინდაო, მაგრამ მოვსტყუვდით—წლის თავზე იგი მზე კვლავ ჩავიდა „საქართველოს მოამბესთან“ ერთად. რათ მოსპო ჟურნალი, რატომ არ განაგრძო საქმე! კაი მწერალი ხალხისთვის დიდი რამ არის. კაი მწერალს შეუძლიან ხალხს სული ჩაუდგას, ფრთები გამოასხას, გაიტაცოს. მაგან „პოეტში“ საუცხოვოდ დამღერა. გამოსცეს თავის თხზულებანი და თუ იგინი „მოსწმენდენ ხალხს ტანჯვის ცრემლსა და წარუძღვებიან წინა ერსა“, მაშინ ვიტყვით, რომ იმან სარგებლობა მოუტანა ხალხს და დიდი გენიოსი პოეტიც არისო. მინდა „ხალხის მოძმედ ვიყო ჰმუნვასა და სიხარულშიო“, „ვიმღეროო არა როგორც გარეგანმა ფრინველმა“. საქმით დაამტკიცეს? ვხედავ, ჩვენს ახალთაობას „კმაყოფის გზა დახლართვია“, სურვილი გულს შერჩომია. ის მარტო მისთვის მღერის,

რომ იმღეროს. ის ცარიელ სიტყვად არი გადაქცეული, საქმით არაფერი სჩანს ბევრი კარგი მოსწონს. მაგრამ, რაც მოსწონს, იმას არ ასრულებს. ცარიელ მოწონება ხომ არ არის საქმე! სასახელო ის არის, რაც მოგწონდეს, რასაც პირით ამბობდე, იმას საქმითაც ასრულებდე. ახორციელებდეო. კაციც ის არის და ქუდიც იმას ხურავს, ვინც ახორციელებს თავის სიტყვას. თორემ ახლა ჩვენში ბევრი არიან, რომელნიც განუწყვეტლივ იმეორებენ უკვდავ რუსთველის სიტყვებს: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანია“. ვინაა ამის ამსრულებელი? ბევრიც რომ ჰქირი ჰმალოთ არ დაიმაღების. გურამიშვილისა არ იყოს „ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდებოდა... „ამას ვსწყინობ, ავნი ავსა თვი იქმენ და სხვას კი ძრახვენ“. სიტყვიც ავქსონი ამბობს, მამულს გულწრფელი თავდამდები და მსახური ესაჭიროება და არა მარტო მომღერალი და მსტვინავიო მისი გაბედული მხილება სწორედ ჯოჯოხეთურად უღმობელია.

მ. ჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)



# ნაფუყვეთუბი ფირილეუბითგან „ვეფხის-ტყაოს- ნის“ შესახებ.

ვახტანგის გამოცემული „ვეფხის-ტყაოსნ“-ის რედაქცია

**ვ**ახტანგის გამოცემას რომ აღარებ ვეფხ.-ტყ. არსებულ ხელთნაწერებს, უბირ-ველესად ყოვლისა ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოება: ერთის მხრით, იგი, როგორც რედაქცია, ყველა თავისი ჩანართით, შეურყენელობით და სიმოკლით ძველი რედაქციის სახეს ატარებს, მეორე მხრით, — რასაც კიდევ არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს, — ამ გამოცემაში ხანათარიგი სულ სხვაა, მე-17 საუკ. ხელთნაწერებთან შედარებით. ამ უკანასკნელებში ხანათარიგის მხრით, მას ემხრობა მხოლოდ ორი ხელთნაწერი: ერთი აგრეთ წოდებული არტანუჯისეული და მეორეც ვრცელი 5006 № ი ხელთნაწერი, რომლებიც, ზედმეტა ჩანართებით, აშკარაა, ამ ხელნაწერის გავითარების შემდეგს საფეხურს წარმოგვიდგენს.

ეს აღნიშნული ხანათარიგი განასხვავებს ვახტანგის გამოცემასა და იმისავე მსგავს არტანუჯულსა და 5006 №-ის ხელთნაწერებს ყველა ვრცელისა და მოკლე მე-17 საუკუნის ხელთნაწერისაგან და გვაძლევს ნათელ წარმოდგენას იმ ორის სხვა და სხვა რედაქციის შესახებ, რომლებიგანაც წარმოიშვა, ერთის მხრით, ვახტანგის გამოცემა და ის ხელნაწერები, რომლებიც, ხანათარიგის მიხედვით,

სრულიად ემხრობა ამ გამოცემას, და, მეორე მხრით, ყველა ვრცელი და მოკლე მე-17 საუკუნის პირველისა და მეორე ნახევრის ხელთნაწერები.

თუ გამოვყოფთ ამ უკანასკნელების შესავალში მოთავსებულ ყველა, ვახტანგის გამოცემის შესავალთან შედარებით, ზედმეტ ხანას, რომლებიც, როგორც სტილის, ისე შინაარსის მიხედვით, ჩანართად მისაღებია, და შეუდარებთ ერთმანერთს ვახტანგის გამოცემისა და ამ მისგან განსხვავებული რედაქციების შესავალს, აშკარად დავრწმუნდებით, რომ ვახტანგის გამოცემის შესავალის ხანები მის რედაქტორს დიდის თვითნებობით გადაუსვ-გადმოუსვამს, რადგან დანარჩენს მისგან განსხვავებულ რედაქციებში, უძველესის 599 №-ნ (1646 წლის ხელნაწერი) დაწყებული \*), ხანათარიგი ბევრად უფრო მისაღებია: ამ უკანასკნელებში ყველა ხანათავის დარგშია მოთავსებული, წინააღმდეგ ვახტანგისეუ-

\*) ამ უძველეს ხელნაწერს ხანების ერთი მესამედი თავში ან აკლია, ან სხვა ხელით აქვს ჩამატებული, მაგრამ, რაც ნამდვილია, მოწმობს, რომ ხანათარიგი ამ ხელნაწერის შესავალში იმგვარივე უთფილა, რაც ყველა ვახტანგის გამოცემისაგან განსხვავებულ რედაქციებში.

ლის გამოცემისა. (შეად. ჩვენი გამოცემის შესავალი ვახტანგის გამოცემისას, რომელსაც მისდევდა ყველა დღემდის ცნობილი გამოცემა ჩუბინაშვილის, ქართველიშვილის, ბროსესი და სხვა). რას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ამ ყველაზე მოკლე და სარწმუნო რედაქციაში ხანები არეულ-დარეულია, წინააღმდეგ ვრცელისა და ჩანართების მხრით უფრო მეტად შერყვნის რედაქციებისა?...

ამის პასუხად, ჩვენს აზრით, მხოლოდ ერთი შეიძლება ითქვას, სახელდობრ ის, რომ ვახტანგის გამოცემა არის პირი იმ რედაქციისა, რომელშიაც, გადაკეთების იმ თავითვე, სწორეთ ეს საგრძნობი ცვლილება, ე. ი. წინასიტყვაობის ხანათა შეუწყნარებელის თვითნებობით გადასმ-გადმოსმა მოუხდენიათ. ამგვარ ცვლილებას, რომელიც, პირველ შეხედვაზევე, უნდა ეგრძნო საქმის მკოდნე მწიგნობარსა და ბიბლიოფილს, უნდა გამოეწვია ამგვარი რედაქციისადმი საერთო უნდობლობა: რა თქმა უნდა, ეს აღნიშნული ცვლილება და ამ ცვლილებით გამოწვეული უნდობლობა უნდა გამხდარიყო ნამდვილი მიზეზი ამ გამოცემის დედნის ჩანართი ხანების ავტორთაგან ხელუხლებლობისა, რადგან ეს რედაქტორები უმეტეს შემთხვევაში საგანგებოდ გამორჩეულ მწიგნობრებსა და ყველასაგან ცნობილ მეფის მდივნებს \*) წარმოადგენდნენ.

ამგვარს ძირითადს ცვლილებასთან ერთად, რა თქმა უნდა, ეს თვითნებობის მექანი რედაქტორი, თავის ხელს დაატყობდა ტექსტის ამა თუ იმ ადგილს, რასაც შედეგად უნდა მოყოლოდა ნამ-

დვილის ადგილების საგრძნობლად შეცვლა და გადასხვაფერება, ანუ უკეთ წარყვანა. ვრცელისა და ფაქიზად შესრულებული რედაქციების როგორც შესავლის, ისე თვით პოემის ტექსტის, ვარიანტთა ვახტანგის გამოცემის ვარიანტთან შედარება მოწმობს, რომ პირველებს ბევრად უფრო წმინდად და ხელუხლებლად შემოუნახავთ, როგორც შესავლის, ისე თვით პოემის, ძირითადი ტექსტი.

ყველაფრიდან სჩანს, რომ ვახტანგის გამოცემის დედნის იმ თავითვე წარყვნის გამო, ვეფხის-ტყაოსნის შემდეგის დროის რედაქტორები ორ მთავარ ჯგუფად გაყოფილან: ერთი წყება, როგორიც არიან, გიორგი მე-11-ის მდივანი პოეტი ბეგთაბეგ, ან აღმურაანთ ბაღდასარას შვილი მუშრიბი გასპარა, ან უძველესი 1646 წლის 599 №-ი ხელნაწერის, — რომელიც საისტ. და საეთნოგრაფიო საგანძურის საკუთრებას შეადგენს, — გადამწერელი მეფის მდივანი მამუკა, რომლებიც, ალბათ, კარგად იცნობდნენ ზემორე მოთხრობილ ფაქტს, იმ თავითვე აცხადებენ ვახტანგის გამოცემის დედნისადმი სრულს უნდობლობას და თავიანთი რედაქციებისათვის იღებენ ჯერ ისევ წმინდად შენახულს, იმ დროს არსებულ რედაქციას, მეორე წყება კი, როგორიც არის 5006 №-ი ხელნაწერის რედაქტორი, ან თუნდა გ. თუმანიშვილისეული არტანუჯული ხელნაწერი, ირჩევენ ვახტანგის გამოცემის დედანს, რომელიც ზემორე დასახელებული მიზეზით, შესავლისა და საერთოდ პოემის ტექსტის შეცვლისა და წარყვნის იმ თავითვე, დავმობილი და მივიწყებული ყოფილა.

ამ თვალთ თუ შევხედავთ საგანს, მაშინ სრულიად ადვილი ასახსნელია ჩვენთვის არტანუჯულის რედაქციის შესახებ

\*) იხ. ამის შესახებ ჩემი შესწორებანი ჭ შენიშვნანი, 46 გვ.

3. ლარაძის ცნობა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დიდად გარყვნილიყო და გ. ა. უ. მანიშვილს მოეპოვა უძველესი არტანუჯული ხელნაწერი. ეს ამბავი, ე. ი. არტანუჯული რედაქციის მოპოება, მოხდა იმ დროს, როდესაც ვახტანგის რედაქციისაგან განსხვავებული უძველესი რედაქციები ყველა მეტის მეტად ვრცელი და ჩანართებისაგან წაღებული იყო და ვახტანგის გამოცემის დედანი, თუ კი იმ დროს კიდევ არსებობდა, თავისი გარეგნობით და სიძველით, რა თქმა უნდა, უფიქრად მწიგნობართა თვალში მეტწილობას გამოიწვევდა. ნამეტურ ფასი ექნებოდა ამ გარემოებას ვახტანგის კომისიისთვის, რომელმაც მიზნად დაისახა პოემის დასტამბვა. კომისიამ, მეფის ხელმძღვანელობით, რასაკვირველია, ამჯობინა ის რედაქცია, რომლის დასტამბვა ნაკლებ შრომას მოითხოვდა და არ საჭიროებდა გაწმენდას იმ ჩანართთაგან. რომლებიც უკვე საგრძნობლად მორყოდა პოემის ტექსტს: ეს ტექსტის ვაცხრილვაც ხომ მხოლოდ წმინდა მეცნიერულის კრიტიკის საქმე იყო.

ამნაირად, ჩვენის აზრით, ყოველ ექვს გარეშეა ის, რომ ჩვენამდე მოღწეული უძველესი რედაქციათა შემდგენლები, — რომლებიც სრულს უნდობლობის უცხადებდნენ ყველაზე ადრე შერყვნილ პოემის დედანს, რაც ვახტანგის გამოცემის დედნის რედაქტორის ნამოქმედარი იყო, — უფრო იცავენ პირველის წყაროს სახეს თავიანთი რედაქციების ძირითადს ტექსტში, ვიდრე ვახტანგის გამოცემა.

ამ ვრცელი რედაქციების რედაქტორებს, მხოლოდ ის საკვლელოა თუ ეთქმის, რომ მათთვის სულს წაუძლევიან და შეუტანიათ ბევრი ახალი ხანა, რომელთა შემჩნევა პოემის ტექსტში და ცალკე

გამოყოფა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, საკმაოა, სტილის მხრით შევუდაროთ ამ რედაქტორების ჩანართები და გაგრძელება პოემის ტექსტს, რომ დაგრწმუნდეთ მათ სიყალბეში.

სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობდით ჩვენ, ჩვენი 22-ე გამოცემის შემდგენის დროს. მკირეოდენი დაკვირვებაც კმარა, რომ ჩვენი გამოცემის წინასიტყვაობა, რომელიც წარმოადგენს ყველაზე ძველი ვრცელი რედაქციების შემცველი ხელნაწერებით დაცულ ხანათა რიგის ხელ-უხლებლად დაცვას, გაცილებით მაღლა სდგას ვახტანგის გამოცემით გავრცელებულის ტრადიციული შესავლის ტექსტზე.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: საკმაო შეუდაროთ ვარიანტების მხრით ჩვენი 22-ე და ვახტანგის გამოცემები ერთი მეორეს, რომ დარწმუნდეთ თუ რა თვითნებობა უხმარია ვახტანგის გამოცემის დედნის შემდგენელს უძველესის ვარიანტის პირის გადმოღების დროს.

რა თქმა უნდა, ვახტანგის რედაქციის დედანი, ვარიანტის მხრით, ბევრად მაღლა სდგას ყველა უფრო გვიან გადაწერილსა და ძალზე გავულგარებულ ბოლო დროინდელ რედაქციაზე, მაგრამ მისი შედარება მე-17 საუკ. უძველეს ვრცელ რედაქციებთან, — არტანუჯულსა და 5006 № რედაქციას გარდა, რომლებიც ვახტანგის გამოცემის დედნის გავითარებას წარმოადგენს, — აშკარად მოწმობს, რომ ამ რედაქციით ძალიან გადასხვაფერებულა პირვანდელის დედნის ტექსტი.

დავიწყეთ ამ სხვა და სხვა რედაქციის შესავლის ხანათა რიგის შერეობითგან: 22-ე გამოცემა წარმოადგენს ვახტანგის რედაქციისაგან განსხვავებული რედაქციის ხანათა იმ რიგს, რომელიც დაცულ



ლია 549, 757 და 54 №№ ხელნაწერებში; ამიტომ ჩვენ აქ ვასახელებთ ამ ჩვენის რედაქციის ხანებსა და ტაეებს.

ყველაზედ უწინ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ამ რედაქციით შესავალის ხანები მეტის-მეტად სწორად არის დალაგებული, მაშინ როდესაც ვახტანგისა და მის მომდევნო არტანუჯულსა და წ. კ. საზ. საგანძურის 5006 № ხელნაწერებში ესევე ხანები დიდის თვითნებობით არის გადასმულ-გადმოსმული:

22-ე გამოცემაში, როგორც სათაურებიც მოწმობენ, 1-ლი ხანა წარმოადგენს წიგნის დასაწყისს, სადაც ლაპარაკია სამყაროს შემოქმედზე, — ცისა და ქვეყნის გამჩენზე, რომელსაც გაუჩენია ხელმწიფე — მისივე სახება (სახითა მისამიერთა).

ამას მისდევს პოეტის, ლოცვის სახით, მიმართვა ერთისა ღმრთისადმი, რომელმაც შექმნა სახე ყოვლისა ტანისა. იგი ევედრება ღმერთს, »შენ დამიფარე, მეც ძლევა სატანის დასათრგუნავად, მომეც მიჯნურთა სურვილი, იმ მიჯნურთა, რომლებიც სიკვდილამდი ვრთმანერთის გამტანი უნდა იყვნენ და ცოდვათა შესუბუქებაო. შემდეგ, ლოცვაშივე, პოეტი აღიარებს, რომ მან არ იცის, რა ხატბა უძღვნას იმ ლომებრ რაინდს, რომელიც განთქმულია შუბისა და ფარ-ხმლის ხმარებაში, — ვინც ღირსია შეფე-მზისა თამარისა დაწვ-ლალ-თმა-ვიშერისაო. ქეშმარიტად მის მქვრეტლებზე იტყვიან, რომ ისინი არიან ღირსი, მიერთვას მათ ეს საკეთესო ყანდი (ე. ი. მეტ. მზეთ-უნახავის ბაგეები): თამარს ვაქებდეთ... მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა, »შენ მხოლოდ ღმერთო! აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება, მომეც ძალი და შეწვენა,

შენგანვე მონიკებული ქკუა-გონება (სიბრძნე), რომ მით შევეწივნეთ ტარიელსა და სხვა...

ლოცვას მისდევს ჩვენის წინასიტყვაობით ნაჩვენები სათაურების მიხედვით თავ-თავის რიგზე დალაგებული ხანები: 1. ჰიმნავთათვის (9—11), 2. მოშიარეთათვის (12—19), 3. მიჯნურთათვის (22—31).

როგორც ხედავთ, ამ შესავლით ყველაფერი თავის რიგზეა, სიმეტრიულად არის დალაგებული. როგორც ყოველი აღმოსავლეთური ღიდი პოეტი, რუსთველიც ჯერ გვაცნობს წიგნის დასაწყისს, შეად. ფირდოუსის წიგნის დასაწყისს აგაზი ქიტაბ), სადაც აგრეთვე ლაპარაკია სამყაროს შემოქმედზე, რომელმაც შექმნა ცანი და ქვეყანა და სხვა, რის შემდეგ პოეტი, რუსთველივით გადადის თავით ამბავზე (აგაზი დასტან — ამბავს დასაწყისი). შეადარე აგრეთვე ვისრამიანის სპარსული ორიგინალის შესავალი, სადაც აგრეთვე ლაპარაკია ცისა და ქვეყნისა და მნათობების შემოქმედზე, რომელმაც შექმნა ზედიზედ ატომებისაგან ელემენტები და შემდეგ ადამიანი, და დასასრულ გამოთქმულია იგივე აზრი რაც ჩვენს პოეტს აქვს, სახელდობრ: რომ ჩვენ ადამიანებს გვიბოძა ხელქვე და დავვიმორჩილა ყოველივე: ალემ, ჰაივან, გუჰარ (სერასერ, ადემი რა შუდ მისაქ ხირ), — სამყარო, ცხოველები და ანე — ე. ი. ერთი სიტყვით მოგვცა ქვეყანა უთვალავი ფერთა ღ სხ. ჩვენ შესავალი რომ შეუდაროთ ვახტანგის ცემით დაცულ შესავალს, აშკარად ია-ვინახავთ, რომ უკანასკნელი ხანებ შეუწყნარებელი თვითნებობით არის გადასმულ-გადმოსმული: ვახტანგის გამოცემის დედნის რედაქტორს აუღია 23-ე

ხანიდან მე 19-ე სანამდე 6 ხანა, -- მიჯნურთათვის დაწერილი ხანებიდან და ჩაუჩხირავს მე 7-ე ხანის ბოლოში, ისე რომ ხანას: „მო. დავსხდეთ ტარიელისთვის... მისდევს 6 ხანა, რომლებიც გადმოტანილია იმ განყოფილებიდან, რომელსაც ჩვენი რედაქციით სათაურად აქვს: „მიჯნურთათვის, რის გამო ვახტანგის გამოცემის შესავალში დომხალივით არის არეული პოეტის აზრები მისი ქმნილების შესახებ, რამაც საბუთი მისცა ბ. დ. კარიჭაშვილს სრულიად ხელი აეღო შესავალზე“ \*).

მაგრამ მარტო ამით როდი განისაზღვრება ვახტანგის გამოცემის დედნის რედაქტორის თვითნებობა. იგი ძალზე ასხვაფერებს და რყვნის როგორც შესავალის, ისე თვით პოემის ტექსტის, მნიშვნელოვან ადგილებს. ამ მხრით სრულიად საკმარისია რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი, რომელსაც აქვე წარმოუდგენ დაინტერესებულთ.

ციტაციის დროს ჩვენი 22 ე გამოცე-

\*) ბ. დ. კარიჭაშვილი, რომელსაც ვეფხისტყაოსნის შესავალი ვახტანგის გამოცემის მიხედვითა აქვს წარმოდგენილი, შემდეგ აზრს გამოსთქვამს:

„მწიგნობრების ცდა, რომ წინასიტყვაობის და ბოლოსიტყვაობის ტექსტები ისე დაეაგებინათ და გაეცხრილათ, რომ აზრიახი კავშირი დაშლარბულიყო მათ შორის, ვერ გამოდგა ნაყოფიერი, რადგან ტექსტები სხვა და სხვა დროს და მწიგნობრების შეთხზულები იუფნენ. მათი დალაგება, ან გაწმენდა იმნიერად, რომ ეგვიანნი კავთფილნი ეოფილიუენენ, შეუძლებელი შეიქნა: ეოფელი მწიგნობარი თავის გემოსა და აზრის მიხედვითა და, აკლებდა და უმატებდა ტექსტსა“. მას უსაუფოდ მიანიია შესავლის რედაქციის გამომუშავება. ის ვეფხისტყაოსნის შედგენილობა, 12 გვერ. ცალკე წიგნაკი, ამოდებული ჟურ. „განათლებიდან“.

მის შესავლის ხანები აღნიშნული გვაქვს რომაული ციფრებით, სწორედ ისევე, როგორც ჩვენს გამოცემაში; ხანების გვერდით მოთავსებული გვაქვს მძიმით გამოყოფილი ტაეპის აღმნიშვნელი არაბული ციფრები. ჩვენის გამოცემისავე ტექსტის ნუმერაციის მიხედვით, გვექნება დასახელებული ტექსტის დანარჩენი მაგალითებიც. დავიწყოთ ჩვენისა და ვახტანგის გამოცემათა შესავლის ხანათა შედარებითგან.

22 გამოცემა:

3 და 4: მას, არა ვიცი, შეგვადრო შესხმა ხობისა შერისა, და მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა კამს მართ შიშერისა.

ვახტ.:

მას, არა ვიცი, შეგვადრო შესხმა ხობისა ხშირისა და მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა კამს მართ მშიერისა.

მცოდნე პირის მცირეოდენი დაკვირვებაც საკმაოა, რომ დარწმუნდეს ვახტანგის გამოცემის წაკითხვის ძალზე წარუნილებაში. როგორც ზემორე გვაქვს განმარტებული, ეს ადგილი ნიშნავს შემდეგს:

„არ ვიცი, რა ქება ვუთხრა იმ ლომს, რომელიც განთქმულია შუბისა და ფარხმლის ხმარებით და ღირსია დაწვ-ბალახშთმა-გიშერა. მეფე-მზისა თამარისა. ქეშმარიტად სათქმელია მის მჭვრეტელებზე რომ ისინი ღირსი არიან მერთვას მათ ეს საუკეთესო ყანდი (ე. ი. მეტ. მზეთუნახავის ბაგები).

ვახტანგის გამოცემის დედნის რედაქტორს კი, რადგან მას ველარ გაუგია ძველი ხელნაწერებით დაცული წაკითხვა: „შესხმა ხობისა შერისა“, ან „ყანდისა მირთმა კამს მართ მიშერისა“, მე-3-ე

ტაების „შერისა“ გადაუკეთებია „ხშირი-რისა“-დ, მეოთხე ტაების დამაბოლოებელი აგრევე უცხო სიტყვა „მიშერისა“-კი — „მიშერისა“-დ.

მე-3-ე ტაების შერ—შერი აბაზული სიტყვაა და აღნიშნავს ლექსსა, შაირსა, მე-4-ე ტაების „მი შერისა“-ში კი „მი“ არის მიმართულების მაჩვენებელი პრეფიქსი, რომელიც წარმოადგენს მირთმა-ს შემადგენლობაში არსებულის ამავე პრეფიქსის „მი“-ს გამეორებას, შერი კი გავულგარებული არაბული შეპრეტ resp. შეპრე, რომელიც აღნიშნავს საგანგებოს, საუცხოვოს, განთქმულს რასმე, ასე რომ მისთა მქვრეტელთა ყანდისა მირთმა კამს მართ მი შერისა, ნიშნავს: მისთა მქვრეტელთა (რალა ვკადროვო) ქეშმარიტად უნდა მიერთვას მათ საგანგებო ყანდი \*) (კამს ყანდისა მირთმა), (ან განთქმული, საქებური რამ ყანდიო). პატივცემული მეცნიერი ნ. მარტი ამ ადგილს თავ-ს გემოზე ასხვაფერებს, თუმცა ეტყობა, მისი შესწორებაც დამოკიდებულია 757 და 54 № № ხელნაწერების ვარიანტების ცოდნაზე, შეად. Н. Марр. ТР. Кн. XII, Витязь въ Бар. Кожѣ, стр. 20—22: „ყანდისა მირთმა კამს მართ და შერისა“ \*\*) ამ ტაეპების რუსთვლისთვის მიკუთვნება ნამეტურ სამართლიანია იმი-

თაც, რომ აქ სავსებით არის დაცული რუსთვლისებური მეტრიული მხატვრობა მაგ., მე-3-ე ტაეპში ყურადღებას იპყრობს მარცვალი „შე“, რომლითაც იწყება ამ ტაების სიტყვათა უმეტესობა. ხოლო მე-4-ე ტაეპში მარცვალი მი (ან მ) მას, არა ვიცი, შევკადრო შესხმა ხოტბისა შერისა. და მისთა მქვრეტელთა ყანდისა მირთმა კამს მართ მიშერისა.

შეადარე ამ ადგილს ვისრამიანის შემდეგი ადგილი, 257 გვ., მე-3-ე სტრიქ. ან სპარს. ტექსტის 239 გვ., მე-2 სტრ და მე-4-ე ლექსი: „ბაგეთა მისთა სიმცროსა ზედა გემო ყანდისა ჰქონდა“.

22 გამოცემა:

13, 3. — მართ აგრეთვე მელექსესა საუბართა ტკბილთა ფრქვევა.

ვანტ.:

20, 3. — მართ აგრევე მელექსეთა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა ვახტანგისეული ვარიანტის აზრი აშკარად ეწინააღმდეგება პოეტის აზრს რომელიც გამოთქმულია 12, 4 ხანაში „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის შაირია ამად კარგიო“, ამას გარდა სტილიც მეტად მქისია და გაუგებარი, რადგან „ლექსთა თქმა და ხევა“ კლასიკურისენისთვის შეუფერებელია: წერილთა ხევიკიდევ შეიძლება, მაგრამ ლექსთა ხევი არასოდეს. შეად. Н. Марр. Витязь, Осаживъть поэтическаго коня

ტექსტის შემუშავების დროს, მე თითქმის ვეუფლავან სსსტიკად დავმარცხდი, სიდაც კი შევასწორე ტექსტი. იხ. 198, 3. — აბაიბ. ასაღებზე ევლო ხალასი მილია, ან 1599, 4 — და დარაკა ეუელსა შეკიდა კუბო უაღმაკ. კესრული“, სიდაც უნდა იუოს: „დარაკ ეუელსა შეკიდა, კუბო ნაჭედი კესრული“ იხ. საქართველო, 286 №. ი.

\*) აგრეთვე შესაძლებელია ეს ადგილი წავიკითხოთ ასეც: „მირთმა კამს ყანდისა მართ მისირისა“, ე. ი. ეგვიპტური სუკეატუსო ორჯელ განწმენდილი ყანდისი.

\*\*) რაგორც ამ ბოლო დროს დავრწმუნდი, არაბულ-სპარსულის მცოდნეს სიფრთხილზე მართებს, რომ ის არ გაიტყდას ნამეტრავად არაბულ-სპარსულმა: ყოველთვის სჯობს ხელნაწერების ტექსტი უცვლელად დარჩეს, გაუგებარიც რომ იყოს. „შავ-ნაშუ“-ს

რომლის მიხედვით, ხევა ცხენის დახვევას უნდა ნიშნავდეს!..

22 — გამოცემა:

19, 4.—და მისი სახელი შეფარვით ქვემოთ მითქვამს შიქია.

ვახტ.:

26, 4.—და მისი სახელი შეფრქვევით ქვემოთ მითქვამს შიქია.

პირველი რედაქციით, პოეტს უნდა ვთქვა, რომ პოემაში, სადაც ერთი სიტყვაც კი არ არის ნათქვამი მის საქმეზე, შეფარვით არის ნათქვამი მისი სიტყვები უწყალო, ვითა ჯიქია“.

მეორე რედაქცია კი გულისხმობს შეფრქვევით ქებას. ვისაც არ უნდა ეკლავოდეს ეს ტყუილი. პირველ რედაქციას მეტი აზრი აქვს, რადგან ვისაც უნდოდა შეფრქვევით გამოეთქვა, ექო თავისი სატრფოს სახელი, მას კიდევ მოიხსენებდა სადმე, ქვემოთ. მაგრამ ამის შესახებ არსად ამ ხანის ქვემოთ ამ უწყალო ჯიქის \*) სახელი არ მოიპოება, არც შესავალში, არც თვით პოემაში. აქედან თავის თავად ცხადია, რომ პირველი რედაქცია ვახტანგისზე ბევრად უფრო სარწმუნოა.

22-ე გამოცემა:

20, 4.—და ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა.

ვახტ.:

27, 4.—და ვინცა ეცდების თმობათა, ჰქონდეს მრავალთა წყენათა.

ცხადზე უცხადესია, რომ ეს მეორე რედაქცია დამახინჯებულია პირველთან შედარებით: პირველი რედაქციის ფორმა „თმობამცა ჰქონდა“, ჩვეულებრივი ძველი კლასიკური ფორმაა (შეად. ქვემოთ: რათამცადა ასახელა, 29, 3), მაშინ როდესაც „ჰქონდეს მრავალთა წყენათა“ ვერ არის მოხდენილი: მიხუდეს მრავალთა წყენათა და არა ჰქონდეს მრავალთა წყენათა, მაშასადამე, სრულიად უსაფუძვლოდ ემყარებიან ვახტანგის წაკითხვაზე პატივცემული ნ. მარრი და ტრადიციული ტექსტის ყველა მომხრე.

22-ე გამოცემა:

12, 4.—და კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება, კეკლუტთა ზედან ფრფენითა.

ვახტ.:

29, 4.—და კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება კეკლუტთა ზედან ფრენითა.

ცხადზე უცხადესია, რომ ამ შემთხვევაშიაც პირველ რედაქციას უნდა მივუცეს უპირატესობა, რადგან ფრფენა აღნიშნავს პებლის, ფარვანას, სანთლის, ან რისამე გარეშემო ფრენას, ასე რომ წაკითხვა „ფენითა“, თავის თავად ისპობა ამ 22-ე რედაქციით, შეად. Н. Марр Витязь въ б. к., стр. 52, V, 1—4.

22-ე გამოცემა:

23, 2.—სიბრძნე, სიმდაბლე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა.

ვახტ.:

სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა.

უძველეს 599 №-ი ხელნაწერში, რომელიც 1646 წელს არის გადაწერილი მეფის მდივნის მამუკას მიერ, „სიმდიდრე“ ს ნაცვლად არის „სიმდაბლე“;

\*) ჩვენის აზრით, შეუწყნარებელი ის აზრია, რომ აქ ჯიქი ჭიქეთის მტხოვრები იყოს. იხ. Н. Марр, ТР. XII, стр. 24. განა ჩვენთვის უნდა იყოს პოეტის მიერ ვეფხის, იგივე ჭიქის (ჭიქი ვეფხზე უფიცხესი ცანის) სუყარელთან შედარება, ის. „შაჰ-ნამე“-ს ტექსტის წინასიტყვაობა, 32 გვ. იხ. აგრეთვე საბას ლექსიკონი, სადაც ჭიქი განმარტებულია სპარსული სიტყვით: ბაბრ-ბიო, რაც ნიშნავს ვეფხს.

რომელიც ძლიერ უხდება აზრს. მიჯნურის ერთი ყველაზე მოსაწონი თვისებათაგანი უნდა ყოფილიყო სიმდაბლე, თავმდაბლობა, რაც ისე ამწვენებს ავთანდილისა და ტარიელის ხასიათს. ესეც რომ არ იყოს, მეფეთა და დიდ-გვართა, — მეფეთა ზრდილობით განთქმულთა, როგორც ტარიელ და ავთანდილ იყვნენ, — ერთი საუკეთესო თვისებათაგანი, სითავმდაბლე იყო. როსტევეანი, სიბრძნესა და სიუხვესთან ერთად, გათქმული იყო აგრეთვე თავისი სიმდაბლით. იგი, პოეტის აღწერილობით, იყო „მაღალი, უხვი, მდაბალი“ და სხვა. ავთანდილი თავის მოგზაურობის დროს, ყველგან დიდს სითავმდაბლეს იჩენს: მოვიგონოთ თუნდა მისი შეხვედრა ხატაელებთან ან პირველი მისი შეხვედრა ტარიელთან, ან მოქარავენე ვაჭრებთან; მას ყოველ შემთხვევაში გამზადებული აქვს გული სამოდ და სამონოდ. იგი მზათაა ყველა დაჩაგრულსა და დევნილს ძმური სამსახური გაუწიოს. მეფესთან რიდი და კრძალვა, სითავმდაბლით ატანა ყოველ გვარი წყრომისა ამ რაინდის ნიშანდობლივ თვისებას შეადგენს. ამიტომ სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია უძველესი ვარიანტის წაკითხვა: „სიბრძნე, სიმდაბლე, სიუხვე“. მიჯნურის სიმდიდრე, როგორც მისი აუცილებლად საჭირო თვისება, ვისაც არ უნდა ეკუთნოდეს ეს სიბრძნე, როგორღაც კეუაში ვერ მოდის; იგი ყველაზე უწინ ფსიხოლოგიას ეწინააღმდეგება: რაინდული სიყვარული ერთგობებს არავითარ სიმდიდრესა და ნივთიერლონის-ძიებას, რადგან ამგვარი სიყვარული უანგარო, წრფელი და სადა უნდა იყოს, და ტარიელიც ხომ ხელს იღებს ამ სოფლიურ სიმდიდრესა და დიდებაზე და გამოქვაბულში იკეტება თავისი სატრ-

ფოს ნამოახლოარ ასმათთან ერთად.  
 22-ე გამოცემა: „და დასთმოს წყრომა მოყვრისაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა“.  
 ვახტ.: და დასთმოს წყრომა მეფეთაგან, მისი ჰქონდეს შიში კრძალვა.  
 ყოველ ექვს გარეშეა, რომ აქ ლაპარაკია მოყვარეზე და არა მეფეზე:  
 საკმაოა გავიხსენოთ, თუ როგორ იბრის თავს და რა სითავმდაბლით იამბენს ტარიელ ავთანდილის საყვედურს იმისთვის, რომ იგი დანიშნულ ვადაზე ავთანდილს შინ არ დაუხვდა და ამით პაემანი არ გაუსრულა. ამნაირ რეცეპტს უწერს მიჯნურს ვისრამიანიც, რასაც მალე დავინახავთ. ამ ჩვენთვის საინტერესო ადგილსაც მეფე არაფერ შუაშია. უფრო საფიქროა, რომ ეს ადგილი ვინმე მეფის მდივანს, თავისი სურვილისამებრ, გადაუკეთებია, მაგრამ, — „ფცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“ — მას, მისდა უნებურად, შეუსწორებლად დარჩენია სიტყვა „მეფეთაგან“ — ს. შემდეგ მდგარი სიტყვა „მისი“, რაც, ალბათ, მიეკუთნებოდა სიტყვას „მოყვრისაგან“, რომელიც აგრეთვე მხოლოდობითს რიცხვში სდგას. „მეფეთაგან“ კი, რომელიც მრავლობითს რიცხვშია, თხოულობს უკვე მრავლობითს რიცხვსა და უნდა იყოს: „და დასთმოს წყრომა მეფეთაგან, მათი (ე. ი. მეფის) ჰქონდეს შიში, კრძალვა, და არა მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა.“  
 უამისოდ, გასაოცარი და გაუგებარი იქნებოდა იმგვარი მსჯელობა, როგორც ამ ტაეპშია გამოთქმული: „თავი და თავი მიჯნურობაა ჰირთა მალვა, არ დარჩენა ჰირთა, გულის სატრფოს რომ თავის წინა, ხალვათად მყოფი რომ იგონებდეს, შორით რომ იწვოდეს მისი სიყვარულის ცეცხლში, რომ მისი შიში და

ზრდილება გქონდეს, გვეუბნება პოეტი  
 ა ამავე დროს, სრულიად უადგილოდ,  
 ეფეთაგან წყრომის დათმობას უღებს კა-  
 რნად მიჯნურობას; ან კი რა აზრი  
 ეს იმის თქმას: მიჯნურობა ის არის,  
 ეფეთაგან წყრომა დასთმოს მიჯნურმანო  
 და მისი (ე. ი. საყვარლის,) შიში და  
 რძალვა ჰქონდეს!

ჩვენის აზრით, ბევრად უფრო ბუნე-  
 რივია და გასაგებიც ჩვენი მიღებული  
 კარიანტი, რომლითაც მიჯნურობის თვი-  
 ებებთან, როგორცაა გულის სატრფოს-  
 ზვის შორით და ჩუმად დაგვა, ჰართა  
 რ დაჩენა და სხვა, მოხსენებულია მიჯ-  
 ნურის მხრით მოყვრისაგან წყრომის დათ-  
 მობა და მის წინაშე შიში და კრძალვა.

ამას გარდა ძალზე წარყვნილია ვახ-  
 ტანგის გამოცემით ბევრი ადგილი; სა-  
 დაც ფრაზების გრამატიკული უკანონობა  
 აშკარაა:

22-ე გამოცემა:

20, 4. — ვინცა ეცდების თმობამცა  
 ჰქონდა მრავალთა წყენათა.

ვახტ. — ვინცა ეცდების თმობათა,  
 ჰქონდეს მრავალთა წყენათა.

22-ე გამოცემა:

27, 2. — ნიადაგმცა ჰქონდა ხალვა, იხ.  
 შესწ. და შენიშ. ვარიანტები:

ვახტ. — ნიადაგმცა ჰქონდეს ხალვა.

22 გამოცემა:

29, 2. — ამის მეტი რამცა ირგო, მას  
 აენოს...

ვახტ.: 29, 2. — ამის მეტი რამცა ირ-  
 გოს,....

22 გამოცემა:

29, 3. — რათამცალა ასახელა, რა სი-  
 ტყვითა მოაყენოს.

ვახტ.: 29, 3. — რათამცალა ასახელოს,  
 რა სიტყვითა მოაყენოს.

ჩვენის 22-ე გამოცემის ვახტანგის გა-

მოცემასთან შედარება მოწმობს, რომ  
 არავითარი საბუთი არ არის ხანების ისე-  
 თის თვითნებობით გადასმ-გადმოსმისა,  
 როგორსაც ვხვდებით ბ. მარკის გამო-  
 ცემაში, **Т. Р. XII, Витязь въ бар.**  
**К.,** არც თუ შესწორებისა, მით უმეტეს,  
 რომ თვით პატივცემული აკადემიკოსი  
 ნაიდრევად და აჩქარებულად სთვლის  
 ყოველგვარ შესწორებას, იმ შემთხვევა-  
 შიაც კი, როდესაც ამის საბუთს იძლე-  
 ვა ხელნაწერები \*) (იხ. **Витязь въ Б.**  
**К., § 4, стр. 16, пр. 3**) და ამავე  
 დროს თავის გემოზე ასწორებს საუკუ-  
 ნოებით ნაანდერძევი შესავლის იმ ადგი-  
 ლებს, რომელთა შესწორებას იმ სახით,  
 რა სახითაც ბ. ნ. მარკს აქვს, არც ერ-  
 თი ხელნაწერი არ ადასტურებს. მართა-  
 ლია, მეცნიერს ბევრი მეტის-მეტად კარ-  
 გი შესწორება შეაქვს საუკუნოების გან-  
 მავლობაში წარყვნილი შესავლის ტექ-  
 სტში, მაგრამ ამ შესწორებებს ზოგან  
 მაინც კიდევ შესწორება და სხვა სახით  
 გაშუქება სჭირია: ხშირად შესწორებაც  
 მოხდენილია, მაგრამ თვით დასაბუთება,  
 რომლის ძალითაც მეცნიერს შეაქვს მსგავ-  
 სი შესწორება ვერ არის შესწორების  
 შესაფერი, რასაც აშკარად დავინახავთ  
 პირველისავე აქ მოტანილი მაგალითით-  
 გან.

22-ე გამოცემა:

მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალ-  
 მად მინა რხეული. აქ მინა რხეულის ნა-  
 ცვლად ბ. მარკი ჰკითხულობს რნას

\*) მაგ. მურგაზარშაჭრი ჩვენც ნაჩვენებია  
 და, მაშასადამე, მიღებული გქონდა ჩვენს  
 ლექსიკონში, იხ. ძვ. საქ. ტ. 1, მე-12 საუკუ-  
 ქართ. შქერდ. ხასიათი და რუსთ. ვეფხის-  
 ტე., ლექს., საკუთარ სახელებში. იხ. სახე-  
 ლები მუდღაზარი,

რხელი“-ს და საბუთად მოჰყავს შემდეგი პარალელიზმები, როგორც ვეფხის ტყაოსნიდან ისე ჩახრუხადის თამარიანთგან, რომლებიც ვითომდა ადასტურებენ ამგვარ წაკითხვას:

„მოვშორდი ღზინსა ყველასა—ჩანგსა, ბარბითსა და ნასა“, სადაც ნა, როგორც მენიერი სამართლიანად შენიშნავს, „სალამური“-ს აზრით არის ხმარებული. „ნა“ ლერწამი ფორმით „ნაი“, სადაც ი-ნი ხმარებულია ხმოვანი საფუძვლის არსის სახელის დაბოლოებად, არსად არც ძველს, არც ახალ სალიტერატურო ძეგლებში არა გვხვდება. ბ. მარრის მოტანილი მაგალითები, როგ. სიტყვები ცოტაი, ერთაი, ყველაი, ყველაკაი, პაშტაი და სხვა, აქ არ გამოდგება, რადგან ყველა ეს მაგალითები წარმოგვიდგენენ რიცხვის სახლების ხალხურის ფორმით ხმარებას, რაც ღღესაც შეინიშნება ხალხში საკუთარ ან რიცხვის სახელთა, და ხმოვან საფუძვლის სიტყვების სასაუბრო ენაში ხმარების დროს, ნამეტურ კითხვითს წინადადებებში ისეთი ფორმით, როგორიცაა: გიგაი, პეტრეი, ივანეი, მოსიკელაი და სხვა. ცოტაი, რკაი, სკაი, ტურაი \*) და სხვა.

ქართული სიტყვა ლერწამი კი რუს-

\*) რუსთველი არა თუ სპარსულ სიტყვას ნაი-ს იხმარდა ამგვარ ქართულისთვის უჩვეულ ფორმით, გულისხმობს ნასრდეს ვაი-საც კი (შეად. სამხური ვაჟ) უ:ინოდ ხმარებს. ეს მოგვლენა შე აღნიშნული მაქვს ჩემი შრომის 125 გვერდზე, სადაც მოყვანილი მაქვს სიტყვა „ვა“. ბ. მარრი უეურადღებოდ სტოვებს ამ ჩვენ შაერ აღნიშნულ მოგვლენას, შეად. II. C., 26., 5,3. მაშინ რადესაც იქვე ახსენებს E. C. Такайшвили-ს ნარკვევს.

თველს მართლაც ხშირად აქვს ხმარებული, ისე, როგორც ყველა ძველის საერო მწერლობის წარმომადგენელს (ვისრ., მებრტბეებს და სხვა), მაგრამ აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, თუ როდის და რა აზრით ხმარობს რუსთველი ლერწამს: პოეტი აღარებს ტანს მაშინ როდესაც მას ლამაზი ტანი, ტურფა ანაგები ადამიანი ყავს სახეში, როცა მას სურს ტურფა ტანის რონინი, ან მიმორხვეს დაგვიხატოს, ასე რომ ლერწამ-ტანი იგივეა, რაც კობტა ტანი, მქვერი ტანი, ანაგებით ტურფა ადამიანი და სხვა. ამიტომ მე უსაფუძვლოდ მიმაჩნია მეცნიერის მხრით იმგვარი პარალელიზმის მოწამად მოყვანა, როგორც არის რუსთველიც სავე შემდეგი ადგილი.

„კალმად გიკვეთ გაწყობილსა ტანსა წვრილსა ვით ლელწამსა“.

როგორც აღნიშნული მაქვს უკვე ჩემს 22-ე გამოცემის ლექსიკონში, ვახტანგის გამოცემის წაკითხვა ამ შემთხვევაშიაც შეუწყნარებელია, იხ. ლექს. „ლელი“, ან შესწორებანი და შენიშვნანი, ვარიანტები 897, 4, რომელიც მოთავსებულია 81-ე გვერდზე. ბ. მარრის წაკითხვა კიდევ უფრო დამახინჯებული სახით არის წარმოდგენილი, ვიდრე ვახტანგის ტექსტი. ვახტანგი ამ ადგილს ასე კითხულობს: კალმად გიკვეთ გაწლობილსა ტანსა წვრილსა ვით ლერწამსაო; მარრის წაკითხვა კი განმეორებაა მეუნარგიათავმჯდომარეობით შემდგარი კომისიის მიერ შეტანილი შესწორების, რომელიც არის ნაყოფი ამ ადგილის უძველეს 599-წონომერ ხელნაწერზე (1646 წ.) შემოწმებულია ბ. მარრსაც, რადგან უფრო უხდენ, ბოდა ლერწამს ამ გვარი ეპიტეტი, უპირატესობა მიუცია „გაწყობილი“-სათვის „გაწლობილი“-ს მიმართ;

გაწლობილი კი ნიშნავს გალეულს, მხდარს, გაწვლილებულს, რაც ლერქს მაინცა და მაინც არაფრად უხდება. მქმ აქ ის არის, რომ ვახტანგის რეპტიკის დედანზე ორს დამოუკიდებელს ღონაწერში, რომლებზედაც ზევით ვთქვით, ეს ტაეზი ასე იკითხება: და კალ-ე გიკვეთ გაწლობილსა ტანსა წვერილსა ღია თმასაო» (იხ. 757 და 2829 №№-ი). აშკარად სჩანს, რომ ვახტანგის რედაქციის პირველი ნაწილი წმიდად ჩვენია, რადგან „გაწყობილი“ სრულად შეეფერება „თმა“-ს; „ტანსა გაწ-ობილსა, ვითა თმასა“ ნიშნავს თმასა-კი გალეულ ტანს. ცხადია ვახტანგის რედაქციით სიტყვა თმასა, რადგან აღ-ტარ მოსწონებიათ, შეუცვლიათ ლელ-სა-დ. მეტია იმის თქმა, რომ ამ შემ-სუვეაში სრულიად უხერხულია გაწლო-ლის, ე. ი. მიმწლეულის, ან გალეუ-ს, ტანის შედარება ლელწამთან. ცხა-კვ, აქ იგულისხმება ავთანდილის ცრე-თა ტბა და მისივე თმასავით გალეუ-კვ გამხდარი, დამქლევებული ტანი ულიად ანალოგიური ადგილი ნახეთ რამიანში, 57 გვერდი, მე-11-ე სტრი-ფი, ibid. 105 გვერდი, მე-11-ე სტრ., l. 296 გვ., მე-16-ე სტრიქ., სადაც ლგან მსგავსივე ფიგურაა: „ვისსა ტა-მისი თმისაებრ დასწლობოდა“. სიწ-ა, წლობა, ან დაწლობილი ჩვეულებ-ავია ვისრამიანში, იხ. თუნდა 105 გვ. 11-ე სტრიქ. და იგივეა მნიშვნელო-ი, რაც სიგამხდრე, გალეულობა, გა-ული, გამხდარი და სხვა.

მნაირად ბ. მარრის მოსაზრება, ნაი-კულის შესახებ, რომელიც დამყარე-ლია მოტანილ პარალელიზმებზე, ძნე-გასამართლებელია. ჩვენ, რასაკვირ-ია, სრულიად ბუნებრივად ვთვლით

ამ გვარ ტაეზს: მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული, სადაც ლაპარაკია მზეთუნახავის შავ თვალებსა და ლერწამ-ტანის სიტურფეზე, მხოლოდ საჭიროდ მიგვაჩნია „მინა“ შევასწოროთ „მენა“-დ არ ხედება არც ერთი იმგვარი ხმოვანი საფუძვლის არსის სახელი, რომელსაც ი-ნი ერთოდეს ბოლოს, იმ რიცხვის სახელებს (ერთაი, პაშტაი, ყულაი, ყვალაკაი და სხვ.) გარდა რომლებიც ზე-მორეც დავასახელებ, ხოლო კიდევ უფ-რო საგულისხმიეროა ის ფაქტი, რომ სამუსიკო საკრავის მნიშვნელობით ხმა-რებული ეს ჩვენთვის საინტერესო „ნაი“ ან „ნა“ რუსთველს უ-ინოდ აქვს ნახ-მარი, იხ. „ჩანგსა ბერბითსა და ნასა, ან „ნა-ჩანგ-დაფენი“, დახე 22 გამოცემა, 134,4 და 1371,2. ამიტომ ჩვენის აზ-რით, უმჯობესი იქნება, ბატრეცემულის მეცნიერის შესწორება კიდევ უფრო შე-სწორდეს და ეს ადგილი წაკითხულ რქ-ნას ასე:

„მელნად ვიკმარე, გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული“.

აგრევე ვერ დავეთანხმებით მეცნიერს იმ შესწორებაში, რომელიც მას შეაქვს 26 ხანაში, იხ. მე-2-ე ტაეზი: „სთმოზდეს გაყრისა თმოზასა“-ს იგი ასწორებს ასე „სთმოზდეს გაყრისა ღმოზასა“-დ, იხ. 39 გვ., 16, 2, 7—8., მაშინ როდესაც ეს წმინდა რუსთველის ენის ერთი თვი-სებათაგანია, რაც ჩვენ არა ერცხელ გვაქვს აღნიშნული, იხ. თუნდა ჩვენი 22-ე გამოცემის 232 გვერდზე ტექსტის შესახები შენიშვნები, იხ. და შეადარე მარრისავე დასახელებული შრომის 33 ვ გვერდზე წარმოდგენილი ხანა, სადაც აგრეთვე ვხვდებით ამგვარსავე სიტყვების განმეორებას იხ. ტაეზები 2 და 3: „შენ ხარ მომცემი მიჯნურთა მიჯნურობისა



სენისა, შენ გაქვს წამალი მისისი მოთმი-  
ნებისა თმენისა, ამ უკანასკნელი ტაგისი  
მოტანილ მაგალითთან მსგავსება აშკარაა.

22-ე გამოცემა:

94, 4.—და მერმე მოდი, ლომო, მზე-  
სა-შეგეყრები-შემეყარე-  
ვახტ.— და მერმე მოდი, ლომო, მზე-  
სა შეგეყრები, შემეყარე.

თუ აქ მზე თინათინია და ლომი ავ-  
თანდილ (ყმა), მაშინ ცხადზე უცხადესია  
ის, რომ ჩვენი რედაქცია უფრო სწო-  
რია ვახტანგისაზე, რადგან მაშინ უნდა  
ყოფილიყო „მზე შემეყარე“ და არა  
მზესა „შემეყარე“-ო, იხ. ჩვენი შესწო-  
რებანი და შენიშვნანი, ვარიანტები,  
94, 4. შეად. Н. МаррЪ. II, С. 12  
стр.

22 გამოცემა, 118,3.—მე ნუთუმცა  
შემოვბრუნდი (იხ. 757 №-ი), ვახტ.—  
ნუთუმცა შემოვბრუნდე. (აგრეთვე სხვა  
ხელნაწერებიც), შეად აგრეთვე 124,1.  
—„ვისმცა უთხარ“ და „არა უთხარ“,  
ვახტ.—ვისმცა უთხარა.

22 გამოცემა:

372,3.—„ხარგა დავდგი არ მაზრები“,  
ვახტანგ—...„ხარგა დავდგი, არ მზი-  
რები“.

22 გამოცემა:

396,4.—და არ ვბრძოლე, კარი ქა-  
ლაქთა უომრად გავადებინე; ვახტ.—და  
არ ვბრძოლე, კარი ქალაქთა უომრად  
ავადებინე.

22-ე გამოცემა:

471,2.—„ცამცა პრისხავს მზისა შუ-  
ქნი ჩემთვის ყოლე ნუ შუქნია“.

ვახტ.—... ცამცა პრისხავს მზისა შუქ-  
ნი ყველა ჩემთვის ნაშუქნია, იხ. შესწო-  
რებანი და შენიშ., 471,2.

22-ე გამოცემა:

576,1.—ნუ თუ ღმერთმან ქნას გარ-

დაკდა მაგა ქირთა და დავალთა (იხ. ვა-  
რიანტები, შესწორ. და შენიშვნ., 576,4;  
ამგვარივე სწორი წაკითხვა შემოუნახავს  
ჩვენთვის 2829 № ხელნაწერს შემდეგს  
ადგილას, იხ. 305,4.—და მაშინ დავიწ-  
ყე გარდაკდა მე საწუთროსა დავალთა,  
რომელსაც ვახტანგის გამოცემა, სხვებ-  
თან ერთად, ასე კითხულობს: და მაშინ  
დავიწყე გარდაკდა სოფლისა ლხინთა და  
ვალთაო. იხ. აგრეთვე შესწორებანი და შე-  
ნიშვნანი, ვარიანტი 686,4 და შეად.  
ვახტანგის გამოცემისა და 2829 და 4499  
№№-ების ვარიანტები, სადაც უკანასკ-  
ნელთა რედაქციას, როგორც აზრით, ისე  
ლექსისთვისაც, უნდა მიეცეს უპირატე-  
სობა, იქვე, 723,1; შეადარე აგრეთვე  
898,2—ჩვენი და ვახტანგისეული გამო-  
ცემის რედაქციის წაკითხვანი.

იხ, აგრეთვე ვარიანტები 906,1 და  
911,4.—სადაც 461 და 4499 №№ ხელ-  
ნაწერებს უნდა მიეცეს აშკარა უპირატე-  
სობა ვახტანგის გამოცემისა და სხვა ხელ-  
ნაწერების რედაქციების წინაშე, რაც სი-  
ბუთს გვაძლევს შევასწოროთ იმ სახით  
როგორც ეს ჩვენ გვქონდა ჩვენს შრი-  
მაში, იხ. ძველი საქართველო, 1-ი ტ., 9ა-  
—93 გვ., იქვე ლექსიკ.—მულლაზარ,  
მულლაზარშარი, ან ნურადინ ფრიდონ-  
ის განმარტება 184 გვ.—მულლაზარშ-  
არის ხელმწიფე და 977,4.—სადაც 568  
№-ი ხელნაწერის ვარიანტს უნდა მიეც-  
ეს უპირატესობა ვახტანგისა და სხვა რე-  
დაქციების წინაშე: მართლად იტყვის მე-  
ნიერი: „შიში შეიქს სიყვარულსა (599)  
რასაკვირველია მარტო ამით როცა,  
განისაზღვრება ჩვენი 22-ე გამოცემა,  
ვახტანგის გამოცემის წინაშე უპირატე-  
სობის მაჩვენებელ წაკითხვათა რიცხვად  
სამწუხაროდ, 22-ე გამოცემაში ვერ ვ-  
ვასწარით, საქმის სიჩქარის გამო, ბევ

რადღებო ვარიანტის შეტანა, რომელიც ასწორებენ ვახტანგის რედაქციის რა შეცდომებს: ამ ვარიანტებისათვის, ყველაზე მეტს ნდობას იწვევს №-ი ხელნაწერი, სადაც საოცარი ჯარით შენახულა უძველესი და აშ-სწორი წაკითხვანი. ყველა შემორჩენილი ვარიანტებს გარდა, რომლებ-აშკარა შესწორებანი შეაქვთ ვახტანგის გამოცემის ტექსტში, აქ გვხვდებითი სწორი წაკითხვა, რომელიც არ არცერთმა ხელნაწერმა:

გ., მოვიტან 1255-ე ხანის მე-3-ე მხს, სადაც ვახტანგისა და ყველა სხვა წყაროთა წაკითხვა აშკარა უაზრობაა. ძველებული ტაფა ვახტანგის რედაქციის, და უყურადღებობის გამო, ჩვენი ტექსტიდან, ასე იკითხება: „ეტლის დედა მზისაგან, შეჯდომა საროს ტაფის, რომელსაც 2829 №-ი ხელნაწერსე კითხულობს: „ეტლის ცვალება და შეჯდომა სარათანისა“, ეს უკვე წველი წაკითხვა კი განსაცვიფრებელი არით იცავს უუძველესი და ჭეშმარიტი ვარიანტის სახეს. აქ „სარათანი“ იცავს მაისის ზოდიაქოს, ანუ კირჩხიბს; ადამე წაკითხვა „საროს ტანისა“, წლისაც დღემლი მისდევდა ყველა არა-ლი გამოცემა, მტკნარ უაზრობად ჩაითვალოს.

არათანი“, როგორც ყველა სხვა ას-ანომიული სახელები ვეფხის-ტყაოსან-არის წმინდა არაბულ „სარათან“ და გსწორედ ეგვე შემორჩე თქმული ენელობა.

საკვირველია, ვარიანტთა რიცხვი, ცივსაც ვახტანგის გამოცემის წაკით-წინაშე უნდა მიეცეს უეჭველი უპი-ღობა, სხვაც ბევრია, მაგრამ ამაზე რაკი ძალიან შორს წავიყვანდა,

რაც საგაზეთო წერილებს არ შეჭფერის. თუ სტამბის პირობები როგორმე გა-უმჯობესდა, ჩვენ სულ მალე გამოვაქვე-ყნებთ ჩვენს 23-ე გამოცემას, სადაც შევ-სებულია ყველა ის ნაკლი, რომელიც 22-ე გამოცემას ჰქონდა, როგორც შე-მადგენლობის, ისე ვარიანტების მხრით. ამას გარდა შევსებულია ჩვენს ბროშუ-რაში შესწორებანი და შენიშვნანი მო-თავსებული ვარიანტებიც და დართულია ვრცელი ლექსიკონიც, სადაც შედის ყველა დღემდის უცნობი და გაუგებარი სიტყვაც.

მოტანილი ფაქტები, ჩვენის-აზრით, აშკარად მოწმობს, რომ ვახტანგის გა-მომცემა პოემის ტექსტის აღსადგენად ყველაზე სანდო სრულიადაც არ არის, როგორც ამას ფიქრობენ ყველა ისინი ვინც უნდობლად ეპყრობა მე-22-ე გა-მომცემას. ყველაფრიდან სჩანს, რომ ვახტანგის გამოცემაში რედაქტორის გემო-ზეა გადასმულ-გადმოსმული შესავლის ხანები და ამასთან შეცვლილი და წარ-ყვნილია ბევრი ვარიანტი, რომელთა გასწორება სრულიად სხვა ხასიათს აძ-ლევს პოემის ტექსტს.

აი ამ სახით წარმოგვიდგება ჩვენ ვახტანგის გამოცემის დედნის სახე, რომლის მიხედვითაც, შეგვიძლია გამოვარ-კვიოთ ის მნიშვნელობა, რომელიც მას აქვს.

დღემდის ვახტანგის გამოცემის შესახებ შემცთარი აზრბ იყო გავრცელებული, ვითომ ვახტანგი ყოფილიყოს იმ რედაქციის შემდგენელი, რომელსაც ეს გამო-ცემა წარმოგვიდგენს. ე. თაყაიშვილი ამბობს:

„Этот замѣчательный дѣятель на поприщѣ грузинской науки и литературы сумѣлъ очистить „Вепхись-

Ткаосяни“ отъ тѣхъ наслоеній, которыя образовались въ немъ въ XVII вѣкѣ“ \*).

ეს აზრი რომ მართალი იყოს, მაშინ ვახტანგის გამოცემას ჩვენთვის მნიშვნელობა აღარ ექნებოდა, რადგან ხელოვნურად და სრულიად დაუსაბუთებლად შეკეთებული რედაქცია არავითარის ნდობის ღირსი აღარ იქნებოდა. ვახტანგის გამოცემის ტექსტი კი ჩვენთვის სწორედ იმით არის ღირსი, რომ იგი გადმობეჭდილია ისეთი ხელნაწერთგან, რომელსაც, რესტავრატორის მიერ შეკეთებისა და ხანათა გადასმ-გადმოსმის გამო, იმ თავითვე უნდობლობა გამოუწვევია, რის გამო უძველესი თავისი შეზღვევებით ხელნაწერი ხელუხლებელი დარჩენილა.

რომ ვახტანგს არ შეეძლო, შესაფერი ერულიციის უქონლობის გამო, ტექსტის გაწმენდა იმ სახით, როგორც ამ გამოცემაშია, ამას საუკეთესოდ ამტკიცებს მისი გამოცემის ბოლოში დართული განმარტებანი, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგება კომენტატორის მიერ პოემის სულისა და მიმართულების ცოდნას. ყველა შემორე თქმულიდანაც საკმაოდ ირკვევა ის, რომ ვახტანგის კომისიამ არჩია ერთ-ერთის უძველესი რესტავრატორის ნახელავი, რომელიც, გამომცემლის აზრით, თავისუფალი იყო იმ აშკარა ყალბებისაგან, რომლებიც გვხვდება ყველა მე-17-ე საუკუნის ხელნაწერებში. მაგრამ როგორ მოქცეულა რესტავრატორი?

ის, რასაკვირველია, დაკარგული ადგილების შესავსებლად მიმართავდა არა

საკუთარ ფანტაზიას, არამედ რომელსაშე სხვა ხელნაწერს და, იქ გადაჩენილი ადგილების მიხედვით, შეავსებდა მის მიერ მოპოვებული უძველესის ხელნაწერის ხარვეზებს. ძირითად ტექსტისთვის არჩეულ ხელნაწერს ეკლებოდა უფრო ხშირად თავი, ან ბოლო; და, როგორც ერთს, ისე მეორეს, რესტავრატორი ისესხებდა სხვა თუნდა უფრო დაზიანებული ხელნაწერისაგან, სადაც, შემთხვევით შეიძლება გადაჩენილი ყოფილიყო ის, რაც აკლდა მის მიერ არჩეულ ხელნაწერს.

ამიტომ, ჩვენის აზრით, საგულგებნელია, რომ შესავალის ის ადგილები, რომლებიც ვახტანგის გამოცემაში შეცთობით იკითხება და საეჭვოა, როგორც სტილის, ისე ზოგიერთის უხამსი გამოთქმის მხრით, რესტავრატორმა ისესხა ისეთი დაზიანებული ხელნაწერთგან, სადაც ნახევრად იყო გადაჩენილი ეს ხანები.

რესტავრატორი, — რომელსაც ექნებოდა, თუნდა ისეთი ხელნაწერები, როგორიცაა 2829 და 461 №№-ები, რომლებიც თავი და ბოლო ეკლებოდათ, ან ძალზე დაზიანებული იქნებოდა, — შეავსებდა მათ ხარვეზებს სხვა უფრო დაზიანებული ხელნაწერის ნახევრად მაინც გადაჩენილი ადგილების მიხედვით.

იშვით შემთხვევაში, რასაკვირველია, რესტავრატორი მიმართავდა ავრეთვე ვისმე სანდო ბიბლიოფილს, რომელმაც ზეპირად იცოდა უკვე ხელნაწერებში მოსპობილი ხანები.

აი ამით აიხსნება ჩვენის აზრით, ის ვარემოება, რომ ხანება, რომლებიც ვახტანგის გამოცემაში, როგორც ლექსის, ისე სტილის მხრით, სმენას ეჩითირება, არ მოიპოვება 2829 № ხელნაწერში. რამელიც ხშირად ერთად-ერთია, კარგად და სისწორით რომ იცავს ამა თუ იმ პო-

\*) Е. Так., Опис. т. II, вып. III, стр. 581.

წაკითხვას. ამასთან საყურადღებოა, რომ 599 და 757 №№-ები, ხელ-ერებში, რომლებიც, ვარიანტებისათვის; ბევრში ემხრობიან ვახტანგის გა-ცემას, კიდევ უფრო ხშირად ადასტუ-ენ 2829 №-ი ხელნაწერის ვარიან-ტს, რაც აგრეთვე მოწმობს ამ უკანას-კლის მეტ ნამდვილობას.

ამიტომაც ვახტანგის გამოცემას უნდა მკვეროდეთ ისე როგორც პირველის ტაყრატორის ნამუშევარს, რომელ-ც აღდგენილია ბევრი ძველის ძველსა საუკეთესო დედანში დაკარგული, ან უხე დაზიანებული ადგილი. ამ თვა-თ თუ შევხედავთ ვახტანგის რედაქციას, მის შემადგენლობაც უნდა მილე-ო იქნას, როგორც სხვაზე უფრო სარ-უნო, სადაც გადაურჩენიათ სამუდამო ღუბვას ზოგიერთი ხანები, რომლებიც დროის ხელნაწერების უმეტესობაში კე მოსპობილი უნდა ყოფილიყო.

ამისდამიხედვით, ჩვენ გადაწყვიტეთ მს ოცდა მესამე გამოცემაში დავიც-ვათ სავსებო ვახტანგის გამოცემის შე-დგენლობა, და მისი ნუმერაციის მიხ-ედვით დაფურთოთ მას ვარიანტები იმ-ით, როგორც ჩვენ ეს გვქონდა ჩვენს წინაკში "შესწორებანი და შენიშვნანი" თანაც უფრო შევსებულად. ამანირად მს 23-ე გამოცემას, რომლითაც და-გეულია ვახტანგის გამოცემა სრულის მი-შეშადგენლობით, დართული ექნება თქვის ყველა არსებული ხელნაწერის ვარიანტები. ამით, რასაკვირველია, ჩვენ აღი ვსპობთ იმგვარი მუშაობის მნიშ-ელობას, როგორც ჩვენ უკვე დაწყე-ული გვაქვს, და როგორცაა ვეფხის-ქაოსნის კრიტიკულის ტექსტის სერიე-დ სტამბვა. ამგვარი მუშაობა ჩვენ უკლებელ საჭიროებად მიგვაჩნია,

რომ მივიღოთ ვეფხის ტყაოსნის სა-ბოლოო კრიტიკული ტექსტი. კი-დეც რომ მოგვიხდეს ამა თუ იმ ხანის ხელახლად შეტანა ძირითადს ტექსტში ამით არაფერი დაშავდება \*).

მაგ., ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ახლახან მოგონებული ფაქტის მიხედვით, დავა-ბრუნოთ ძირითადს ტექსტში მე-40-ე გვერდზე მოთავსებული მე-18-ე ხანა: „აჩინა კაცი სადაცა“ და სხვა, რადგან სტილისა და ლექსის მხრით იგი გვაგო-ნებს რუსთველისავე ხანას, იხ. და შეად-1142 ხანას და ამასთან იგი ავსებს მის წინა ხანაში გამოთქმულ აზრს.

დღეს, როდესაც სპეციალისტთა გატა-ცებამ უკიდურესობამდის მიაღწია და მათმა უღმობელმა კრიტიკამ ლამის მოს-პოს პოემის შესავალის ის ნაწილი, სა-დაც თამარის პიროვნებაზეა ლაპარაკი, განსაკუთრებით საჭიროა ვახტანგის გა-მომცემის შემადგენლობის დამკველი სა-ბუთების გამონახვა, და აქ საუკეთესო საშუალებაა თვით რუსთველის ლექსის დამახასიათებელ თვისებათა შესწავლა, რაც შეძლებას მოგვცემს დავადასტუროთ ამა თუ იმ ხანის სინამდვილე. ავიღოთ თუნდა შესავალის მე-3-ე ხანა, რომე-ლიც ჩვენ ზემორე განვიხილეთ. როგორც ვთქვით, ამ ხანის მე-4-ე ტაეპი ასე იკით-ხება:

მისთა მკვრეტელთა ყანდისა მირთმა  
კამს მართ მიშერისა,  
სადაც მი არის განმეორება მიმართულე-

\*) ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ ამით რა-იმე ვნება მიეცემა რუსთველის ქმნილებას, თუ რომელიმე რედაქტორმა გაბუდა და შესცვალა პოემის ხანათა შემადგენლობის რიცხვი, ე. ი. თუ შეამცირა, ან გააღიდა. იხ. საქ. გ. იმხანიშვილის ფედეტანი, საქ. მე-16 №-ი.

ბის მაჩვენებელი პრეფიქსისა, რომელიც მიერთვის სიტყვას მირთმა, ეს პრეფიქსი აქ წინაუძღვის ნასესხებ იშვიათ სიტყვას შერას რომელიც ნიშნავს საგანგებოს, საუკეთესოს, მაშასადაშე, ტაეპის აზრი ამგვარია: მისთა მქვერტელთა?.. მათ კამს (უნდა, ეკუთნის, შეეფერება) მირთმა ამ მართლი და საგანგებო ყანდისა (მეტ. მზეთუნახავის ბაგეები).

სწორედ ამგვარივე რუსთველური არის მე-11-ე ხანის მეორე ტაეპი:

ავთანდილს მიხუდა სიამე ვსება სკირს მი სოქალისა,

სადაც აგრეთვე განმეორებულია პრეფიქსი მი, რომელიც შგდის ფორმაში მიხუდა, ანალოგია მით უფრო აშკარაა, რომ აქაც იგი ისე როგორც პირველ შემთხვევაში წინაუძღვის იშვიათ სიტყვას სოქალს, რომელიც ნიშნავს სიყვითლის სენს, სიყვითლეს, იხ. ჩემი ვეფხ. ტყაოსნის ლექსიკონში ნასესხები სიტყვები. რუსთველის ლექსის ეს თვისება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი არის რუსთველის ენის გასაგებად ერთგვარი გასაღები, ჩვენ აღმოვაჩინეთ ჯერ კიდევ ღიმნაზიაში ჩვენი მოწაფეობის დროს, იხ. ჩვენი 22-ე გამოცემის 232 გვერდზე ტექსტის შესახები შენიშვნები. ამ მე-3 ხანის რუსთველისთვის მიკუთვნება კიდევ უფრო ცხადი ხდება, თუ მას შესავალისა და პოემის სხვა ანალოგიურ ადგილებს შეუდარებთ:

მსგავსსავე პრეფიქსებისა და მათივე სახის წინა მარცვლის განმეორებას ვხვდებით ამავე მესამე ხანის წინა ტაეპშიაც:

მ, მ.—მას, არა ვიცი, შევკადრო შესსმა ხოტბისა შერისა.

შეადარე ამათ აგრეთვე პოემის მე-1088-ე ხანის მე-3-ე ტაეპი:

„ღიაცსა წყენა შეატყო ყამამან სულითა შევიდან მე-1089-ე ხანის, მე-2-ე ტაეპი: დააგდე ჩემი მი-დამო სრულად კრიფე მირიოდ სწორედ ამგვარივე მაგალითი გვაწინასიტყვაობის მე-19 ე ხანის მე-4 ტაეპში:

მისი სახელი შეფარვით ქვემო მი-თქვამს, მი-ქამნაირად, ცხადია, ეს ზემორე პოეტიკური მე-3-ე ხანა, სადაც დაკუთვნილია რუსთველისებური, — მხოლოდ მხოლოდ რუსთველისებური, — თვის პრეფიქსთა და ფორმით და გარეგნობა სრულიად მათივე სახის მარცვალითა და იმავე ტაეპში განმეორება, რუსთველის კალამს უნდა ეკუთნოდეს.

ეს მაგალითი მქვერმეტყველურად მომბს, რომ ჯერ კიდევ ბევრ პარადოქსულ დასკვნას ექნება ადგილი მეტყვერულ ასპარეზზე მუშაობათა სფეროში რადგან დღევანდელ სპეციალისტთა წამოდგენა რუსთველის ქმნილებაზე არ გაცილებია ვახტანგის გამოცემის ცოდნა ფარგალს. ამიტომ ჯერ კიდევ დიდხანს დასჭირდება იმათ, ვინც ვახტანგის მოცემის იქით ვერაფერს ხედავს, სრია ბილიკებითა და მოლიბულო გზებით სარული, — მანამდი, სანამ ჩვენთან ერთად გაიცნობენ ჩვენს საგანძურებში ადგილებს საყურადღებო ხელნაწერებს.

ჩვენ მოგვეპოება ისეთი ხელნაწერე როგორიცაა 75,7 და 2829 №№-ე რომლებიც თავიანთი ძირითადი ტექსტით ადასტურებენ ვახტანგის გამოცემის სტილს, — რომელიც, ვიმეორებთ, ვახტანგის გამოცემის შესავლის იმ თავითვე წარვითგანვე, ხელუხლებელი დაუტოვებიათ, რის გამოც ვახტანგის გამოცე

სტილი გაცილებით მაღლა სდგას შემდეგში გამომუშავებული რედაქციების სტილზე, — მაგრამ ამავე დროს შესანიშნავად ასწორებენ და ნათელს ჰფენენ ბევრს დღემდის წარყვნილსა და გაუგებარ ადგილებს; და დასახელებულ ხელნაწერთა უპირატესობა ვახტანგის გამოცემის ტექსტის წინაშეც სწორედ იმაში გამოიხატება, რომ პოემაში ბევრი დღემდის სრულიად უცნობი ნაწესები და იშვიათი სიტყვა, რომლებიც, ვახტანგის გამოცემით სრულიად წარყვნილი, ან გაუგებარი იყო, როგორცაა: „სოქალი“, „დავალი“, (იხ. „შაჰ-ნამე“-ს ვერსიების ლექსიკონში: („ზავალი“, სარათანი (ან სარატანი) — კირჩხიბი, მუშაითი — არაბული-მუშაბიდი, რომელიც ნიშნავს „ჯამბაზ“-ს, „ფოკუსნიკ“-ს, თოკზე მოსიარულეს \*), მაზრა, გუჰარი და სხვა, რომ-

ლებიც მოთავსებული გვექნება ჩვენს უფუხის-ტყაოსნ“-ის 23-ე გამოცემაში, წმინდად არის დაცული ამ ხელნაწერებში. ამას გარდა ამ ხელნაწერთა ვახტანგის გამოცემასთან შედარება აშკარად გვიჩვენებს მეცნიერის იმ ახლახან გამოტყმული აზრის უსაფუძვლობას, რომლითაც ქართულ სამღვდლოებასა და ქრისტიანობას, თავიანთი შეხედულების მიხედვით, შეუტყლია პოემის ტექსტის ბევრი ადგილი, რასაც ჩვენ დავამტკიცებთ ჩვენი წერილის მეორე ნაწილში.

ი. აბულაძე

2 მარტი 1917 წ.

ბევრი ორიგინალში სრულიად დღეილ გასკვები სიტყვები, იხ. შაჰ-ნამე, 2ხ. სშირად მთარგმნელი ან გადმომკეთებელი, თარგმნის სიძულეს გამო, თავის გემოზე ასხვაფერებდა. ამა თუ იმ სინტაქსის ადგილს: მაგ. „ბაბარაბიან“-ს, ვეფხის ტყავის კაბას, რომელიც ირანელთა უძველესი თქმულებით, რუსტემის ხელით მოკლულის, სსინელი მხედის, ლომის მოსისხლე მტრის შირ შერზეს, ტყავს წარმოადგენდა, როსტომიანში იცვამს არა მარტო რუსტემი, არამედ მისი შაჰა (ბაბუა) სსამინ, როგორც შაჰის ნანდერძებ სამოსელს (იხ. „შაჰ-ნამე“-ს ვერსიები, 1974, 1 და შეად. Vullers, მე-2-ე ტომი, 953 გვ.) „ბაბარაბიან“-ის ნაცვლად ორიგინალში ვხვდებით სწარსულ „ბაბარ“-ს, რომელიც ნიშნავს რკინის სამოხელს, საჭურჭელს ამის დროს, იხ. Vullers, 270 გვ., 450a ლექსი.

\*) ამგვარი დამახინჯებული სახით სიტყვა გარეგანის მწიგნობრული საშუალებითაც შეიძლება შემოჭრილიყოს ჩვენს ენაში, უძველესი მწიგნობრობის გაუთარების იმ თავითვე. ამგვარი შეცვლა მუშაბიდის მუშაითად აიხსნება იმით, რომ ჩქარი წერის დროს სწარსულ არაბულ ხელნაწერებში გადამწერლები და ავტორებიც სშირად არ იცავდენ დიაკრიტულ ნიშნებს, რის გამოც ბ.ნს იხად კითხულადენ ის მთარგმნელები, რომელთათვისაც, არაბული ძნელი საკითხავი იყო. სშირად, ტექსტის გაუგებრობის გამო, ირუენებოდა



ნეტამც არ დაღამდებოდეს  
 ისევ ღღე იღგეს მზიანი,  
 თუ მობრუნდება სიბნელე  
 დახვდეს მარცხი და ზიანი:  
 წინ წყალი—უკან მეწყერი,  
 თვალ ჩაუწვდენი გზიანი,  
 აღარ ეღირსოს ამოსვლა  
 არც ჩქარი, არცა გვიანი.

უფსკრულს ჩამზერუნენ დედანი  
 კრულვას უთვლიდნენ წყეულსა,  
 ძირ-ფესვიანად მოსპობილს,  
 ერთის შოქნვეით ძლეულსა,  
 ხელს აღარავინ აწვდიდეს  
 ძალ-ღონე გამოღეულსა,  
 ღვარძლის და ბოროტების თესლს,  
 სისხლის სმისაგან სნეულსა.

ვინც მიშველება გაბედოს  
 საქე გაუტყდეს ნავზედა,  
 ეღვამ დასთხაროს თვალები,  
 ძარღვნი დააწყდეს მკლავზედა;  
 ცოცხალს ფლეთავდეს არწივი  
 ძვლებს ასაღებდეს სვავზედა,  
 სისხლიან ნისკარტს აწმენდნენ  
 წასმა-წამოსმით ზვავზედა...

ნეტავ არც დაბნელდებოდეს  
 ცა კაშკაშებდეს მზიანი,  
 ხარობდეს ჩემი წალკოტის  
 გარემო ყვავილიანი.  
 მოვიდეს ტურფა ასული  
 შორს გამჭვრეტელი, ჭკვიანი,  
 სიცილით ეგებებოდნენ  
 სათნოს ვარდნი და იანი.

ხელში ეჭიროს ფანდური  
 გულ-ნათელ შემოსეულსა,  
 უმღერდეს გმირთა სხვანეს,  
 სავანეს შოთასეულსა.  
 აქებდეს მზისა სივებსა  
 ყველასთვის უხვად ფრქვეულსა,  
 სხვათაც სამშობლოს სილადეს,  
 სიკეთეს მოძმისეულსა.

თავგანწირულთა საქმენი  
 გულს სვეტად ჩამოსწეროდეს,  
 მათი გმირული სიკვდილი  
 ახლა სიცოცხლედ სჯეროდეს,  
 ჯალათის ციხის ნანგრევებს  
 ამაყად გადასცქეროდეს,  
 აკმევდეს წმინდა სიყვარულს  
 და საზეიმოდ მღეროდეს.

შიო მღვიმელი

# ჩემი ქვეყანა.

მე არ ველოტი სხვა ქვეყანას,  
არც ვის ძალუძს შექმნას იგი,  
და შესცვალოს მტკიცე წესი  
ბუნებისგან განარჩვი.

ვითა ძალი იღუმალი—  
შემომქმედი ქვეყნის—ღმერთი,  
ვითა ღმერთი, თვით ქვეყანაც  
არის ერთი, მხოლოდ ერთი!

მაგრამ სული თუ არ სცხრება  
და ფიქებს სხვა სამყოფელს,  
ის ვერ იცნობს ამ ქვეყანას,  
ეს ვერ იცნობს თვით ამ სოფელს.

და ძიების ცეცხლი მწვავე  
დაუშრეტლად გულს რომ ღვივის,  
ის მომავალ ნეტარების  
გზის მანათობ ლამპრად მივის!..

მო, ვისაც გსურთ სულით, გულით  
შეება ჰპოვოთ და იხაროთ,

შვისწავლეთ თუ რა რიგად  
ეს ქვეყანა მოიხმაროთ.


და მერწმუნეთ, იმ ქვეყანას,  
დღეს ოცნებით თქვენ რომ სახავთ,  
იმ ქვეყანას აქ იპოვით,  
იმ საშოთხეს აქვე ნახავთ!..

მეც არ ველოტი სხვა ქვეყანას,  
არც ვოცნებობ შექმნა იგი,  
მხოლოდ-ღა მსურს ვსცნა წესები  
ბუნებისგან განარჩვი,

რომ მით ავხსნა ცის და მიწის  
საიღუმლო ამოცანა,  
შევიგრძნო და შევისწავლო.  
არსებული ეს ქვეყანა.

და გავიგო თუ ვიხა იგი  
ვისარგებლო, მოვიხმარო,  
რომ მეც ვპოვო სულის შეება,  
ვიხარო და სხეაც ვახარო!..

ილ. გოგია





# ჰუმარისტ გზაზე

(შიფლერ მიხაილოვისა)

(გაგრძელება)

## VIII

რედაქციის მდივანთან უსიამოვნო ლაპარაკის შემდეგ ბინაზე რომ დავბრუნდი, თავი საშინლად მტკიოდა. აქამდის არ მიგრძენია მგზავრობისაგან დაღალვა, რადგან აღელვებული ვიყავ, იმედებით აღჭურვილი. ახლა კი სწრაფლ ისევ მოვლახრდა და იმ ნაირმა სულის მდგომარეობამ შემიპყრო, როგორც ტრიფონოვის ლხინში ვიგრძენ. მზად ვიყავ ავტირებულ იყავ, დამეხუჭა თვალი საჯკუნოდ, რომ აღარც დამენახა რამ, არც გამეგონა. როდესაც შევეღ იმ ბუნაგში, სადაც ღამე უნდა გმეათია, მომესმა ზვრინვა დაღუბულ ადამიანებისა: ეყარნენ გაწყობილ ფატრებზე, ზოგი იატაკზე, ზოგიც ფიტრების ქვეშ, მკვდრისებურ ძილს მიცემულნი—დაკონკიდ ტანისამოსით—სატახტო ქალაქის მაწანწალები. ნახევრად ბნელოდა. არაყის სუნი იდგა თამბაქოს ბოლში არეული. გადავაბიჯე ზოგიერთა მძინარეთ. ღლით—ბინითა და იქნება ხასიათითა და განვითარებითაც ჩემს თანამოძმეთ. და მოვთავსდი ჩემს ადგილას—დასაძინებლად. ამოვიღე ჯიბიდან ქაღალდები, რომლებიც მუდამ თანა მქონდა და, ვწყე წერა. ძლივს ვარჩევდი ნაწერს სიბნელეში. დიდ ხანს ვწერდი, რაც კი თავ გადამხედოდა.

ნერვები დამიწყნარდა, უკეთ რომა ვსთქვით, მომიღუნდა, თავის ტკივილმა გაშიარა, წარსულის მოგონებამ გამიტაცა და ხელ-ახლავ მიხსნა უიმედო აღშფოთებისაგან.

ისევ ბნელოდა, როდესაც ჩემთა მოძმეთ იწყეს შმუშვნა, ზმორება.

შვეინახე ქაღალდები და გაშტერებულ ივით ვუცქეროდი, გამოღვიძებულთ, როგორ იწყეს წამოდგომა.

— ღირსო მამავ, წამებულო! როგორაა შენი საქმე!—დამეკითხა შვილი ვინმე მდაბიო მოქალაქის ქალისა და ვადაც . . . . თუმც თითონაც არ იცოდა ვინ იყო იმის მამა. . . . ორ წელიწადს გინაზიაში უსწავლა, ქების ბარათიც მიუღია ბეჯითობისთვის და, შემდეგ კი დარჩენილა ცისა და დედამიწის შუა—უბინოთ, უშემწეო, უნათესავო—და უსაქმოდ.

მე ამის მეტი ვერა მიუგერა: არ ვიცი-მეთქი.

— სჩანს, საქმენი შენნი მურივით თეთრიაო, მიპასუხა მთქნარებით.

ყურების ჩამოყრა გინებებიანთ, ზატონო მწერალო?—დაცინვით და ღიმილით შემნიშნა ახლა მეორემ, —წყეულმა შვილმა ოდესღაც ყოფილ ვიღაც მდიდარ ვაჭრისამ.

— ვასოჯან, ახლა კარგია აი, გადა-

კვრა! — მიმართა ამხანაგს და მეც მიმი-  
პატიე. არ ინებებთ თქვენც კომპანიის  
გაწევას? — დაუმატა ვაჟრის შვილმა.

ამნაირ ადამიანებს ზოგჯერ გენიალუ-  
რი აზრი მოსდით ხოლმე: მე მართლაც  
ვაპირებდი დაღევას, რადგან ციებაან-  
სავით თითქო მაჯულოვებდა.

— მეც დამალევიანებთ, მოკეთენო? —  
წრიპინა, საცოდავი ხმით იკითხა ვიღაც  
ძველმა მოხელემ, და გამოჰყო ჭაღარა —  
მელოტი თავი, — ფიცრულის ქვეშიდან.

— დახეთ ვირთავგას, როგორი ყურთა  
სმენა აქვს! გაიცინა ახალგაზდა მდაბიო  
მოქალაქემ, რომელსაც ყველანი „გინა-  
ზიელს“ უწოდებდნენ.

— გაგქყლეტავთ! — მრისხანე კომერ-  
სანტის კილოზი შესძახა, ოდესმე ყა-  
ფილ ვაჟარმა და გამოძეა თავის ბუნა-  
გიდან, ფეხები ძირს ჩამოჰკიდა ზედ ვირ-  
თავგას თავთან.

ჭაღარა — მელოტი თავი ისევ შეიმალა:  
— მასხრებო, მასხრებო! ერთი ჭიქა არა-  
ყი მეყოფოდა! — გამოიძახოდა საფარის  
ქვეშიდან.

ავაზაკთა სამყოფში გაისმა ხარხარი.

— დათეს გასკინებ? — დაეკითხა ვაჟარი.

— შეიძლება. რატომაც არა! — გამო-  
ჰყო ისევ თავი ყოფილმა მოხელემ, ვირ-  
თავგათ წოდებულმა.

— ვირთავგამ დათვი უნდა წარმოად-  
გინოს! აბა, ჰა! შესძახეს აქეთ-იქიდან.

— სულ მასხრობთ, სულ! — წრიპინებ-  
და ვირთავგა.

ყველანი გავემართეთ ქვემო სართულში.  
იქ კიდევ შეკრებილიყვნენ სხვა და სხვა  
ჯურის ადამიანები.

სვამდენ, სჰამდენ, ჩურჩულებდნენ. ია-  
ტაკი, მაგიდები სასმელებით იყო მოსვე-  
ლებული და თევზელით გაზეთიანებუ-  
ლი. სპირტისა და თამბაქოს სუნნი თავს

ბრუს ნოჰგვრიდა სუსტი აგებულების  
კაცს. ყველა აქ უღვინოთ იყო მთვრა-  
ლი. ამ — დარაბებ ჩამოთარებულ სარ-  
დაფს გარეშე თითქო არც არსებობდა  
სხვა ქვეყანა — ისე მივიწყებული იყო ყო-  
ველივე. ოხშივარსა და თამბაქოს ბოლ-  
ში ადამიანები საფლავიდან წამომდგარ  
მოჩვენებათ მოაგავდნენ. იმათი ძონძები  
რალაც ფანტასტიურ მორთულობათ მო-  
სჩანდნენ. პირი სახე ყველას ნაცრის ფე-  
რი და მომწვანო უჩნდა.

ვირთავგა გამოხატავდა დათეს. ვაჟარი  
არდგენდა მოქეიფე მღვდლის შვილს,  
„გინაზიელი“ ფრანგულათ ფრაზეზს ეს-  
როდა. მე ვსვავიდი.

— ჩვენც ნუ დაგვივიწყებ, ძმაო, კა-  
მელია როცა დასწერო. სამოთხიდან ტაშს  
დაგიკრავთ. — ეუბნებოდნენ აქეთ-იქიდან.

— ერთი ჭიქა, ერთი ჭიქა არაყი! —  
იხვეწებოდა ვირთავგა.

მე შევპირდი მეგობრებს, შემესრულე-  
ბია იმათი სურვილი.

IX

რა მომეღის? ნუ თუ უნდა დავილუ-  
პო? — ვეკითხებოდი ჩემს თავს, მეორე  
დღეს რომ გავიღვიძე და ამღვრეული  
თვალი მოვავლე ჩემს გარშემო მწოლა-  
რე კომპანიას — იღბლათ. ჩემს თანამოძ-  
მეთ. თავი მტკიოდა. მადა არა მქონდა.  
ჩაველ სარდაფში, დავლიე, კიტრი შევ-  
ქაპე, — მოვჯობინდი.

„დაქნალ გზას დავადიქ!“ — გავფიქრე  
ნანვით და სასოწარკვეთილი მოვთავსდი  
ქუჩკიან მაგიდასთან, რომელზედაც გა-  
შლილი იდო ორი კვირის — ძველი, გა-  
ზეთიანებული გაზეთი, ოთხივ კუთხივ  
ყურებ მოხეული პაპიროზის გასაკეთებ-  
ლად. ვიწყე თვალღებობა. წავიკითხე ნა-

პოლონის მეჯლისზე, დაქვრივებულ დედოფალ ვიქტორიას მუდმივს მწუხარებაზე; დეპეშა ვილაც გერმანელ პრინცის მეშვიდე ქალის შეძენაზე... გადაველ— რიაზანში მომხდარ ქურდობის ამბავზე, მოსკოვის უნივერსიტეტის დავაზე, სირაკუზაში წინა— ისტორიულ მართვის ფორმებზე, გადვიკითხე პოლემიკაც შესახებ განცხადებისათვის სამი მანეთის გადუხედლობაზე, და შეეჩერდი განცვიფრებულად. დიდრონი ასოებით ეწერა განცხადება იმ ჟურნალის შემდეგი ნომრის გამოსვლაზე, სადაც მიტანილი მქონდა ჩე-

მი რომანის პირველი ნაწილი და, როგორც აქვე აღნიშნული იყო, პირველ სტატიას ამ ჟურნალში ჰქონდა სათაური: „აკენი“—(ამბავი) ა. ფემისტოკლოვისა. ვკითხულობდი და ჩემს თვალებს არ უჯეროდა, მეგონა გალუცინაცია მემართებოდა.

ჩემი აკენი—და ფემისტოკლოვიც ხომ მე ვარ. ე. ი. მე კი არა ჩემი ფსევდონომი! წამოვხტი საჩქაროდ, წამოვაველე ქულს ხელი და გავეკანე რედაქციისაკენ.

**ნატ. გიგაური-გაბაევისა.**

(შემდეგი იქნება)

# შინაური მიმოხილვა.

(მომენტის გამო).

**მ**ოვესწარივთ ისეთ დროს, რომელსაც ჩუმის ნატვრით ყოველთვის მოველოდით, როცა საშუალება გვეძლევა ცხოვრების მოწყობაში მონაწილეობა მივიღოთ და ამ რიგად თვითვე რამდენიმედ შევიქმნეთ ჩვენივე ბედის გამომკვდი, როცა უნდა დავამტკიცოთ, რომ ღირსნი ვართ მოპოვებული თავისუფლებისა და მომწიფებულნი ვართ მისთვის. რა საჭიროა დღევანდელი მომენტის სიდიადის შესახებ ლაპარაკი? ვინ გამოხატავს თავისუფლების სრულ მნიშვნელობას? ამიტომ არ გამოვუდგები ზედმეტ სიტყვების ხარჯვას და გადავალ პირდაპირ აზრზე, რომელიც მაინტერესებს.

მიტომ ვაქციეთ ზურგი ძველ ადათწესებს და ჩამოვიბერტყეთ ფეხქვეშ მის მტვრი, რომ ჩვენ არ გვწამს ოქროს

კერპები და გვსურს მისი ფერფლი განადგურების გრიგალს გავატანოთ. მიტომ დავანგრეთ ძველი, რომ ავაშენოთ ახალი, უკეთესი, უფრო ვრცელი, ნათელფანჯრებიანი და რბაზი თავისუფლებისა, რომელშიდაც ყველანი შევალთ განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა და მდგომარეობისა, სადაც არავის არ შეგვიკიდება, სადაც სამათხოვროდ აღარავის გვექნება ხელები გაწვდილი, სადაც ყველას გვექნება საშუალება მუშაობისა და შრომის ნაყოფის ტკბილად და გემრიელად მოხმარებისა.

ვინ არ დამეთანხმება, რომ თუმცა დღევანდელი თავისუფლების მოპოვება თვალის მომჭრელად ვიდრესასწაულეთ, მაგრამ ჯერ არ შექმნილა ისეთი წესები, რომელსაც საგრძნობი ბედნიერება მოე-

ტანოს ხალხისთვის. ჯერ სავსებით კიდევ ძირიან ბუღიანათ არ დანგრეულა ძველი ქვეყანა და კვლავ უთანასწორობა ადამიანთა შორის, კვლავ კაცის კვლა, კვლავ მონობა სხვა და სხვა ნაირი, რომელთაც მომავლის საზოგადოებაში აღარ უნდა ჰქონდესთ ადგილი. და ამიტომ კი საჭიროა ენერგიული მუშაობა ძველის დანგრევასთან ერთად ახლის შექმნისა და ახლის დაფუძნების ნიადაგზე. მაგრამ საქმეს წინ ყოველთვის აზრი მიუძღვის, სიტყვა საქმედ იქცევა. მაშ სათავე ყოველივესი არის აზრი, მისი სამოსელი არის სიტყვა და გამოხატულება—გახორციელება—საქმე. არ შეიძლება ყველა ადამიანები ერთისა და იმავე აზრისა იყვნენ ყოველ საგანზე, ადამიანებს ახასიათებს აზრთა სხვა და სხვაობა და ყოველი საქმის გაკეთების დროს ეს აზრთა სხვა და სხვაობა თავს იჩენს და დასტრიალებს გზარკვევ საგანს; იმართება ბჭობა, რჩევა, იხილება მრავალ გზით საკითხი და ხდება შეთანხმება, რომელიც აკმაყოფილებს მოღავე მხარეებს. ყოველი გულწრფელი მოწინააღმდეგის აზრიც ისეთივე პატივისცემია, როგორც საკუთარი აზრი, სამართლიანობა, ადამიანობა, პატიოსნობა და საქმის გაკეთების სურვილი მოითხოვს, რომ მოსმენილი იქნეს სხვა და სხვა აზრები საჭირო-ბოროტო საკითხზე, მონახულ იქნეს ჭეშმარიტება და გამოტანილ იქნეს ესა თუ ის გადაწყვეტილება. მხოლოდ მაშინ შეიძლება გაკეთდეს საქმე ყველა დაინტერესებულ პირთა დამაკმაყოფილებლად და ყველასათვის სასურველად. ესევე ითქმის ცხოვრების წესების შექმნაზედაც.

ყველა ცოტად თუ ბევრად განათლებულ ხალხებში არსებობენ სხვა და სხვა პარტიები, რომლებიც თავთავისი თვალს

საზრისით უცჭერიან ცხოვრების ამა თუ იმ საკითხს და სცდილობენ ისე მოაწყონ საზოგადოთ მოქალაქეთა ცხოვრება, როგორც იმათ საუკეთესოდ აქვთ წარმოდგენილი. ამ მიზნით ირაზმებიან, იკრებენ თანამოაზრეებს და აქტიური გამოსვლებით ერევთან ქვეყნის საქმეებში. სხვა და სხვა ჯგუფთა შორის აზრთა სხვა და სხვაობის ნიადაგზე იბადება განხეთქილება, რომელიც თუ ერთთავად სწამლავს საზოგადო ატმოსფერას, მეორე მხრით ხელს უწყობს ჭეშმარიტების გამორკვევას და ცხოვრების უკეთ მოწყობასაც.

ჩვენს ქვეყანაშიდაც ყველას მოეხსენება არსებობენ პოლიტიკური პარტიები, რომელნიც თავთავის გემოზე „აშენებენ სოფელს“ და აბედნიერებენ ხალხს. არის სამი ანგარიშ გასაწევი პარტია: სოციალ-დემოკრატებისა, სოციალისტ-ფედერალისტებისა და ნაციონალ-დემოკრატებისა. ამათ მიზნები და სურვილები, თუ კი იმათ პროგრამებს წავიკითხავთ, თითქმის ერთი და იგივე აქვსთ. ეს არის ხალხის სამსახური. იმაში ვერავინ დამაჯერებს, რაც უნდა მარწმუნოს, რომ რომელიმე ამ პარტიათაგანს ხალხისთვის ცუდი უნდოდეს. მაგრამ ზოგი ფართოდ უყურებს საქმეს, ზოგის შეხედულება კი ვიწრო და შემოფარგლულია, ყოველ შემთხვევაში საერთო საქმისთვის უკეთესი იქნებოდა, რომ გულ-დასმით, დინჯათ, მოსმენილიყო ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრები და საკითხის გამორკვევის შემდეგ პრაქტიკულ ნიადაგზე შეთანხმებულიყვნენ ყველა ხალხისთვის გულშემატკივარი პარტიები; ერთი თავი კარგია, ორი კიდევ უკეთესია; ამბობს რუსული ანდაზა, რაც უნდა გენიოსს, გამჭრიახი მხედველობის პატრონი იცადამიანი,

ის როცა რომელსამე სხვანს უყურებს ვანსაზღვრული თვალსაზრისით, ის მხოლოდ ერთ მხარეს ხედავს საგნისას, ისე როგორც ჩვენ, როცა მთას მივჩერებივართ, ამავე დროს ვერ ვხედავთ თუ რა ხდება ამ მთის მეორე მხარეზე. სწორედ ამიტომ საჭიროა მოვეუსმინოთ და მხედველობაში მივიღოთ იმ ამხანაგების აზრებიც, რომლებიც მეორე გვერდიდან უყურებდნენ ამავე მთას. როგორც ძველი მთავრობა იყო საძულველი და შესაჩვენებელი, იმიტომ, რომ თავითმპყრობელობა იყო მისი საფუძველი და სიმაგრე, საკუთრად სწყვეტდა საქვეყნო საქმეებს ხალხის დაუკითხავად; ისე ყოველივე ჯგუფი, თუ ახალი მთავრობა, თუ ამავე ნიადაგზე შესდგა, დაჰკარგავს თავის ნამდვილ გზას და შეიქნება სხვისთვის აზრის ჩამკვლელ მტარვალად და ბარბაროსად, ვისაც უნდა ხალხის სიკეთე, იმან უნდა შეიწყნაროს ყოველივე აზრი და მიმართულება და შესაფერი პატივისცემით ეპყრობოდნეს, როგორც პიროვნებას, ისე ჯგუფის წმიდათა წმიდას, რადგანაც ჩვენ განკერძოებულ კუნძულზე არ ვდგევართ და მოწინააღმდეგე ჯგუფებ შორის გვიხდება ტრიალი. ჩვენ რომელ პარტიასაც უნდა ვეკუთვნოდეთ, ბედნიერება გვსურს არა მარტო ჩვენს პარტიისთვის, არამედ მთელი ფრისათვის. ამიტომ ყველას უნდა მივსცეთ საშუალება მონაწილეობა მიიღოს საერთო მომავლის შექმნაში: თუ აზრი ჩვენი მოწინააღმდეგისა უსაფუძვლოა, იმის სიღუბეში არის ადვილათ დავამტკიცებთ; თუ აზრი მართალია, იმას კიდევ რომ წინააღმდეგეთ, პირში ლაგამი ამოვსდეთ, ციხეში ჩავამწყვდიოთ და ხიშტებზე ავაგოთ, მაინც ვერ მოვკლავთ, რადგან მართალი აზრი უკვდავია.

ამ მოსაზრებით რომ შივადგეთ ჩვენს დღევანდელ ცხოვრებას, ერთს სამწუხარო მოვლენას შევნიშნავთ: თავისუფლების ხანაში, როცა სიტყვის და რწმენის თავისუფლება რევოლიუციონურმა ხალხმა მოიპოვა, როცა ყოველგვარი ხალხისთვის სასარგებლო აზრების ქადაგება კანონის ძალით ნება დართულია, როცა ყველა რევოლიუციონური პარტია ლეგალურად არის გამოცხადებული—ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს ხალხში, რომელიც კულტურულ ქვეყნად და ერთად ითვლება, აქა იქ ხდება ისეთი ამბები, რომელიც სულ წინააღმდეგს. ამტკიცებს და შავ ფიქრებს გვიშლის.

მე მოგახსენებთ იმ სამარცხინო დარბევაზე სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ბინებისა და წმიდათა წმიდის რევოლიუციონურ დროშის შეგინებისა, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში მოხდა მრავალ ადგილებში, სახელდობრ ქუთაისში, სამტრედიისში, ხარაგაულში და სხვაგან, იმ დევნაზე, რომელსაც განიცდიან ხსენებული პარტიის წევრები მრავალ ადგილებში მხოლოდ იმიტომ, რომ იმათ ერთგვარი განსაკუთრებული ვეგმა გამოაქვსთ საქართველოს მშრომელი ხალხის გასაბედნიერებლად. შეიძლება არ დავეთანხმოთ სოციალისტ ფედერალისტებს, მაგრამ აკრძალვა იმათი ქადაგებისა, დახვეა იმათი დროშებისა, ტყეპა იმათი მოლაპარაკებებისა, იმის თქმა, რომ იმათი სასურველი ავტონომია, ბატონყმობას ნიშნავსო, როცა ის ნიშნავს ნამდვილად ხალხის თავისუფლებას, ფედერაცია რუსეთიდან გამოყოფა არისო, და სხვა ერების დევნაო, როცა ის ნამდვილათ სწორედ რუსეთთან დარჩენას ნიშნავს და ყველა ერებთან ამხანაგურ კავშირს—ყოველივე ეს ვიმეორებ სრულიად

სამარცხენოა, სრულიად დასაგმობია ისეთ რევოლიუციონურ ხანაში, როგორსაც დღეს განვიცდით და ისეთ რევოლიუციონურ ერში, როგორიც ქართველები ვართ. ყოველი შეგნებული ადამიანი და პოლიტიკური პარტია სოციალისტ-ფედერალისტებთან ერთად უნდა წინააღმდეგენ ასეთ ბნელ საქმეებს, ასეთ შავრაზმულ „პაგრომებს“, რომლებიც ძირს უთხრიან რევოლიუციის დიდებულ საქმეს. ასეთ პროვოკატორების და ხულიგნების ალაგმვით და ხალხში ნათელი და პატიოსანი აზროვნების შეტანით უნდა ვაფხანტოთ ის ბურჟუაზია, რომელიც ჩვენდა სამარცხენოდ დღეს თავს დავდგომია და ყველას განურჩევლად პარტიებისა დაღუპვას გვიქადის. ნუ გვინდა ჩვენს წმიდა სოციალისტურსა და რევოლიუციონურ - დემოკრატიულ დროშას ახლოს უდგებოდენ და სვრიდენ თავისი ტალახიანი მოქმედებით ის პირები, რომლებიც ვითომ ჩვენი მომხრეობის ერთგულებით, შავრაზმული საშუალებებით ებრძვიან მოწინააღმდეგე პარტიის აზრებს და ამით ჩვენვე სახელს გვიტყვენ! თუ ჩვენი აზრი მართალია, იმას სოციალისტ-ფედერალისტების მსოფლ-მხედველობა ვერას დააკლებს, და თუ ჩვენ ვცდებით, მაშინ როგორც პატიოსანმა მებრძოლებმა, ქელი უნდა მოვიხაროთ მოწინააღმდეგეების წინაშე, რადგანაც ჩვენ გვა მოძრავენს არა პირადი და პარტიული თავმოყვარეობა, არამედ მშრომელი ხალხის ინტერესი და სამსახური. ბრბოზე დაყრდნობა არ არის საიმედო: ბრბო დღეს თუ შენ მოწინააღმდეგეს არბევს, ვინ მოგცემს იმის თავდებობას, რომ ხვალ შენვე არ დაგეყენებს შავ დღეს?

ტიის წმიდა მოვალეობაა ენერგიულად ებრძოდნოს იმ ძალებს, რომლებიც ცდილობენ ამგვარი ძალადობით უპირატესობა მიანიჭონ რომელსამე პარტიას და ამით ძმათა შორის დეარძლს სთესავენ. ებრძოდნონ იმ უხეშ ძალებს, რომლებიც გვიმწარებენ რევოლიუციისაგან მოძღვნილი ნაყოფის გემოს, რომლებიც გვართმევენ ადამიანისა და მოქალაქის უფლებებს და ამ რიგად ჩვენი წინმსვლელობის ეტლს უკანვე ეწვიან და ძველი რეჟიმის აღდგენას ხელს უწყობენ. ეს ყველას მოვალეობაა, ვიმეორებ და განსაკუთრებით კი სახალხო მასწავლებლისა, რომელიც ხალხში მუშაობს, რომელიც თავისი პატიოსანი სამსახურის მდგომარეობით, არ შეიძლება იყოს ძველი წესების მომხრე, რომელსაც უნდა „პატიოსნად უყვარდეს და პატიოსნად სძულდეს“. ვიმეორებ, სახალხო მასწავლებელმა უნდა გასცეს ამას შესაფერი პასუხი და ენერგიული მოქმედებით სოფლად და ქალაქად, ლექციებისა და სახალხო კითხვების მოწყობით და ყველგან ახსნა განმარტებით, ხალხში პროგრამების გავრცელებით შეიტანოს სინათლე ერში და იხსნას იგი სოციალისტებისაგან. ხალხი მომზადდებულად მაშინ ჩაითვლება, როცა მას შეგნებული აქვს ყველა პარტიის შეხედულობა და თავის თავად, თავის ჭკუა გონებით საკუთარი აზრი შეუდგენია და დამოუკიდებლად თავის თავად მსჯელობს და საქმიანობს.

ამიტომ ყველა პატიოსანი ადამიანის და ხალხისთვის გუგლშემატყვიარე პარტი

სოფლად მასწავლებელს ბევრი შეუძლია, ის მართალია უპარტოო კაცი ვერ იქნება და არც უნდა იყოს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ის მაინც მოეთხოვება, რომ ხალხს აუხსნას, რომ სიტყვის აკრძალვა, კრების დაშლა, დროშის წართმევა და სხვა ასეთები დასაგმობი საქცი

ელი არის. იმავე ხალხის კეთილდღეობისათვის აუცილებლად საჭიროა, იცოდეს ხალხმა, თუ ვინ როგორ აპრობს მის გაბედნიერებას. მაშინ ხალხი შეგნებულად გაჰყვება იმ პარტიას, სადაც უკეთეს აზრებს შეამჩნევს და ერთგულ დამცველებს დაინახავს. თუ ჩვენ ერის კეთილდღეობა გვინტერესებს, ამან არ უნდა შეგვაწუხოს, პირიქით, ხელი უნდა შევეუწყოთ ამ სასარგებლო აზრის განხორციელებას, თუნდაც ის მოწინააღმდეგისაგან იყოს გამოათქმული. ეს უწყმიდესი მოვალეობაა მასწავლებლისა, რომელ პარტიასაც უნდა ეკუთვნოდეს იგი,

და მე დარწმუნებული ვარ, რომ ის უკვე ასრულებს ამას, და ვინც ჯერჯერობით სხვა ნაირად ფიქრობდა, შემდეგში მაინც ისე მოექცევა, როგორც ჩვენ ვურჩევთ და ვეწუდარებით.

შევიგნოთ მომენტის სირთულე, ამხანაგებო, თორემ დაღუპვა მოგველის, ვერ გვიშველის ამა თუ იმ პარტიის წევრობა, თუ რევოლიუცია დამარცხდა! და თუ ეს არ გვინდა, და რასაკვირველია არ გვინდა, ვებრძოლოთ მთელი ჩვენი არსებით ყალბ აზრებს, საეჭვო პირებს, ბნელს ძალებს და მათს ბნელს საქმეებს.

პავლე აბულაძე



## სკოლის განახლების ხანა

რუსეთის ტერატორიაზე მცხოვრებ 140-ზე მეტ სხვადასხვა ეროვნების კულტურის აღორძინებას და განვითარების საქმეს თავს აწვა მთელი თავისი სამძიმით უხეში, ბნელი ძალა. ამ ძალის მასულდგამულბელი თვითმპყრობელობა თავისი აღმასრულებელი ორგანოს—ბაუროკრატის საშუალებით ყოველგვარ ზომას ხმარობდა გადაეჭია სკოლა გამოშვით ხველ მანქანად. თავისი პოზიციის გამაგრებასათვის საჭირო იარაღად.

საერთო პოლიტიკასთან ერთად არა რუსთა სკოლების შესახებ განსაკუთრებული პოლიტიკა არსებობდა,—პოლიტიკა გარუსებისა, ამ პოლიტიკამ სრულიად დაუკარგა სსხე არა რუსთა სკოლას, სრულიად გააქარწყლა და მოსპო ყოველგვარი ეროვნული სკოლაში. . . სკოლის ტყვეობიდან განსათავისუფლებლად 1905

წელს მებრძოლ პოლიტიკურ პარტიებთან ერთად ბრძოლის ველზე გამოვიდა სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირი. კავშირმა სხვა მიზანთა შორის საშემდეგ გეგმაში შეიტანა: ყველა საგნის ყველა ტიპის სკოლაში მასწავლების წარმოება სსმშობლად ეხსნე. სკოლის გაერთიანების პრინციპის განხორციელება (საზოგადოთ სკოლის სრული თავისუფლება სრულ დემოკრატიულ საფუძვლებზე). 1905 წლის მოძრაობა რეაქციით დასრულდა და სკოლის განახლებას საქმე შეჩერდა.

თვით ზომიერ წრეთა და ორგანიზაციათა მოთხოვნაც სკოლის მკირეოდენი რეორგანიზაციის შესახებ რჩებოდა ხმად მლალადებლისა უდაბნოსა შინა და დღემდე სკოლა ისე ძველი პოლიტიკის გამო მობხატველი იყო და მის გავლენას განი-

ცდიდა. დღეს, როცა თვ-თმპყრობელობა აღარ არის, როცა დროებითმა მთავრობამ გამოაცხადა თავისუფლება სიტყვისა, რწმენისა. კავშირისა, კრებისა, მოსპო პრივილეგიები, აღიარა ერთა თანასწორობის პრინციპი—დადგა სკოლის განახლების შედეგ ხანა, ეს ხანა ოქროს ხანაა, მოპოებული ბრძოლით. ეხლა სკოლას ხელს არ უშლის უბედში ძალა ემსახუროს თავის ნამდვილს მიზანს, განახორციელოს თავისი დანიშნულება; საჭიროა მხოლოდ ენერგიული მუშაობა, დაუღალავი, სისტემატიური შრომა, მიმართული სკოლის რეორგანიზაციისაკენ ნამდვილ დემოკრატიულ საფუძველზე აგებული. უმთავრესად კი ეს შრომა უნდა იკისროს მასწავლებელთა ორგანიზაციამ, რომლის ხმას ანგარიშს გაუწევს მომავალი დამფუძნებელი კრება: დამფუძნებელ კრებაზე რუსეთის მასწავლებლობა უნდა წარსდგეს სკოლის რეორგანიზაციის საერთო გეგმით. სკოლის ნაწილ-ნაწილად: ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლაში საგნების სამშობლე ენაზე წარმოება, საყოველთაო, უფასო და სავალდებულო დაწყებითი სწავლის შემოღება, ყველა ტიპის სკოლის შეთანხმება ისე, რომ უმაღლეს ტიპის საზოგადო განათლების სკოლა შეადგენდეს დაბალი ტიპის სკოლის პირდაპირ გაგრძელებას, განათლების უფასოდ შემოღება სკოლის ყველა საფეხურზე, საღვთო სჯულის სწავლების გამოარაცხვა საზოგადო სკოლების კურსიდან და საღვთო სჯულის სწავლების კერძო საქმედ აღიარება, ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლაში ქალთათვის ერთად სწავლება, სკოლისა და სკოლას გარეშე განათლების: სფეროში კერძო ინიციატივის ფართო თავისუფლების აღიარება, განცხადებითი წესით

ყოველგვარი ტიპის სკოლის გახსნის უფლება, სწავლა-განათლების საქმის ადგილობრივ თვითმართველობათა და კრფუნდორგანიზაციითა გამგებლობაში გადაცემა და სხვა... აი უმთავრესი მუხლები საერთო გეგმისა! კერძოდ ჩვენ, ქართველ მასწავლებლებს გვმართებს ეხლავე შევუდგეთ ეროვნული სკოლისათვის საჭირო მასალის მზადებას: სახელმძღვანელო წიგნების შედგენას სკოლის ყველა საფეხურისათვის. ამ აკადემიური შრომისათვის საჭიროა მასწავლებელთა სპეციალური კომისიების არჩევა თითოეული სასწავლო საგნის მიხედვით, ხოლო კომისიების არჩევა უნდა მოახდინოს მასწავლებელთა კავშირმა.

I.

მასწავლებლის მომზადება.

სკოლის ნაციონალიზაციის პრინციპის განხორციელება თავისთავად გულისხმობს მასწავლებლის მომზადებას. სკოლას მხოლოდ მაშინ შეუძლია ჯეროვანი ნაყოფი გამოიღოს, როცა მასწავლებელი კარგად არის მომზადებული. დისტერვეგის აზრით, სახალხო სკოლის მასწავლებელი უნდა იყვეს დროს „ენციკლოპედისტი“, ე. ი. იგი ვალდებულია პასუხი გასცეს ყველა შიშობიარე ცხოვრების მიერ წამოყენებულ საკითხებს. ჩვენი სახალხო მასწავლებელი, საუბედუროთ, შეიძლება გაბედულათ ითქვას, სრულიად მოუმზადებელია: იგი არამც თუ დროს ენციკლოპედისტობას ვერ გასწევს, რიგიანად ოფიციალი სკოლის კურსის გავლასაც ვერ ახერხებს. ამის მიზეზი ყველასათვის ცხადია. რუსეთის სკოლისათვის მთავრობა ცდილობდა მომზადებინა არა ნამ-



დვილი ხალხის ღირ-ვარამის განზიარებელი, მებრძოლი, აქტიურად მომქმედი მასწავლებელი, არამედ თავის ნება-სურვილების და გეგმის გამტარებელი მსგე-ფე, უბრალო ტეხნიკი, სხვისი ტვირთის მატარებელი.

არნოლდის სიტყვით, სწავლა-აღზრდის საქმე დინამიური პროცესია და არა მექანიკური, ამისათვის იგი თხოულობს ყოველმხრივ მომზადებულს და აქტიურ ძალას. მართა ანბანის სწავლება სრულიად არაა საკმარისი ისეთი რთული და სერიოზული საქმისათვის, როგორც არის მოზარდი თაობის აღზრდა-განვითარების საქმე. განახლებული რუსეთის სკოლისათვის უნდა მომზადდეს აქტიური, ცოდნით აღჭურვილი მასწავლებელი. მას კი დრო უნდა. დრო უნდა თვით რუსის სკოლისათვის, მით უმეტეს დრო უნდა— არა რუსთა სკოლისათვის... არა რუსთა სკოლის მასწავლებელმა ჯერ თავის სამშობლო ენა უნდა შეისწავლოს, შემდეგ ამ ენაზე სწავლების ტეხნიკაში უნდა გავარჯიშდეს. ქართველ მასწავლებელთაგან შეიძლება ნ პროც. მოახერხოს სამშობლო ენაზე დღემდე სკოლაში სავალდებულოდ შემოღებულ საგნების სწავლება და ისიც სკოლის პირველ საფეხურზე—პირველ დაწყებით სკოლაში. 95 პროც. კი სჭარდება მომზადება, რასაკვირველია მეტ ნაკლებობით. არიან ქართველი მასწავლებლები, რომელთაც ქართულად არც ერთი საგანი არ უსწავლებიათ. ასეთი მასწავლებელი ბევრია საშუალო სასწავლებლებში, დაბალი ტიპის სკოლებში კი მასწავლებლები პირველ ორ წელიწადს საგნებს სამშობლო ენაზე ასწავლიდნენ, მაგრამ ეს ხდებოდა მხოლოდ ქალაქის პირველ დაწყებით და სამ-ნისტრო სკოლებში და ისიც

ქართლ-კახეთში, იმერეთში, გურიაში და რაჭაში. სამეგრელოში კი ქართული ენა სკოლიდან სრულიად განდევნილი იყო და ამიტომ მასწავლებლებად ნიშნავდნენ განზრახ ისეთს პირებს, რომელთაც ქართული ან სრულიად არ იცოდნენ, ანა და ძლიერ ნაკლებად იცოდნენ. მასწავლებელთა ასეთი შემადგენლობა, რა თქმა უნდა, ეროვნული სკოლისთვის გამოუსადეგარია, ვიდრე იგი ამისათვის არ მომზადდება. მოსამზადებლად კი საჭიროა საოსტატო სემინარიები, კურსების, ლექციების მოწყობა, სანიმუშო სკოლის გახსნა და სხვა. უკვი არ უნდა, თვით საოსტატო სემინარიებისათვის, კურსებისა და სპეციალური სკოლისათვის უფრო მეტად საჭიროა მომზადებული მასწავლებლები, რომელთა რიცხვი არა ნაკლები საგრძნობელია. ენკენისთვემდე კი ეროვნული სკოლისათვის ნიადაგი უნდა მომზადდეს: მზათ უნდა იქნეს პირველ დაწყებითი სკოლებისათვის მაინც სახელმძღვანელო წიგნები, სასწავლო გეგმა და მასწავლებლებიც იმდენად მომზადებულნი, რომ თანდათანობით თვით-განვითარების საშუალებით შეეძლოს ეროვნულ სკოლაში სწავლის წარმოება. დრო ძლიერ ცოტა დაგვრჩა. საქმეს ეხლავე უნდა შეუდგეთ. პრაკტიკულად ეს საქმე უნდა განხორციელდეს შემდეგის წესით:

1. უნდა დაინიშნოს დასავლეთ საქართველოში არსებულ მასწავლებელთა კავშირების გამეგობათა შეერთებული კრება.

კრებამ უნდა შეიმუშაოს დაწვრილებითი გეგმა ეროვნული სკოლის დროებით რეორგანიზაციისა. 2) შეადგინოს სია იმ მასწავლებელთა, რომელთაც საკმაო მომზადება და ცოდნა აქვს და შესძლებენ ეროვნულ სკოლაში ხელ-

მძღვანელობას; 3) შეადგინოს ზედაგოგიური კურსების პროგრამა; 4) დაჰყოს საქართველო რაიონებათ და დანიშნოს ადგილები, სადაც უნდა გაიმართოს კურსები; 5) შეადგინოს განსაკუთრებული გეგმა სამეგრელოს სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლად, 6) გამოსძებნოს წყაროები კურსების მოსაწყობად, საქართველოს ხარჯების დასაფარავად და სხვა.

შეუძლია თავის ცოდნით და გამოცდილებით ამ საქმეს გამოადგეს, ვალდებულია აქტიური მონაწილეობა მიიღოს და თავისი წვლილი შეიტანოს ეროვნულ სკოლის აღორძინების დიად საქმეში.

ხსენებულმა კრებამ უნდა შეიმუშაოს აგრეთვე გეგმა მამაკაცი სკოლის ორგანიზაციისა. მაგრამ ამაზე შემდეგ მოვილაპარაკოთ.

ყოველი ქართველი, რომელსაც კი

გ. ოზნილი



### პასუხი „გუთნის“ ავტორებს \*)

სამართლე ვითხრათ, ძნელია კამათი ისეთ პირებთან, რომელნიც არ ემორჩილებიან კულტურულ საზოგადოებაში მიღებულს სალიტერატურო ეთიკას და რომელთაც უტყუარ ჭეშმარიტებათ მხოლოდ საკუთარი გულისთქმა მიაჩნიათ და ობიექტიური ლოღოკა არა აქვთ საზომად პიროვნების, თუ მთელი ორგანოს გმობა-დამციროებასა და თავის ქებაში...

მათთვის მიზანი ყოველ საშუალებას ამართლებს და მოწინააღმდეგის გასაშვებლად არ მოერიდებათ არც სიყალბეს, არც ქორებს, არც ნათქვამის დამახინჯებას და დასაბუთებული ბრალდებრიდან ცდილობენ გამოძვრენ სიტყვის ბანზე ავადებით, მოპირდაპირის ნათქვამიდან უკუღმართ დასკვნების გამოყვანით. და სხვა ამგვარი ხრიკებით.

სამწუხაროდ, სწორედ ასეთი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე „გუთნის“ ავ-

ტორთა ჩემდამი პასუხმა, იხ. 1916 წლის გაზ.: „სამშობლო“-ს №№ 451, 452 და 453.

მე ჩემს წერილში (იხ. „განათლება“ № 5—6 1916 წ.) „გუთნის“ შევხებ მხოლოდ ეროვნული და რამდენიმე ზედაგოგიურ-ფსიხოლოგიური თვალსაზრისით და ჩემი წერილის მთავარი დებულებანი დღესავით ნათლად იყო სათითაოდ განმარტებული.

რივიანობა მოითხოვდა, რომ ბ. ბ. „გუთნის“ ავტორთ აკრე მუხლობრვ განცხილათ იგი და თუ რაჲ ყალბად და შემცდარად მიაჩნდათ, საბუთებითა და სალი ლოღიკური დასკვნებით დაერღვიათ და წინააღმდეგი დაემტკიცებიათ. მაშინ მეც საშუალება მექნებოდა შესაფერო პასუხი გამეცა და კამათი უფრო ნაყოფიერი იქნებოდა.

მაგრამ მათ ამის უნარი ვერ გამოჩინეს, თუ განზრახ აუხვიეს გვერდი ამას და მიმართეს სრულად არა საკადრის გზას: სიტყვა ბანზე აავდეს, მთავარი სა-

\*) ამ წერილის დაბეჭდვა დაგვიანდა. იხუჭდება შემოკლებით.

კამათო საგანი: „გუთანი“ უჩინ-მაჩინის ფარდას ამოაფარეს და დაიწყეს ბრალიან უბრალო კბენა, ლანძღვა, დამცირება და შეურაცხყოფა მკვდრისა და ცოცხლისა. და ბოლოს იქამდე მივიდა მათი უდიერი თავგასულობა, რომ სრულიად უმიზეზოთ, სამარცხვინო ბრალდებით შეურაცხვეს მშრომელი ერის კეთილდღეობისათვის თავდადებული მოღვაწე, ქართული პედაგოგიკის მამამთავარი—იაკობ გოგებაშვიდი. აი რა სასიქადულო ნეკროლოგს უძღვნიან ჩვენს ძვირფასს, განსვენებულ მოამაგეს:

„მას აქეთ, რაც ი. გოგებაშვილის უღელა ენა“—„ბუნების კარი“ დაიბეჭდა, ორმოცი წელიწადზე მეტია, ამ ხნის განმავლობაში გამოჰყოფდა თუ არა თავს რომელიმე სხვა ავტორის სახელმძღვანელო, გოგებაშვიდის შეახებით, ჩვენს პრესაში საშინელი შეჩვენების განგაში ასტუდებოდა, (ხაზი ჩემია ი. ნ-ძე) მის მაგიერათ, რომ ასეთი მოვლენა სასიამოვნო ფაქტად მიიჩნეულიყო“... (მაშ ლევეტსკისა და აშორტიას გამოცემებს ტაშით უნდა შევგებებოდით).

როგორც ამ სიტყვებიდან სჩანს, პატრიცემული იაკობი ყოფილა უუსაშინელები ინკვიზიტორი, მებრძოლი ქართული ეროვნული სწავლა-განათლების წინააღმდეგ.

ადამიანი, რომელმაც ეროვნულ განათლების აღორძინებას მსხვერპლად შესწირა ყოველივე პირადი, საამიოფლიო ნეტარებანი, რომელმაც სული ჩაუღდა ქართულ ეროვნულ სკოლას და წმინდა ტარიგად დაიწვა სამშობლოს ეროვნულ სამსხვერპლოზე, თურმე ებრძოდა სამშობლოსთვის სასარგებლოს და სასიამოვნოდ მისაჩნევ მოვლენებს.

აგრევე არ გვეშინიან ჩვენ, რომ თქვენ

მაგ უნიადაგო და წყალ-წყალა პასკვილებით ვითომ საზოგადოების თვალში დასცეთ გოგებაშვილის პრესტიჟი; მხოლოდ სირცხვილია და გულსატკენი ისეთი გულწრფელი მოღვაწის, ჩუმი მუშაკის აგრე უდიერად ხსენება, როგორც თქვენ ახსენებთ განსვენებულ იაკობს, რომელსაც ფართო საზოგადოება იცნობს კარგად თვისის კეთილი საქმეებით და არა ოცხელ-მთავარიშვილ-ყიფიანისა და ია ნარჩიძის რეკლამებით...

მერმეთ ბ. ბ. ავტორთ მოჰყავთ სტატისტიკური ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ათასი ცალი „გუთანი“ გაუსაღებიათ, მაგრამ ეგ სამწუხარო სტატისტიკა მხოლოდ იმას გვეუბნება, თუ რა მოხერხებულათ და ბლომად უვაჭრიათ მათ ჩვენი მოზარდი თაობის სულითა და გონებით.

შემდეგ ამისა მოგვდგებიან ეს „უმწიკვლო ავტორები უმწიკვლო სახელმძღვანელოსა“ და ყოველად უწმაწური ეპიტეტებით გვამკობენ ჟურნალ: „განათლება“-ს და მის რედაქტორ-თანამშრომლებს... აქ მათ გადაულახავთ ყოველგვარი სენდისიანობისა და პატიოსნების საზღვარი, მათი ზრდილობიანობის საუკეთესო დამახასიათებელი მათივე სიტყვები იქნება, ამიტომ მოვუსმინოთ მათ:

„ახლაც რაციონალურად დაყენებულ სკოლებში, სადაც ჭიუტობის ტრადიცია არაა გამეფებული, სადაც ჯ. ბოტყაძის კანტინი მსწავლეების უგზურებით არაა გამკრებუდი, „გუთანი“ ფებს იკიდებს“... (ხაზი ჩემია ი. ნ.).

(ძლიერ საინტერესოა, ნეტა რომელ სკოლებს ჰკულისხმობენ აქ ავტორები? —მე-კი ვიცი, რომ „გუთანს“ მხოლოდ ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მოსამზადებელ კლასებში აქვს „ფეხი“ მოკიდებული

ლი, ე. ი. იქ, სადაც ლ. ბოცვაძის კანონი კი არა, ოცხელ-მთავრი შვილ-ყიფიანის დიქტატურაა გამეფებული და ეს არც ისე გასაკვირია, რადგან უამისოდ ამავე სამხანაგობის წიგნის მალაზიის ბიუჯეტს ხომ რამდენიმე ათასი „გუთნის“ ფასი მოაკლდებოდა.

ვიცი აგრედვე პრავალი ისეთი სკოლები, სადაც „მასწავლებელთა უფნურებით“ კი არა, ნამდვილი მათი გონიერებით, ნიჭითა და მომზადებით, სწავლა-აღზრდის საქმე სამაგალითოდ არის დაყენებული, მაგრამ იქ „გუთანს“ ადგილი არ ჰქონია, არცა აქვს და არც ექნება!..)

ისეთი სკოლებიც ვიცი, სადაც თქვენი „გუთანი“ ერთის წლით შემოიღეს საცდელად, მაგრამ მალე ინანეს შეცდომა, რომელიც ჩქარა გაასწორეს და შემდეგ წლიდან იმ სკოლებში „გუთნის“ ხსენებაც მოისპო. (თუ გნებავთ ყველა ამ სკოლებს და მასწავლებლებსაც დაგისახელებთ).

მეორე ფელეტონში თქვენ ეხებით ჩემს წერილს და იწყებთ აგრე:—„ეს ია ნარძის „აზრი“—თავიდან ბოლომდე ულოლიკობა, აზრთა და დებულებათა წინააღმდეგობის გროგაა და მეტი არაფერი“—ო.

სრული ჭეშმარიტებაა, თუკი მივხედავთ მართლ. იმ ურცხვად დამახინჯებულსა და უკულმართად ახსნილს ამონაწერ ციტატებს, რომლითაც თქვენ დაგიმშვენებიათ თქვენი საპასუხო ეპისტოლე, და ჩემი წერილის შინაარსად კი ასაღებთ. მაგრამ გონიერი მკითხველი, რომელსაც კი საკითხის სისწორით გამოკვლევა აინტერესებს, მე მარწამს, რომ არ დაემყარებოდა მართლ თქვენმიერ გადმოცემულს დი უსათუოდ გადაათვალიერებდა იქ ჩემს წერილსაც (1916 წ.

„ვანათლება“ № 5—6). ნუ თუ არ გაწითლდებოდით მაშინ, სხვისი ნათქვამის ასე აშკარათ დამახინჯებისათვის და სრულიად შეუფერებელ დასკვნების გამოყვანისათვის...

აქვე მოვიყვან მაგალითს: მე ჩემს ხსენებულ წერილში ვამბობდი: „აწინდელს სკოლაში მასწავლებლებს სამწუხაროდ ძლიერ მცირე შეაქვთ საკუთარი შემოქმედება და უმთავრესად ამა, თუ იმ ავტორის სახელმძღვანელოების მონურად თაყვანის მცემლები და ბრმად ვანახორციელებლები არიან... თითქოს სარწმუნოებრივ კერზად აქვთ დასახული ეს სახელმძღვანელო და მასში რაიმეს შეცვლა, ოღნავი გადახვევა, ან რაიმეს გამოკლება, თუ დამატება, წმინდათა-წმინდის შელახვათ და მომაკვდინებელ ცოდვათ მიაჩნიათ და ჰგონიათ ამით ცა რისხვით ჩამოექცევათ თავზედ. ამ მოსაზრებით, სასურველია გვქონდეს რაც შეიძლება სალი, სრული და უნაკლო სახელმძღვანელოები, რადგან ასეთს პარობებში უმთავრესად სახელმძღვანელოებზეა დაძვარებული სიაჯარგე სკოლისა და წარმატება სწავლა-აღზრდის საქმისა“ მეტქი...

ნათქვამი დღესავით ნათელია... ჩვენ „სამწუხაროდ“ მიგვაჩნია რომ ზოგიერთ მასწავლებელს ძლიერ მცირე შეაქვს სკოლაში საკუთარი შემოქმედება და ბრმა თაყვანის მცემელია სახელმძღვანელოებისა. მაშასადამე, ცხადია, მოვითხოვთ, რომ მასწავლებელი იყოს შემოქმედი. ამასვე მოითხოვს თანამედროვე მოწინავე პედაგოგია... ეხლა ნახეთ როგორი დასკვნა გამოჰყავთ ამ სიტყვებიდან „გუთნის“ ავტორებს: „დიად, (ამბობენ ისინი), თქვენ თხოულობთ, რომ როგორც სახარებაში მართლ-მორწმუნე ქრისტიანმა არაფერი ცვლილება არ უნდა შეიტანოს,

ისე ქართველმა მასწავლებლებმაც თავის ინიციატივას ლაგამი უნდა ასდევს და სახელმძღვანელოებში თავისებურად, რამ არ მიუმატოს“-ო. აი, აბა შეიძლება ეგ სიტყვები ჩემს ზემოთ მოყვანილ ნათქვამს, თუ რამ საერთო იპოვოთ.

როცა მე ზემოთ მოყვანილ აზრს გამოვსთქვამდი, მხედველობაში მქონდა ზოგიერთი თანამედროვე სკოლები, უმთავრესად ჩვენს სხვა და სხვა განაპირა პროვინციებში, სადაც მართლაც და სუსტი მომზადებინა ხელმძღვანელთა ხელშია სკოლის საქმე. მაგრამ საქმის სიყვარულთან, ძლიერ სურვილთან და კარგ სახელმძღვანელოსთან იმათაც შეუძლიანთ კეთილი ნაყოფი გამოიღონ.

გარწმუნებთ, რომ მ. ც და ყველა სხვა მასწავლებლებიც, რომელნიც სხვა პლანეტიდან არ დაჰყურ ბენ ჩვენი სოფლის ცხოვრებას და იცნობენ ახლოს მისს სკოლას მასწავლებლებითურთ, უეჭველად შეუძლიანთ ჩამოთვალონ მთელი რიგი სკოლებისა, სადაც მოზარდ თაობის ბედი მინდობილი აქვთ თავიანთ დანიშნულებისთვის შესაფერ მომზადებას მოკლებულ პირებს... გადაავლეთ თვალი რაქა-ლეჩხუმს, სამეგრელო-აფხაზეთ-სვანეთს და თქვენ იქ ხშირად ისეთი მასწავლებლებიც შეგხვდებათ, რომელთაც უბრალო საყვედურით ქართულიც კი უჭირთ... და, აბა, მიეცით მათ დაუმუშავებელი სახელმძღვანელო და საქმის წარმოება მათს ინიციატივაზე დააყარეთ და სწორედ დიდს წა მატებაში იქნება ჩვენი სკოლები... ა თქმა უნდა ეს ანორმალური მოვლ ნაა, მაგრამ მას მაინც, როგორც არ ბუღ სინამდვილეს სათანადო ანგარიში უნდა გავუწიოთ.

თქვენ-კი ეს ჩემ გულწრფელი და გულახდილი აღსარებისთვის ნამდვილი,

სწორი აზრი წავირომევიათ და სადემოგოგო მასალად გამოგიყენებიათ იგი და აი რას ამბობთ:

„პირველი ამონაწერიდან ცხადათ ჩანს, რომ ჩვენი ქვეყნისთანა ვთახსირებული მასწავლებელი ქვეყანაზე, მგონი, არც ერთს ერს არ უნდა მოეპოვებოდეს; ისინი ყოფილან ბრმანი, უნიციატივონი, გაუგებარნი, ბრმა თაყვანისცემელნი რომელიმე სახელმძღვანელოსი; ისინი თურსე ორ სიტყვასაც ვერ შესცვლიან ვალმერთებულ სახელმძღვანელოში და სხვა ამისთანებო“...

ეს ხომ აშკარა მამბებლობაა, დემაგოგიური აგიტაცია, რომ მასწავლებლები ამხედროთ ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ აქ გიმტყუნათ წინათ-გრძნობამ. — მასწავლებლები არც ისე უთავონი და საკუთარ აზრ-შეხედულებას მოკლებულნი არიან, როგორც თქვენ წარმოგიდგენიათ, რომ ვითომ ისინი ვინმეს ყურ-მოჭრილი მონა იყენენ და ამოგძახებდნენ მხოლოდ იმას, რასაც ჩანდახებთ. მათ უკვე კარგა ხანია თავი დაახწიეს უწლოვანობის ჰასაკს და დღეს არც თქვენი და არც სხვისი „აპეკუნობა“ არა სჭირიათ, არცთუ თქვენი წაქეზება და კომენტარიებო მათთვის საჭირო. ისინი თვითონაც თქვენზე არა ნაკლებ გაიგებენ დაწერილის აზრსა და წაკითხულსაც მიხვდებიან. აქია ნარიძემ კი არა, თქვენ დაამცირეთ და შეურაცხჰყავით მასწავლებლები, როცა პატარა შეგირდებივით უხსნით მათ — ჩემი წერილის შინაარსს და იმასაც ყალბათ, ვითომდა ისინი ისე ბრმანი იყენენ, რომ თვითონ ვერ მიხვდებიან მას... მაგრამ ყოველივე ეს კიდე ცოტაა თქვენი გმირობის დასახსნათებლათ; — თქვენ ისე გაკადნიერდით, რომ ყოვლად შეუწყნარებელს დემაგოგიურ აგიტაციას ეწვიეთ

იმავე წერილში, რომ მასწავლებლები ამხედროთ საბოიკოტოდ ისეთი საპატიო ორგანოს წინააღმდეგ, როგორც არის ჟურნალი „განათლება“, რომელიც ათი წელიწადია პირნათლად ემსახურება თავის წმინდა დანიშნულებას: ენერგიულად იღწვის მასწავლებელთა გათვითცნობიერებისათვის; თავგამოდებით იცავს იმათს ყოველგვარ უფლება-ინტერესებს და ფიზიკურ და რაჯად უღვას ქართულ ეროვნულ განათლების ტაძარს, რომელსაც უამრავი მტრები ჰყვანდა (დღემდე მაინც) და ამ მტრებთან ბრძოლაში უკვე თვალსაჩინო ნაყოფიც გამოიღო. ცხადია, ყოველი შეგნებული და ეროვნული სკოლის ბედით დაინტერესებული ქართველი თავის ზნეობრივ მოვალეობათ უნდა რაც-მეც ყოველნაირად ხელი შეუწყოს მისს ვაძლიერებას, რომ უფრო განვამტკიცოთ, და საბოლოოთ უზრუნველყოთ მისი არსებობა. ამასთანავე წრფელი თანაგრძნობით—მორალური, თუ ნივთიერი დახმარება აღმოვუჩინოთ ჟურნალის გამომცემაში მისს სულის ჩამდგმელს, რომ უფრო და უფრო გააუმჯობესოს იგი, და, თუ დღეს რამე ნაკლი ახლავს, უკუღმართი პირობებისა, და ათასი დამაბრკოლებელი მიზეზების მეოხებით, მომავალში მაინც თავიდან ავიცილინოთ ეს მიზეზები.

პედაგოგიური ჟურნალი თავის თავად ასიამოვნო მოვლენაა და მიუცილებელი აქტიროც არის, ხოლო თუ რაიმე ნაკლს ჰხედავთ მასში, კი არ უნდა დავსცინოთ, არამედ ყველანი უნდა მივეშველოთ, რომ დაერთო ძალ-ღონით ღირსეულ სიმაღლემდე ავიყვანოთ იგი. თქვენ კი ასეთ ორკანოს ბოროტად დავსცინით, უდიერად, პირდაპირ უზრდელათ იხსენიებთ მისს ელემენტარულს — კეთილ მოამაგე რედაქ-

ტორს და უწოდებთ ისეთ ტუტუცურ ფრაზებს, რომლის წარმოთქმა თქვენ კი არა თვით მეც, თქვენზე სიტყვებით: „ყოვლად უმეცარს“, „ბრიყვს“, „თავხედს“, „უგზურს“, „ბაღლს“, რომელსაც ყურის აწევასაც კი მპირდებით, — სამარცხვინოთ მიმაჩნია და არამც თუ მატო ოპონენტის, თვით ორგანოს და მკითხველი საზოგადოების შეურაცხყოფად ვრაცხ. ასეთი არა-საკადრისი საშუალებით გინდათ ჟურნალს სახელი გაუტეხოთ და გასავალი დაუკარგოთ. აქ თქვენ მართო ბოცვაძის ზარალს ჰხედავთ და ვერ აი ამჩნევთ, რომ ამით საშინელი ზიანი მოგაქვთ მთელი ქართული ეროვნული განათლებისათვის... ეს განზრახვა ჰეროსტრატეს სულისკვეთებაზე უფრო სულმდაბლობაა და ისეთი აშკარა, რომელსაც მთელი შეგნებული ქართველობა ცხადთ ჰხედავს... და ამას სჩადიხართ იმისთვის, რომ ბოცვაძემ ნება მომცა მის ჟურნალში გადომეთქვა „ჩემი აზრი გუთნის შესახებ“... განა რა ხართ თქვენ ასეთი მიუწვდომელი, ყველაფრის მცოდნე და ყველაფერში შეურყეველ ავტორიტეტულ კერპად დასასახავნი, რომ თქვენს წინააღმდეგ ძე-ხორციელს კრინტი არ დაეძვრის? რა აგეთი გენიალური ნაწარმოები გგონიათ თქვენი გუთანი, რომ მის სიავკარგეში ბოცვაძე—ია ნარიძე—ბზვანელები ვერ გაერკვიონ და კრიტიკა ვერ გაუკეთონ?...

საქმე ის არის, რომ სხვაც, ჩვენსავით უბრალო მომაკვდავიც უნდა ხედავდნენ თქვენი ნაშრომის ღირსებას, თორემ მართო თქვენ რომ იძახოთ: „ღმერთმანი, დედა ნუ მომიკვდება, მტერობით ტყუილს გვიგონებთ და ტყუილად გვიწუნებთ. თორემ ჩვენი ნაშრომის ბადალი ქვეყანაზე არ მოიპოვებოა“, ეს არაა საკმა-

რისი, ნათქვამს საბუთებით უნდა დამტკიცება, ხოლო ლიტონი თავის ქება ჩვენს ხალხურ სიბრძნეს კიტრად დაუფასებია.

მაგრამ შესაძლოა მართლაც რაიმე სასწაულით ჩვენ ყველანი: „განათლება“ ლ. ბოცვაძეც, ია ნარიძეც და ბზვანელიც ბრძანი ვიყვნეთ და ვერ ვამჩნევდეთ თქვენს სახელმძღვანელოში იმ გენიალურ მოტივებს, რომელიც თქვენს შესაფერს შეოქმედებითს ნიჭს შიგ იღუშალად ჩაუქსოვია; მაშინ, გთხოვთ, კეთილ ინებოთ და ჩვენც აგვიხსნათ—თუ რაში მდგომარეობს ამ თქვენი „გუთანი“—ს შეუდარებელი და ფასდაუდებელი ღირსება. მეტადრე ჰე ხომ უსუსურ ბალღათ დამსახვთ, რომელსაც ყურის აწევასაც შემპირდით, და ბაღს ხომ მოგვხსენებათ, (როგორც დახელოვნებულ პედაგოგებს), რომ გაუგებარის ახსნა სჭირია. მაგრამ, გარწმუნებთ, რომ ყური კი არა, სულ კბილები და ყბებიც რომ დააძროთ, მაინც ვერ მოჰფენთ შეგნების ნათელს ბავშვების უსუსურ გონებას ისეთი ნაწარმოებებით, რომელსაც თქვენ სულმნათ ვაჟს ახვევთ თავზედ, მაგრამ, როგორც ქვევით დავინახავთ, ეს უტიფარი სიცრულეა.

ჰო და, —მართლა „თქვე მამა ცხონებულიო“, რომ სამი უშველებელი ფელეტონი მარტო ჩვენი ლანძღვა-გინებისთვის მოგინდომებიათ, ის არა სჯობდა, რომ დაწვრილებით და არსებითად გაგერჩიათ „დედა ენა“—„ბუნების კარი“, შემდეგ „გუთანიც“, აღგენიშნათ მათი ღირსება-ნაკლოლოვანობა, გაგეტარებიათ პარალელი და ცხად გეყოთ, თუ რაში მდგომარეობს „გუთნის“ უპირატესობა პირველთა წინაშე. მაგრამ თქვენ არსებითად, სერიოზული, ჭკვა-დამჯდარი და

საფუძვლიანი მსჯელობით როგორც ჩემს წერილს არ შეგებიახართ, ისე არც „გუთანსა“ და არც „დედა ენა“—„ბუნების კარს“. მხოლოდ ორიოდ სიტყვა, როგორც მაგ. „ლაპლაპა“ და ასეთები“ რომელიც თურმე თქვენ არ მოგწონებიათ გოგებაშვილის სახელმძღვანელოში ამოვიწერიათ და მათთან ერთად—სწორედ წინასწარი განზრახვითა და არა მიუდგომელი რწმენით—დაგიგმიათ ჩემ მიერ მოწონებულ სტატიათა შორის მოთხრობა: „ქურდი“.

ამ მოთხრობის შესახებ მე ვამბობდი: ეს თარგმანი კი არა, ნამდვილი ქართული—სულჩადგმული ნაწარმოებია მეთქი. მასში გოგებაშვილს ჩაურევია სიტყვა: „მამასახლისი“ და ამით იგი გაუხდია ჩვენი ყოველდღიურ ცხოვრებიდან ამოღებულ სურათის ანალოგიით. ვინაიღვან ჩვენი სოფლის ცხოვრება და ყოველი საზოგადოებრივი ურთიერთობა სოფლის ხალხისა ტრიალებს მამასახლისის (როგორც საზოგადოების წარმომადგენლის) გარშემო. ამიტომ ეს სიტყვა ბავშვს მოაკონებს მრავალს ნახულსა და გაგონილ შემთხვევებს სოფლის ცხოვრებიდან \*), რომელიც მას შეუძლიან მოჰყვეს და ამ გვარად შექმნას საკუთარი პატარა მოთხრობები, ეს იქნება თვითმოქმედების ხალხის გაღვიძება და ეს კი, თანამედროვე პედაგოგიკის აზრით, უძვირფასესი ღირსება ყოველი ნაწარმოებისა, აგრეთვე სახელმძღვანელოისა და სკოლისა.

ბ-ნ ავტორთ კი ეს არ მოსწონებიათ.

\*) რა თქმა უნდა, —ღრმთა ვითარებაში, იმის და მიხედვით თუ როგორც ცხოვრების პირობები შეიცვლება, უნდა შეიცვალოს თვით სასკოლო სახელმძღვანელოების შესალებიც...

რადგან ეტყობათ ძლიერ შინებიანთ ყოველი მსაჯულისა და მოსამართლისა... ფიქრი ნუ გაქვთ ბატონებო, რამდენიც არ უნდა ვახსენოთ მამასახლისები, ისინი თქვენს „გუთანს“ ვერას დააკლებენ.

და ამას ასაბუთებენ შემდეგი დებულებებით: „ერთი რომ მამასახლისი მიუწვდომელი მცნებაა იმ ბავშვთათვის, რომელთაც უღდა ენას“ ვასწავლითო“. ნეტავი ვიცოდეთ თუ ავტორები ძუძუ მწოვართ ასწავლიან ღდა ენის მეორე ნაწილს? და რა კი ბავშვმა სიარული და ლაპარაკი ისწავლა, მან უკვე იცის, რომ მისი მეზობელი პეტრე არის მამასახლისი, რომელიც ცუდი საქმის ჩამდნთ დასჯის. ხშირად სასამართლო თვით სკოლასთან არსებობს და ბავშვმა იცის, რომ სკოლაში ასწავლიან, ხოლო სასამართლოში დამნაშავეებს ასამართლებენ და ეს სრულიად საკმარისია. ხოლო თუ ჩვენ ამით არ დავკმაყოფილდებით, მაშინ ბავშვს სვერ ვუხსენებთ ვერც ეკლესიას, ვერც სკოლას, ვერც მღვდელსა და ვერც მასწავლებელს, ვინაიდან მათ არ შეუძლიათ წარმოიდგინონ არც ერთი მათგანის სრული-არსებითი რაობა.

თუ ბ. ბ. ავტორთ უნდათ, რომ ბავშვებს სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერების თვალსაზრისით შეეძლოთ მამასახლისის წარმოდგენა, ასეთი წარმოდგენა ეტყობათ ვუთნის ავტორთაც კი უნდა აკლდეთ, რადგან ისინი ბრძანებენ: „გოგებაშვილი შესწყრომია გლეხთა კრებულის თვითმოქმედებას და პოლიცია მოუშველეთო“...

ნეტავი სადაურნი ბრძანდებიან გუთნის ავტორები? ნუ თუ არ უცხოვრიათ სოფლებში და არ იციან—ვინ არის მამასახლისი? ჩვენს მამასახლისებს ხომ თვით ხალხი ირჩევს უმაღლესი მთავრობისგან

დამოუკიდებლათ, სავსებით თავისუფლად საკუთარი თვითმოქმედებით, ისეე თავიანთ შორის სწორეთ ისეთს, ვინც მიანიათ ყველაზედ უფრო რიგიანად, სამართლიანად და საზრთან ადამიანად. (ხოლო თუ სადმე რაიმე უკუღმართობით ეს წესი ირღვევა, ეს გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ესეც თვით ხალხის უგუნურობით ხდება და არა მმართველი პოლიციის ძალდატანებით).

და როცა თვით ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენელი ასეთს გონების სიმახვილეს იჩენს, ეს სრულიად ბუნებრივ და ლოლიკურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს და ხალხის სრულს სიმწიფესა და მომზადებას მოასწავებს თვითმართველობისათვის. აბა სად არის აქ გლეხების თვითმოქმედების „შეწყრომა“? თქვენც, რომ ვიწრო ტენდენციას არ დაებრმავებით, და ცოტა შორს გაექვრიტათ, უექველად დაინახავდით, რომ „ხალხის თვითმოქმედების შეწყრომა“ ის იქმნებოდა, რომ მთელი საზოგადოების მიერ საუკეთესოდ მიჩნეული და ხალხის წინამძღოლად ამორჩეულ მამასახლისს არ გაემართლებია ხალხის იმედი და ჩლოუნგი გონებისა გამომდგარიყო და ვინმე უბრალო გლეხს კი მაზე მეტი გონების სიმახვილე გამოეჩინა.

თქვენ ბრძანებთ: ჟვინ მოიწვია მამასახლისი და ვინ იჩივლა მასთან, ეგ მხოლოდ ია ნარიძემ და განათლების რედაქტორმა უწყყიან“-ო.

დიდაც რომ ია ნარიძემაც და განათლებამაც და ყველამ, ვინც თქვენსავით განზრახ თვალებს არ იბრმავებს და თვით იმ პატარა მოზარდთაც კი, რომელთაც ამ მოთხრობას ვასწავლით, კარგად იციან, რომ,—როცა რამ უსამართლობა მოხდება სოფელში, მამასახალი აცნობენ



ბენ და მოიწვევენ გასარჩევად.

ბოლოს ნიშნის მოგებით ამბობთ; „ნეტა თუ როცა ტოლსტოი ამ მოთხრობას სწერდა, რუსეთში სტარშინობა და იასაულობა არ იყო? გვიკვირს, რატომ უღალიტა ამ შესანიშნავმა ფილისოფოს-პედაგოგმა თავის მრავალ მილიონიან ერს და თავის სტაციაში „სტარშინას“ ადგილი არ მისცა“.

სწორედ რომ საკვირველია, რაკი ტოლსტოი დიდებული ფილოსოფოსი და მოაზროვნე იყო, ამიტომ რაც მას ვერ უთქვამს, განა სხვას უფლება არა აქვს სთქვას? თუ ეს ეგრეა, მაშ ტოლსტოის, თქვენივე სიტყვით — „ამ დიდებულ პედაგოგს“, „გუთანია“ არ შეუდგენია თვისი მრავალ-მილიონიანი ერისათვის და მაშასადამე არც თქვენ უნდა შეგედგინათ იგი მკირე რიცხოვან ქართველთათვის, თუ კი იგი საჭირო ყოფილიყო, განა ტოლსტოი კი თვისი გენიალური გონებით ვერ მოიფიქრებდა იმის შედგენას? აი ასეთია თქვენი ლოდიკა.

მაგრამ კარგი, თუ გინდ წუთით შევურიგდეთ თქვენს აზრს და ვსჩქვათ, რომ გოგებაშვილი პირადული ჟინით გატყუებული და ყოველი პროგრესიული გამოცემათა წინააღმდეგ მებრძოლი, ინკვიზიტორი იყო; ხოლო მისი „დღეა ენა“ — „ბუნების კარი“ კი სრული სიმახინჯეა და უმეცრების ნაყოფი, უვარგისი ნაშრომი. მაშასადამე „გუთანია“ უხაკლოა! აჰა, როგორ მოგწონთ აგეთი ლოდიკა?

წინა წერილშიაც ვსთქვე და კვლავ ვიმეორებ, რომ არავის უფლება არაა აქვს თვისი ნაშრომის უმსგავსობა გაამართლოს და წაკლი ღირსებათ აღააროს ამიტომ, რომ სხვა ავტორის ნაშრომსაც ახლავს ნაკლია. შესაძლოა საესებით არც გოგებაშვილის სახელმძღვანელოები გვა-

კმაყოფილებდეს, მაგრამ შათი ნაკლი სხვა სახელმძღვანელოს ღირსებათ არ ჩავთვლება.

როგორც ზემოთ მოყვანილ რამდენიმე მაგალითიდან დავინახეთ, ბ.ბ. ავტორთა წერილი ლანძღვა-გინების ერთი დიდი ლექსიკონია, მაგრამ ყოველივე ეს მინც შარბათია იმ შხამ-გესლთან, რომელიც მათ გადმოუნთხევიათ იმ წერილის ბოლოში, სადაც ეხებიან ჩემ-მიერ წინა წერილში, უხეირო თარგმანის ნიმუშად მოყვანილს, გუთნიდან ამოღებულ მოთხრობას: „მგლის თავგადასავალი ზათარში“; მაგრამ რა გაეწყობა. ჩვენ სიმართლე გამოვარკვიოთ, ხოლო ლანძღვა-გინებაზე ვუპასუხებ, რომ „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდისდების“...

ეხლა გავარჩიოთ ხსენებული მოხრობა: „მგლის თავგადასავალი ზამთარში“ და ვნახოთ, რამდენათ შეეფერება სინამდვილეს ბ.ბ. ავტორთა და აგრედვე პ. ჯანიშვილის მიერ გამოთქმული აზრები.

პირველნი გაზ. „სამშობლო“-ს ფელეტონებში და მეორე — გაზ. „მეგობარში“ არწმუნებენ მკითხველთ, რომ ხსენებული მოთხრობა — მთის არწივი — ვაჟა-ფშაველას მადლიან კალამს ეკუთვნისო. თარგმანისა და უცხოობისა მას არა სცხიარაო; მხოლოდ ია ნარიძეს და „განათლებლის“ რედაქტორს, ასეთი რიხიანი პრეტენზიებით გაჰოსულებს, და გოგებაშვილის სახელმძღვანელოების გაშლდებს, ქართული თვალსაჩინო მწერლების ნაწარმოებიც არა ჰქონიათ წაკითხული და მირონ ცხებული პოეტ-ს ნაწარმოები ასე უჯიჯგნიათ უღარსი ხელებითო“ და ნიშნს გვიგებენ: „უნდა გრცხვენოდესთ. რომ ჩვენთვის მომზადებული ლაფი თქვენვე გესხმებათ თავზეო“.

აფერუმ! საპოლიტიკო და სალიტერა-

ტურო გაზეთი „სამშობლო“-ე, თუ ამ გვარის მარგალიტებით უმასპინძლდები მკითხველთ და „ვაშა“ იმ პედაგოგთ, სახელმძღვანელოს ავტორთ, რომელთაც შესწევთ ზნეობრივი ძალა, ასეთის ტერმინებით მიმართონ იდეურ მოწინააღმდეგეს.

მაგრამ, ჩვენდა სასიამოვნოთ, ეხლავე დავინახავთ, რომ ევ „ლაფი“, თქვენ მიერ შეთითხნილი და უმართებულოდ ჩვენსკენ გადმონთხეული ჩვენამდე ვერ მოახწევს და დავრჩებით სამუდამოთ გაზ. „სამშობლო“-ს საფელეტონო გვერდების დამამშვენებლათ და თქვენივე დასატკობათ...

მიკვირს, რომ ასე აშკარად გინდათ მკითხველს თვალი აუხვიოთ. ნუ გგონიათ ბატონებო, რომ ქართველი საზოგადოება მხოლოდ და მართო „გუთანს“, გაზ. „სამშობლოს“ და თქვენს წერილებს კითხულობდეს და სხვა კი მისთვის უხილავი ხილი იყოს. გარწმუნებთ ბატონებო, რომ არც ვაჟას ნაწერებს და არც სხვა რომელსამე ჩვენი მწერალთა ნაშრომს, თქვენზე ნაკლებათ არც თქვენი ყურმოჭრილი მონა ია ნარიძე იცნობს, არც „განათლების“ რედაქცია და არც მისი მკითხველი და ამოა თქვენი ცდა—ვითომ ეგრე გულუბრყვილოთ და გვაჯეროთ და კანტროლი კი არ გავუკეთოთ თქვენს ნათქვამს.

როდესაც თქვენ ბრძანებთ, რომ „სწორედ ის ნაწილი ხსენებული მოთხრობისა: („მგლის თავგადასავალი ზამთარში“), რომელიც ია ნარიძეს არ მოსწონებია,—ვაჟას ეკუთვნისო“, უეჭველად მხედველობაში გაქვთ ვაჟას მოთხრობა: „სურათები სოფლის ცხოვრებიდან“—(„თხულებანი“ გვერ. 460), რომელიც მართლაც და ვაჟას ერთი თავისებური, ნიჭი-

ერი და ლამაზ ნაწარმოებთაგანიც.

ეს მოთხრობა იწყება ეგრე:

„ზამთერი დადგა. გაოხრებული და გატიალეებულია მინდვრები, გარეშემო, არემარე სასაფლოოს მოგაგონებთ. მართლაც და რამდენი გვამი მარხია იქ, ვინ დასთვლის?! მხოლოდ ალაგ-ალაგ ძებვების ძირში-და დარჩენილა ბალახი ჯგუფად, სადაც ამ ბალახს კამეჩის გაუმადლარი პირი არ შეხებია. საბრალო წბილაებრ დამქვანარან, მობუზულად და ერთმანეთს ეკვრიან, თითქოს სკდილობენ, ერთმა მეორე გაათბოს. ბორ-გური გაღუქარავს. მხოლოდ ალაგ-ალაგ მოსჩანს შავად მიწა, „ქოჩორა“ ტორუას იღბლად; ბეჩავი ტორუა, გარინდებული დაგოგავს“... და სხვა.

აგრე აწერილი გარეგნობა სოფლის ბუნებისა ზამთარში... მართლაც და თავიდანვე აშკარად ეტყობა მირონცხებულის კალმის მადლიანი ძალა.

ქვემოთ: „დრო-და-დრო შორს. სადმე, ტრიალს მინდორზე, მელი თავის ნაკურთხის კუდით დაცუნკულებს, ხან-და-ხან შესდგება, მოიბრუნებს თავს უკან და გადასკუპდება კულ-აბზეკილი. გაგიხარიან, ის გაიხარებს, თუ თავუნა დაინარჩუნა, თუ არა-და გულდაწყვეტით შეუღდება ახლად ნადირობას“.

და აი მხოლოდ აქედან იწყებს მგელზე: „აქა-იქ მგლის კვალიც ეტყობა. ღამ-ღამობით ისმის მისი ღმუილი. საბრალო მგელო, ერთს დღეს მადლარო და ერთს თვეს მშიერო! იქნება ჩემს მეტს არც კი არავის უყვარდე! მიყვარხარ ისე, როგორც კი შეიძლება ნადირი უყვარდეს კაცსა. რათა? იმიტომ რომ შენს ცხოვრებაში სილამაზეს ვხედავ“.

ჩაუფიქრდით ამ მართლა „მირონცხებულ“ კალმის მადლიან ნაყოფს და თქვენ

სიამოვნების ერთნაირი დაგივლის ტან-  
ში. მოვეუსმინოთ ცოტაც:

„მომავანდება მთაზე შეფენილი ცხვა-  
რი და ღრმა ხევი. გაღმა-გამოღმა ბექ-  
ბუქია. მეცხვარეს სთვლემს. შენ ტყილამ  
ჰნახე ცხვარი და მეცხვარის ყოფა, მაგ-  
რამ ვერ გაჰხედე ცხვრის მოტაცება,  
თუმცა კი ძლიერ გშიან. შენ უცდი  
ნისლს; აი დაიძრა ქალიდამ და ხევზედ  
შემოწვა. მიიწევს აღმა და შენც ნისლს  
გამოჰყე“ და სხვა...

მართლაც რომ სილამაზეა, რომელსაც  
სინამდვილეში მხოლოდ რჩეულნი ჰხე-  
დავენ და თვისი ზეგარდმო მადლით ცხე-  
ბული შემოქმედებით ჩვენთვისაც თვალ-  
საჩინოს ხდიან.

აი სწორედ თავისებური სურათი, თავ-  
ვისებურათ ჩამოყალიბებული, თავისებუ-  
რი გრძობა ჩაქსოვილი, თავისებური  
სტილი და კილო-კავები. თავისებური  
სული და ელფერი ერთად შეხამებულ-  
შეზავებული, რომელიც ჰქმნის თავისე-  
ბურს პოეტურ სიმშვენიერეს და, რომე-  
ლიც შეადგენს ვაჟას შემოქმედების და-  
მახასიათებელ თავისებებს საერთოდ და  
კერძოთ კი თვით ამ მოთხრობასაც ან-  
სხვავებს ვაჟას სხვა დანარჩენ ნაწარმოებ-  
თაგანაც...

მაგრამ... ერთი მიზრძანეთ, რა იქნე-  
ბოდა, რომ აქ შეგვეწყვიტინებია ზეშთა-  
გონებული შემოქმედება „მთის არწივის-  
თვის და მისი კალამი იმერელი ოცხელ-  
მთავრი შვილ-ყიფიანისთვის გადაგვეცა და  
დაგვევალეზა:—აბა დაასრულეთ დაწყე-  
ბული ნაწარმოებო!..

აი, ბ.ნ., პ. ჰანიშვილო, მართლაც,  
რომ „კურიოზი“ ეს იქნებოდა და, არა  
ის, რომ თქვენ მოგჩვენებიათ ვითომ მე  
არ ნაცნობიყო ვაჟას ნაწერებს...

მაგრამ ესეც ცოტაა, უფრო მეტი

„კურიოზი“ ისაა, რომ ამ ნაწამებ მო-  
თხრობისთვის „გუთნის“ ავტორნი სა-  
თაურსა და პირველს კარგა მოზრდილ  
ნაწილს რუსი მწერალს კარაზინსა ჰპა-  
რავენ და ბოლოში მიაკერებენ ვაჟას  
ზემოთ ხსენებულ მოთხრობის შუა გუჯიდან  
ამოგლეჯილსა და საკუთარ კალმის მად-  
ლით დამშვენებულს, სრულიად გადამა-  
ხინჯებულსა და გადაუკულმართებულს  
რამდენიმე წინადადებას. და ასე მართ-  
ლაც „კურიოზულად“ შეკოწიწებულს  
და ნაჯახირებ მოთხრობაზე ურცხვად  
გაიძახიან: „ვაჟას მადლიან კალამს ეკუ-  
თვნისო და ია ნარიძეს იგი უხეირო თარ-  
გმანად მოჩვენებია“. და განაგრძობენ:

„საბრალო კრიტიკოსს ერთი მაგალი-  
თიც ვერ მოუყვანია უვარგისი სტილისა,  
უსწორო ენისა, შეუფერებელი და მიზან-  
შეუწონელი მასალისა, მხოლოდ ერთად-  
ერთი სტატია—„მგლის თავგადასავალზე“  
მიუთითებია და არწმუნებს მკითხველს,  
რომ ამ სტატიაში პირველი მცირე ნა-  
წილი \*) პირდაპირ გადმოთარგმნილია“.

მაშასადამე, თქვენ, ბ.ბ. ავტორნო,  
ამბობთ და გინდათ დაგვარწმუნოთ, რომ  
„ეს ნაწილი“ არ არის გადმოთარგმნილი.  
კარგი და პატროსანი! ეხლა ვნახოთ  
რას გვეტყვის თვით რეალური მაგალი-  
თები. ამისთვის შევადაროთ სიტყვა-სიტ-  
ყვით ეს მოთხრობა: „მგლის თავგადასა-  
ვალი ზამთარში“ („გუთანი“ გვ. 292),  
კარაზინის მოთხრობას: „Каково живет-  
ся волку зимою-ს (იხილეთ Вешние

\*) არ ვიცი, მე მომივიდა კბ შეცდომა  
უნებლიეთ, თუ სტამბას, მაგრამ უნდა იყოს:  
„პირველი კარგა მოზრდილი ნაწილი“, რად-  
გან ეს ნაწილი თითქმის მთელი მოთხრობის  
ნახევარია. ი. ნ.—d.j.

всходы, первая послѣ азбуки книга, (ტიხომიროვისა, გვერდი 50.) და ვაქას იმ მოთხრობას, რომლიდანაც თქვე-

ნის მტკიცებით უნდა გქონდესთ იგი ამოღებული:

**მგლის თავგადასავალი ზამთარში.**

**Наково живется волку зимой.**

**ხურათები ხოფლის ცხოვრებიდან.**

სცივა რუხ მაწანწალა მგელს და შიმშილისაგან (თუ სიმშილისაგან ?) სული სძვრება.

**Холодно волку, бродягѣ сърому голодно.**

(ვაქას მოთხრობის დასაწყისში მსგავსი არა მოეპოვება-რა, მხოლოდ შუაში, ერთგან მიმართავს მგელს ასე: „თოვლი სდევს მინდვრებზედ, ღამიც ბნელია. გშიან, გშიან ძლიერ“..)

ტყეში ქარი ღმუის და ზუზუნებს; გზები და ბილიკები თოვლს დაუფარავს; ტბებსა და მდინარეებს ყინული გადაჰკრია.

**Гудить завываетъ вѣтеръ по лѣсу; занесло снѣгомъ проѣзжія дороги, засыпало тропы пѣшеходныя; толстою корою льда затянуло воды рѣкъ и озеръ.**

ხოლო „რუხი“ და „მაწანწალა“ — არსად ხსენებულს მოთხრობაში ნახმარი არა

ყინვამ, ქარბუქმა ყოველივე ცხოველი თბილ ბოსლებსა, ყორღებსა და ბუნაგებში შეიკვა.

**Загнали морозы и вьюги все живое по крытымъ дворамъ уютнымъ, по норамъ, по договамъ.**

აქვს და ვერც იხმარდა. რადგან ეს უშნოთ დისსონანს შეიტანდა მშვენიერს ჰარმონიაში, რომ

მხოლოდ უსახლკარო გამხდარი მგელი მარტო-მარტო მაწანწალაღებს.

**Только бродить на волѣ безъ крова и пріюта сѣрый волкъ исхудалый.**

გორც შიმურაცხ-ჰყოფელი და დამამცირებელი მგლისა, ვაჟაკი ფიცება მგელს, — რომ უყვარს

სასტიკი და შეუბრალებელი „შიმშილი“ (?) დასდევს ყველგან მგელს, ტყის ჯაგნარებსა, მდინარესა და მთებში. არც დღე, არც ღამე მოსვენება არა აქვს ფერდებ-ჩაცვივებულ მაწანწალას.

**Черезъ чащи лѣсныя, черезъ поля и луга опустѣлые гоняетъ волка голодѣ лютый, неотвязчивый. Ни днемъ, ни ночью нѣтъ покоя отошалу бродягѣ.**

იგი, უყვარს მისი ცხოვრების პოეტური სილამაზე. და ასეთ აზრთა წინააღმდეგობას, რა თქმა უნდა, ვაქას წმინდა, პოეტური სული და

დაძრწის ამ თოვლში ხან ენლა, ხან ხტომით, ხან ძუნ-სულით და კბილებს აკაწკაწებს. კბილი ვერაფერს გაჰკრია, ერთი ლუკმაც ვერსად ამოვა.

**Бродить волкъ по снѣжнымъ сугробамъ, гдѣ шажкомъ, гдѣ рысцою, гдѣ вприпрыжку, — да зубами пощелкиваетъ.**

აღლო ვერ შეეგუებოდა, მაგრამ არც თუ ქართული სიტყვიერების ფსიხოლოგიურ თვისებას ეგუება ასეთი თქმა...)

**Нѣтъ ему нигдѣ поживы, нѣтъ нигдѣ куска, для него приѣ леннаго.**

„მინდვრად ვერაფერი იპოვნე საქველი, მოატანე სოფელს“.

დათვი—ეს ტყის უფროსი Медвѣдь—„старшой“ въ წადირი—ზაფხულში ჩვეულე- ღბსუ звѣрь,—тотъ. небойсь, ბრივ გასუქდა, ახლა-კი ბუ- отъѣлся за лѣто, залѣгъ те- წაგში დაბინავებულა და ზბი- перь въ берлогу теплую и ლალ სძინავს. მელიამაც დი- спить. Завела себѣ и ли- დი ხანია მყუდრო ბინა გაი- сица хитрая нору уютную. ჩინა.

(გარდა ამ ერთი ფრაზისა, მსგავსი არა მოიპოვება-რა ვაჟას მოთხრობაში).

თხუნელები, ვირთაგვეები, ციყვები,—ყველა ეს ტყისა ღ მინდვრის წვერილი მცხოვრებ- ნი,—თავთავის სახლებში და- ბინავდენ და საზამთროდ სა- ჩოვაგე მოიმარაგეს.

Кроты, сурки, суслики,— вся эта мелочь полевая,— всѣ по домамъ устроились и съѣстнымъ запаслись.

ყურღღელი —აბა ხომ მე- ტად სულელი ცხოველია,— ისიც-კი არხეინად, უდარდე- ლად ცხოვრობს ზამთარში: დარბის ტყესა და მინდვრებში თბილის ქურჭით შემოსილი და ნორჩს ტოტებსა ღრღნის.

Заяць, на что дурачокъ, а и тотъ живеть зиму при- пѣваючи: обѣгаетъ себѣ въ теплой шубенкѣ да молодыя вѣточки обгладываетъ.

მარტო მკელს უმწარდება მას არგუნა ბედმა ზამთრის ყოველივე უბედურება.

Одному волку не сладко живеться зимою, на его толь- ко долю выпали всѣ напа- сти, всѣ обиды зимняго времени.

ვაჟას მოთხრობაში არ არის

ეგ ხომ აშკარა, სიტყვა-სიტყვით გა- დმოთარგმნილი-კი არა, გადმოთარეულია რუსულიდგან და აი, ამიტომაც მოგახ- სენეთ მე ჩემს წინა წერილში, წმინდაო სამებაო: ოცხელო-მთავრიშვილო და ყი- ფიანო,—რომ თქვენნი „გუთანი“ უფრო რუსული სახელმძღვანელოა ქართული ასოებით დაწერილი მეთქი; მასში სწო- რედ რომ უცხო სული ტრიალებს და ამიტომაც თავის დღეში არ იქმნება იგი ჩვენი მოზარდი თაობის ეროვნულ ნია- დაგზედ აღმზრდელი...

ნია ეხლა უკვე არ შეიძლება რომ მკი- თხველსაც ოდნავი ეჭვი ჰქონდეს, რომ ხსენებული სტატია მართლა პირდაპირი თარგმანია რუსულიდან და არაფერი და- ერთო არა აქვს ვაჟას ნაწარმოებთან. „გუთნის“ ავტორები კი ამას კატეგო- რიულად უარსჰყოფენ და არწმუნებენ მკითხველს, რომ ჩვენ მიერ ამის მტკი- ცება, ვითომ ჩვენი უვიცობისა და თავ- ხედობის შედეგი იყოს, „ცილსა გვწა- მებთო“ და ლანძღვით აგვიკლეს...

შემოთ მოყვანილი შედარებანი ისე აშკარაა და ოვალსაჩინოა, რომ გე მგო-

როგორ გეკადრებათ სამს. საპატიო პირთ სახელმძღვანელოს ავტორთ—აგე- თი აშკარა სიცრუე?..

როგორც დავინახეთ მოთხრობის ამ ნაწილს სრულიად არაფერი აქვს საერთო ვაჟას ნაწარმოებთან. ეხლა განვიხილოთ მეორე ნაწილი. ეს მეორე ნაწილი, ამ უცნაურ ქირურგებს, ასე უწარმოებიათ:—ამოუგლეჯიათ ვაჟას ცხრა გვერდიან მოთხრობის შუაგულიდან რამდენიმე წინადადება და სრულად გადამახინჯებული წაუკვრებიათ ზემოთ განხილულ თარგმანისათვის.

„დამახინჯებული“ მეთქი ვამბობ მე იმიტომ, რომ ვაჟა თავის მოთხრობაში, როგორც ზემოთ დავინახეთ, მიმართავს პირდაპირ მგელს და ელაპარაკება მას, როგორც მეორე პირს: „გშიან, გშიან ძლიერ, მინდვრად ვერაფერი იპოვნე საქმელი, მოატანე სოფელს... მიყვარხარ ისე“,... და სხვა. იქვე:

„მომამგონდება მთაზე შეფენილი ცხვარი და ღრმა ხევი“ და სხვა...

როგორც ხედავთ, ვაჟა აქ აგვიწერს თავის საკუთარ მოგონებას; „გუთნის“ ავტორნი კი ამას აგრე სცვლიან: „მგელს მოამგონდება მთაზე შეფენილი ცხვარი“. ე. ი. ვაჟა მგლად გადუქცევიათ და მოთხრობა მესამე პირით აგვიწერს, პოეტის მოგონების ნაცვლად, მგლის მოგონებასა და თავადასაყვალს. და მოგვხსენებათ, პარველ პირზე დაწერილ მოთხრობას თუ მესამე პირზე მოაქცევთ, რამდენი გადაკეთება დასჭირდება და თუ ეს ოპერაცია მოხერხებულად ვერ მოვახდინეთ, მაშინ უკვე მწერალი მგლად იქცევა და ცხვრების მოტაცებასაც კი დაიწყებს.

და, აი, ამის ჩამდენი ვაჟებატონები მომდგარან და მე მიკვირებენ: „მირონცხებული პოეტის შემოქმედება უღირსი ხელით გიჯიჯგნიაო“. მაგრამ ეხლა ხომ ცხადია, თუ ვის უჯიჯგნია და დაუმამახინჯებია იგი მართლა უღირსი ხელით...

საქმე ის არის, რომ არამც თუ მწერალს აქვს თავის შემოქმედებაში დამახსიათებელი ნიშანდობლივი თვისებანი, არამედ ერთსა და იმავე მწერლის სხვა და სხვა ნაწარმოებსაც კი აქვს თვისი თავისებური ელფერი, კილოს ტემპი, მხატვრული ტონი და გრძნობის კოლორიტი, რომელიც ანსხვავებს მას იმავე ავტორის სხვა ნაწარმოებიდან...

აქედან, ცხადია, რომ, არამც თუ სხვა და სხვა ავტორთა ნაწარმოებნი, არამედ ერთისა და იმავე ავტორის სხვა და სხვა ნაწარმოებთა ნაწილები რომ შევადგინოთ, რაც უნდა მოხერხებულაოთ მოხდეს ეს ოპერაცია, მაინც ყოვლად შეუძლებელია ამ გვარად შესდგეს სალი და მთლიანი ნაწარმოები, რომელსაც დისკონანსის შემტანი ქრილობა არ დაეტყოს...


აი, სწორედ ამიტომ ვახლავთ, რომ ის ვაჟას პოეტური შემოქმედების დამახსიათებელი, თავისებური ტერმინები, რომელნიც ვაჟას მოთხრობას („სურათები სოფლის ცხოვრებიდან“), ბუნებრივად ეხორცება და ამშვენებს, სრულიად არ უდგება და არ ეთვისება რუსულიდან გადმოთარგმნილ მოთხრობას და მკითხველი აშკარად გრძნობს, რომ აქ რაღაც არეფ-დარევა და ხელოვნური ნაძალადეობაა... და, რა თქმა უნდა, ასეთ ნაწარმოებს ვერ ვუწოდებთ ვაჟას შემოქმედებას, გარდა „გუთნის“ ავტორებისა...

აქ ცოტა არ იყოს საგულისხმოა ის გარემოება, რომ „გუთნის“ ავტორნი მღვდ. კელენჯერიძის ქრისტომატიანზე გვითითებენ, საიდანაც უნდა ჰქონდეთ ეტყობათ ამოღებული ხსენებული მოთხრობა... შესაძლოა რომ სწორედ აქ ემარბოს ძაღლის თავი... იქმნება თვითპატივცემულ კელენჯერიძეს ჰქონდეს ეგ

შოთხრობა ამ გვარად გამოჯახირებული და ვაჟას ნაწარმოებთ კი ნათლადეს მას. ხოლო თქვენ, — წმინდაო სამებაო, ავტორნო „გუთნისაო“, ვინც ია ნარიძესა და „განათლებას“ უწუნებთ ქართულ ლიტერატურის ცოდნას, თურმე საბავშვო ქრისტომატიებიდან ნაცნობ-

ხართ „ჩვენი თვალსაჩინო მწერალთა ნაწარმოებს“ და თვით ორიგინალები კი წაკითხული არ გქონიათ... ამოიღეთ დვირე თქვენი თვალუბრდან და მაშინ ვაიგებთ, თუ როგორ უნდა ამოგვიღოთ ჩვენც ბეწვები...

ია ნარიძე



# ბიბლიოგრაფია

ქართულ მსწავლეთა ბიბლიოთეკა. ია ეკალაძე. შოთხრობები, წიგნი პირველი. შთაგრძობისა და აშხ. წიგ. მად. გამოცემა. ფასი ათი შაური.

ამ საყმაწვილო წიგნში გამოცემლებს მოუქცევიათ ისეთი ნაწერები ჩვენი ნიჭიერი ბელეტრისტის ია ეკალაძისა, რომელიც გამოდგება სკოლაში სასწავლო მასალად. ასეთია ესკიზი „ილიკო ბედენაძე“, სურათი „ნენესას“, „ზღვის პირად“ (ლექსებური), „დაუდევარი“, „ტყეშიც“, „ოლონდაც“ (პატარა ამბავი). ყველა ეს მასალა შინაარსიანია, მკითხველს თვალწინ უყენებს ჩვენი ერის ცხოვრების სხვა და სხვა მხარეს, ახედებს ამ ცხოვრების სარკეში და სხვა და სხვა

გრძნობებს აღძრავს მკითხველებში. სიამოვნებით აღვნიშნავთ გამომცემელთა ასეთს ნაბიჯს და ვუსურვებთ, რომ სხვა მწერლების თხზულებიდანაც ამოკრიფონ შესაფერი მასალები ჩვენი მოზარდ-თაობის გონების გასავითარებლად. ამ წიგნაკს წინ უძღვის ავტორის სურათი და მისი საკმაოდ კარგად შედგენილი ბიოგრაფია. გამოცემაც შროიანია და ფასიც დღევანდელს პირობებში ათი შაური ძვირი არ არის,



## „პართლგაღიღებულთა სარეპოლიუციო პატეხისმო“

„სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

კითხვა. — რისთვის უქმნა ღმერთმა ადამიანი?

პასუხი. — მისთვის, რომ მას ღმერთი სწამდეს, იყოთ თავისუფალი და ბედნიერი.

კითხვა. — რას ნიშნავს თავისუფლად და ბედნიერად ყოფნა?

პასუხი. — უთავისუფლოდ ბედნიერება არ არის. წმინდა მოციქული პავლე ამბობს: „სისხლის ფასად ნაყიდი ხართ, ნუ იქნებით მონა ადამიანისა“.

კითხვა. — რატომ არიან რუსის ხალხი და რუსის მხედრობა უბედური?

პასუხი. — იმიტომ რომ მეფეებმა წაართვეს მათ თავისუფლება.

კითხვა. — რას ურჩევს წმინდა კანონი რუსის ხალხს და რუსის მხედრობას?

პასუხი. — მონაწილად დიდი ხნის მონური ცხოვრება, ალიკურვოს ჯალათთა წინააღმდეგ და შეჭვიცოს: ყველას ერთი მეფე ჰყავდეს ზეცად და ქვეყანაზე იესო ქრისტე.

კითხვა. — როგორი მართველობაა შესაფერი საღვთო სჯულისა?

პასუხი. — ისეთი, სადაც მეფენი არ არიან. ღმერთმა გაგვაჩინა ყველანი თანასწორად და როცა ქვეყნად ჩამოვიდა აირჩია მოციქულები უბრალო ხალხიდან და არა წარჩინებულთაგან და მეფეთაგან.

კითხვა. — ვაშასადამე ღმერთს მეფეები არ ჰყვარებიან?

პასუხი. — არა. ისინი ღვთისგან წყეულნი არიან, ვითარცა ერის შემავიწროებელნი, ღმერთი კი კაცთმოყვარეა


კითხვა. — მაშ რა უნდა ჰქმნას ქრისტეს მოყვარე რუსის მხედრობამ?

პასუხი. — სამშობლოს გასათავისუფლებლად და ქრისტიანული წმიდა სჯულის დასაცველად ყველანი უნდა ალიკურვენ ერთად ჯალათის წინააღმდეგ აღადგინონ სარწმუნოება და თავისუფლება რუსეთშია.

ეს „მართლმადიდებელთა კატეხიზმო“ 1825 წლის დეკემბრის 31 წაუკითხეს კიევის გუბერნიის სამაზრო ქალაქ ვასილკოვოს მოედანზე ამხედრებულ ჩერნიგოვას პოლკს. ამ შესანიშნავ დოკუმენტის ავტორია—ამხედრების მეთაური სამხრეთ საზოგადოების საიდუმლო წევრი პოდპოლკოვნიკი სურგი ივანეს ძე მურავიოვ მოციქული.

და ეხლა, ხალხის მეგობრების გაბედულმა ოცნებამ რაკი ფრთა შეისხა და განხორციელდა, ეს „კატეხიზმო“ იქნება საუკეთესო სამოძღვრებო საშუალება.

(„Вѣст. Знанія“).



## სასარგებლო ცნობები

### ზრუნვა მოწაფეთა მხედველობაზე

სახელმძღვანელო წიგნებში, რომელიც იხმარება ჩიკაგოს ქალაქის სკოლებში, ჩაწებებულია შემდეგი შენიშვნები მოწაფეთა საყურადღებოდ:

1. თქვენი თვალები წიგნებზე უძვირფასესია.
2. თქვენს ცხოვრებაში წარმოება დამოკიდებულია თქვენს თვალებზე — მიაქციეთ მათ ყურადღება.
3. როცა კითხულობთ, თავი პირდაპირ დაიკირეთ.
4. წიგნი გეკიროსთ პირისახიდან 1/2 არშინის მანძილზე.
5. იზრუნეთ იმაზე, რო-

- ცა კითხილობთ, საკმაო სინათლე იყვეს.
6. ნუ კითხულობთ სიბნელეში.
7. ნუ კითხულობთ, როცა მზე წიგნს დაჰყურებს.
8. სინათლეს თვალს ნუ გაუჩერებთ, როცა კითხულობთ.
9. სინათლე უნდა აშუქებდეს მარცხენა მხრიდან ან უკნიდან.
10. ნუ კითხულობთ ცუდად დაბეჭდილს წიგნებს.
11. შეასვენეთ თვალი ცოტა ხნობით.
12. გამოიბანეთ თვალები სუფთა წყლით დილა-საღამოობით.



# სნობები

## ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების მთავარ-გამგეობის მოქმედებისა.

### მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

ბათუმის განყოფილების და მის სასწავლებლის მდგომარეობის შესახებ.

როგორც გამგეობას მოეხსენება, ამის გამოცხადებამ ბათუმის განყოფილება ამ ორ წელიწად ნახევრის წინ ცუდს მდგომარეობაში ჩააგდო. მტრის მხრით უმუხარების დაშენის შიშით ხალხი ბათუმიდან გაიქცა, სასწავლებლის მოწაფეები შემოიფანტნენ, სასწავლებელი დაიხურა და შესწავლა უოგელგვარი კულტურული მუშაობა. ასე გასტანა ერთმა წელიწადმა. როდესაც შიშის ზარმა გაიარა და სიწუნარე ჩამოფარდა, უსახსროდ დარჩენილს განყოფილებას ადარ შეეძლო სასწავლებელში სწავლა განეხლებინა, თუმცა ბათუმის ეგელა სხვა სკოლებში შეტადინეობა გაჩაღდა. მხოლოდ მთავარ-გამგეობის დაჟინებით და ხარჯით განახლდა სწავლა ბათუმის სასწავლებელში 1915 წლის ენკენისთვეში.

საბედნიეროდ, ამ ხნიდან ბათუმის ცხოვრების გარემოებანი ისე შეიცვალნენ, რომ იქაურს განყოფილებას ნიჭბრერად ზურგი საკმარად გამავრცებია. 1 იანვარს 1916 წლისა მას ჰქონია 1007 მან. 33 კაზ. 1916 წლის განმავლობაში ჰქონია შემოსავალი 19581 მან. 72 კაზ., გასავალი 3424 მან. 93 კ., ასე რომ 1 იანვრისათვის ამ 1917 წლის განყოფილებას ჰქონია 17164 მან. 12 კაზ. აქედან ნაღდად 16074 მან. 12 კ. და ავანსად მიტეხული მასწავლებლისთვის 190 მან.

1916 წლის მარამობისთვეში მთავარ-გამგეობამ წინადადება მისცა განყოფილების გაშვებას, რომ გაეხსნა ბათუმის სკოლასთან ამისგან დაზარალებულთა შეილთათვის თავშესაფარი და სახელმწიფო განყოფილება იმ ფუძით, რომელსაც მთავარ-გამგეობა დებუ-

ლობს ტატიანას კომიტეტისაგან. განუყოფელი გამგეობას ამ წინადადების განხორციელება მოუნდომებია, მაგრამ დაუშლია იმ გარემოებას, რომ სკოლის საკუთარი შენობა ქალსპიტაღს უჭირავს, რის გამოც რისამე აშენება მის ეზოში შეუძლებელია, ხოლო ქალაქის მიერ დაქირავებულ სკოლის ახლანდელ ბინაზე ორის განუყოფლების და ერთის მასწავლებლის მოთავსებაც კი ძლივს ხერხდება. ცდილან ქირით საღმე სხვაგან ეშვანათ ბინა თავშესაფარისა და სახელმწიფო განუყოფლებისათვის, მაგრამ ვერ უშვანათ. აზრად მოსვლიათ აგრეთვე დროებით ხის შენობის აგება ქალაქისგან იჯარით აღებულს მიწაზე. მაგრამ ესეც შეუძლებელი აღმოჩენილა ხის მასალის მეტისმეტის სიძვირის გამო.

ამ მდგომარეობაში დამხვდა თავშესაფარის და სახელმწიფო განუყოფლების განხორციელების საქმე, როდესაც მე გახელით ბათუმს (8 ოქტომბერს). გამგეობის სხდომაზე, რომელიც ჩემის თხოვნით გაიმართა 9 თებერვალს, ეს საკითხი დაწვრილებით იქნა განხილული და გამოითქვა ის აზრი, რომ თავშესაფარის და სახელმწიფო განუყოფლების განხორციელება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ სკოლის ეზოს გვერდით მდებარე სახლი შეძენილ იქნა. ეს სახლი ეზოთურთ (სულ ზომით ას საყინადე) ფასობს 20000 მანეთად. თუ ის ჭყაათასი მანეთი, რომელიც თავშესაფარისა და სახელმწიფოს მოსწიფობად არის გადაღებული, შეკვეთდება ამ მამულის შესასყიდლად მოვიხმაროთ, დანარჩენს ჩვენ დავადებთ და ვიყიდით. მცირეოდენის შეკეთების შემდეგ ნაყიდს სახლში შეიძლება მოთავსდეს თავშესაფარიც და სახელმწიფო განუყოფლებაც. გამგეობამ გადაწყვიტა მთავარ-გამგეობის წინადადებაზე ასეთის პასუხის მიცემა, თუმცა ამასთანავე იმავე გამგეობის სხდომაზე გამოითქვა კვლევი, რომ შესაძლებელი უფროდ იყო თავშესაფარის შენახვა იმ ფულით, რომელიც მთავარ-გამგეობას დაპირებული აქვს ტატიანას კომიტეტისგან. იმავე სხდომაზე შესდგა დაახლოებული ხარჯის აღრიცხვა 10 ბავშვის შესახად თავშესაფარში და მართლაც გაცილებით მეტი გამოვიდა 4500 მანეთზე. იმ იმედით, რომ მთავარ-გამგეობა კომიტეტისგან გამოითხოვდა ზედმეტს კრედიტს, გამგეობამ დაადგინა ხარჯთ-აღრიცხვა გამოცხადების რეგისტრში მეორე-მესამე დღეს. პირველი დადგენილება გამგეობის სახლის შესყიდვის შესახებ მაშინვე წერილით შეატყობინე ჩვენს თავმჯდომარეს, რადგან მე ბათუმიდან უნდა წავსულიყავ ჩუთაისს და სოხუმს, სადაც ორს კვირამდე მომიხდებოდა დარჩენა, და ვთხოვე, რომ მთავარ გამგეობას შესთავაზო პასუხი მიეცა ბათუმის განუყოფლებისათვის.

როგორც ზევით მოვიხსენიე, ბათუმის განუყოფლების გამგეობის უკანასკნელს დროს ძალიან წარმართულა ხელი ნივთიერად. ამ წლის პირველს იანვარს ქვინია ნაღდად 16974 მან. ამას გარდა იანვარში ნინობა დღეს შემოსვლია კიდევ 10000 მანეთამდე. სამწუხაროდ, სახეგარეშო დაფთვები გამგეობას ისე არ ქვინია ნაწარმოები, როგორც ვადრება ამოდება თანხის პატრონს საზოგადოებას. განუყოფლების დაფთვის მიხედვით შეუძლებელია კაცმა წარმოიდგინოს მის თანხების და შეძლების მდგომარეობა. მაგალითად, დაფთვადგან შეუძლებელი იყო გამგეობა რაოდენი ქვინდათ ნაღდად კასში, რაოდენი ინახებო-

და ბანკში, რა დინარს სკოლის შენობა, რა დირეგულაციისა სკოლის მოწოდებლობა და სხ. იმისთანა დიდი ჯამი შემოსავლისა, როგორცა დეკემბერში გამართულის „ფინანს-ჩაის“ შემოსავალი—11937 მან.—და იანვრის ნინოების შემოსავალი—10000 მანგ-თამდე—ჟერ არ იყო დაფთავში გატარებული. ამას იმითი ხსნის გამოკება, რომ ნამდვილად ჟერ არ არის გამოკრეველი უველა ხარჯები, არც ზოგიერთი რამ შემოსულის მთლად და ამიტომ არ ჩაგვიწერია. ამასზედ შე გავუმარტე, რომ უოველი თუელი შემოსვლისთანავე დაფთავში უნდა იწერებოდეს მიუხედავად იმის წმინდა შემოსავლის იგი თუ არა. თავის დროზე გადაუხდელი ხარჯა მერეც შეიძლება გატარებულ იქნას გასვალში—მეტეი. საჭიროა ბათუმის განყოფილებასაც დაევალოს აწარმოვოს უთუოდ თრმაცის ბუნ-ჭაღტერიის წესით შემოსავალ-გასვლის ანგარიში და ამიტომ გაკვზავნოს აქედან შესაფერი დაფთავი დარეგებიტურთ.

ბათუმის განყოფილების ზრუნვის ერთად ერთი საგანი არის სკოლა, რომელშიც, როგორც ზევით მოვიხსენიე, ომის დაწყებისას მეტადინეობა შესწავლა და განახლდა სწავლა მხოლოდ ერთის წლის შემდეგ. მაგრამ ეს განახლება უფრო ახლად გახსნას ჰგავს, რადგან მხოლოდ ერთს განყოფილებაში მოხერხდა სწავლის დაწყება. 1916 წლის ენკენისთვეში გაიხსნა მეორე განყოფილებაც და ამინად დღეს ბათუმის სკოლა შესდგება ორის განყოფილებისაგან. პირველს განყოფილებაში ასწავლის მ. ლომინაძის ქალი, მეორეში ალ. მგელაძე. გალობას ასწავლის ცალკე მასწავლებელი ი. კაღნაძე. I განყოფილებაში სიით ითვლება 48 მოწაფე, მეორეში 28 მოწაფე. I განყოფილების 48 მოწაფეში 30 ვაჟია (2 მამამადანი) და 18 ქალი (5 მამამად.). II განყოფილების 28 მოწაფეში 17 ვაჟია (2 მამამად. და 11 ქალი (4 მამამად.). სულ ორსავე განყოფილებაში 76 მოწ. (13 მამამად.), ამოთში 47 ვაჟი (4 მამამად.) და 29 ქალი (9 მამამად.).

ამ სასწავლო წელს თებერვლის ათამდე გაუვლიათ: 1 განყოფილებაში—ქართულში დელა-ენა I ნაწ. თითქმის მთლად (?), რუსულში დაუწყევით ლექსითურად ენის შესწავლა, ანგარიშიში ოცის ფარგალში მიმატება და გამოკლება, ხოლო ათის ფარგალში ოთხი-ვე მოქმედება, საღვთო სჯულში უმარტივესი ლოცვები და დღესასწაულები. II განყოფილებაში—ქართულში დელა-ენა 2 ნაწ. 105 გვერდამდე, რუსულში Русское Слово, I ნაწ., 74 გვერდამდე (книга-მდე), ანგარიშიში ასამდე ვეველა მოქმედება, საღვთო სჯულში ახალი აღთქმა (?) ქართველების მონათვლამდე.

მოწაფეები საზოგადოდ მკვირცხლად და შეგნებულად იძლეოდნენ ზასუსს; მხოლოდ ცუდს ჩაბეჭდილებას სტოკებდა არა იშვიათი შემდარი ზასუსები და შემცდარი კითხვა წიგნისა. ამის მიზეზი, უეჭველია, უნდა იყოს ის გარემოება, რომ, როგორც საკლასო ურნახლოთგან ჩანს, მოწაფეებს რეგინად არ უფლიათ გაკვეთილებზე, რადგან ბათუმშიაც მოდებული უოფალი მოარული ავადმყოფობანო. თვით იმ დღეს, როდესაც შე ვიუუ სკოლაში (9 თებერვალს) პირველს განყოფილებაში აკლდა 10. მოწ. (ერთს მესხუთედზე მეტი).

მიწათმოქმედების ნაწარმებს შედარებით ანა უჭირს-რა. შესამჩნევია ის ანის, რომ მეორე განყოფილების მიწათმოქმედები, წინააღმდეგ მიღებული წესისა, ადრე შესდგომიან ცაკრულის ხელით წერას ბეჭდურის მაგიერ და წარმატებითაც შეუთვისნიათ ეს ხელო.

ბათუმის სკოლის თანდაყოლილი ნაკლებუფერობა დღესაც ისევ ის ანის, რაც უფროსების უფროსია. ეს ანის მაკმადიანთა მცირე რიცხვი მოსწავლეთა შორის—76-ში 13 ანუ 17 პროც. ნუგეშად მხოლოდ ის ითქმის, რომ წინა დამაზე ნაკლებიც უფროსია.

დ. კარიკაშვილი

31 მარტს 1917 წ.

# მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

ქ. შ. წერა-კითხვის გაშავრცელებელის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების შესახებ.

ქუთაისის განყოფილება დაარსებულია 1909 წ. და დღეს შესდგება 526 წევრისგან. უმთავრესს თავის საზრუნავად განყოფილების გამგეობას გაუხდია წიგნების გამოცემა-გავრცელება და ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნა. სკოლების გახსნისათვის ჯერ არ მოუკიდია ხელი, მაგრამ განუძრავს მომავლის წლიდგან ამ საქმის დაწყებად. თავის მიზანსა გასახორციელებლად გამგეობას შეუძენია სტამბა, მოუწევია წიგნების გავრცელების საქმე, აუღია თავის სახელზე ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნის ნებართვა და უძღვევია დახმარება ამ ბიბლიოთეკა-სამკითხველოების შემნახველის წრეებისათვის წიგნებით თუ ფულით. უველა ამას, რასაკვირველია, უნდა სახსარი და ამიტომ სახსრის შოვნაც ერთს უმთავრესს საზრუნავად გაუხდია. გასულს 1916 წელს კასის შემოსავალი ჰქონია 23,525 მან. 72 კაპ., გასავალი 21,227 მან. 83 კ. ხოლო განყოფილების ქონების ბალანსი უდრიდა 33,265 მან. 72 კ. ●

განყოფილების გამგეობის სსდმთა ოქმების გაცნობამ დამარწმუნა, რომ გამგეობა შეძლებისამებრ შრომობს და ცდილობს ნაკისრის საქმის რიგიანად გაძღვას და წარმართვას. ვნახე მხოლოდ ოქმების წერილმანი ფორმადი ნაკლებუკანბანი, რომელთა შესახებ ჩემი აზრი და შენიშვნები გაუუზიარე გამგეობას საგანგებოდ გამართულს სსდმთაზე და გამგეობამაც მიიღო მხედველობაში. არ დამაკმაყოფილა. მხოლოდ ანგარიშის წარმოებაში, რომელიც მითხროვს შეცვლას და გაუმჯობესებას.

განყოფილებას არ მიუღია სახელმძღვანელოდ დაუთრის ის ფორმა, რომელიც მთავარ-გამგეობამ დაუგზავნა უველა განყოფილებებს და უწარმოებია უბრალო შემოსავალ-გასავლის დაუთარი. ამიტომ შეუძლებელია განყოფილების ანგარიშების მდგომარეობის ადვილად გაგება და გამორკვევა უოველს დროს და არც წლიურის ანგარიშის და ბალანსის შემოწმებას საადვილო, მე ვნახე 1916 წლის კასის შემოსავალ-გასავალი და ბალანსი, მაგრამ ის რაც უფრო მაინტერესებდა, სახელდობრ, განყოფილების შემოსავალ-გასავლის ანგარიში, ვერ ვნახე შედგენილი. კასის შემოსავალ-გასავლის ანგარიში ვერ დაიტერს განყოფილების შემოსავალ-გასავლის ანგარიშის ადგილს. მაგ. 1916 წლის კასის შემოსავალში ნაჩვენებია სტამბის შემოსავალი 11,792 მან. 23 კ., ხარჯები კი 13,149 მან. 75 კ. გამოდის თითქოს სტამბას ჰქონებოდეს ზარალი 1357 მან. 52 კ. ნამდვილად კი, როგორც გამგეობაში გამოირკვა და ბალანსითგანაც ჩანს, სტამბას მოგება ჰქონია. ეს

შოკება გი არსდა ჩანს ცალკე შემოსავალში. კასის შემოსავალში მოხსენებულა წიგნების გაუიღვითან შემოსულად 990 მან. ეს ჯამი უნდა შესდგებოდეს ორის ციფრისაგან: წიგნების დაბეჭდვის ღირებულობისაგან და ზედმეტის ფასისაგან, რაიცა მოკებულ იწოდება. ამიტომ ეს ორი ჯამი ცალ-ცალკე უნდა იყვეს ნაჩვენები. აგრედვე ხარჯად არის ნაჩვენები წიგნების გამოცემასზე და გავრცელებასზე 1033 მან. 53 კ. წიგნების გამოცემასზე დახარჯული ფული დასაბრუნებელი ფულია და ანაზღაურდება გაუიღვის დროს, წიგნების გაუიღვის ან გავრცელების ხარჯი კი აღარ დაბრუნდება და ტვირთად დააწვება მოკებას, ამიტომ ეს ორგვარი ხარჯი—გამოცემისა და გავრცელებისა—არ უნდა იყვეს ერთმანერთში არეული და ცალ-ცალკე უნდა იყვენ ნაჩვენებნი. აგრეთვე ბაღანის აქტივში ნაჩვენებია ერთად წიგნების გამოცემისა და გავრცელებასზე დაბანდული ფული 1477 მან. 63 კაზ. ესეც გაუგებარია, რადგან ქნებად ჩათვლება მხოლოდ გამოცემასზე დაბანდული ფული, გავრცელებასზე დაბანდული კი ნამდვილი დაუბრუნებელი ხარჯია.

ამისთანა არეულობის ასცილებლად საჭიროა, ქუთაისის განყოფილებაში მიიღოს იმნაირისავე ფორმის დავთარი, როგორც მთავარ-გამგეობას აქვს და იმნაირადვე შეადგინოს ხოლმე წლიური ანგარიშები, როგორც მთავარ-გამგეობა ადგენს. ამისთვის კი აუცილებელია განსაკუთრებულს კაცის ყოფა. ამ კაცს შეუძლიან განყოფილების საკანცელარიო საქმეებიც აწარმოვოს. კაცის მოწვევა, მართალია, ხარჯს გამოიწვევს, მაგრამ სამაგეოროდ წესიერება მეტი იქნება და განყოფილების მოქმედებაც განხვედლება სხვა საქმეთაგან თავისუფალს ადამიანის შრომით.

მთავარ-გამგეობისა და განყოფილებათა ანგარიშების ერთგვარად წარშობება კიდევ იმისთვის არის საჭირო, რომ მთავარ-გამგეობას ჭქონდეს საშუალება ადვილად შეადგინოს ხოლმე მთელის საზოგადოების საერთო შემოსავალ-გასავლის ანგარიში და მის ქონების საერთო ბაღანსი. ტერმინოლოგიაც უნდა ერთნაირი იყვეს მიღებული თანხების და ანგარიშების აღსანიშნავად. მაგ. ქუთაისის განყოფილების ბაღანის ზსივში მოხსენებულა სპეციალური კაპიტალი 7436 მან. 51 კ. მე დაფინტურესდი, რა სპეციალი თანხა უნდა ყოფილიყო ეს კაპიტალი და აღმოჩნდა, რომ ეს თანხა უოფილს სრული საკუთრება განყოფილებისა და არავითარი სპეციალი დანიშნულება არა ჭქონია გარდა განყოფილების საქმეთაგან მოხმარებისა. მთავარ-გამგეობის ანგარიშების ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ის უოფილს განყოფილების სახარჯო თანხა.

1916 წლის ანგარიშში მე ვერ ვხევე შემოსავალში ის ათასი მანეთი, რომელიც მთავარ-გამგეობაში მიიღო კოსტავს ანდერძით და სცნო ქუთაისის განყოფილების შემოსავლად, ხოლო რადგან ქუთაისის განყოფილებას ემართა თავის შემოსავლის საპროცენტო გადასახადი, ეს ფული ვალში ჩაუთვალა. ამიტომ ქუთაისის განყოფილების გამოცემასაც ეს ფული უნდა შეეტანა შემოსავალშიც და გასავალშიც. ამაზე გამოცემაში ზსიუსად მომცა, არ გაკვირია მთავარ-გამგეობის აგრეთი დადგენილება, თორემ აგრე მოგიქცევოდითო. ამის გარდა იმავე შემოსავალ-გასავლის ანგარიშში არ არის არავითარი კვალი იმისი, რომ ქუთაისის განყოფილება იხდის ან ვალად სცნობს იხადოს შემოსავლის პროცენტი, რადგან ასეთი გადასახადი, რაკი არ გამოეუზახნიათ მთავარ-გამგეობისთვის, ვალად მანც უნდა ჩაეწერათ. ლაპარაკის დროს გამოირკვა, რომ გამოცემა ჯერ კიდევ არ შერიგებია იმ აზრს, რომ განყოფილებანი მოვალენი არიან იხადონ 10 პროც. უოველეგარის წმინდა შემოსავ-

ლითგან, გარდა საგანგებო დანიშნულების შქანე შემოსულისა. შე ეს გავეშარტე გამგეობას და დამპირდნენ მოვალეობის შესრულებას.

ქუთაისის განყოფილებას ჰქონია სულ 39-მდე ბიბლიოთეკა-სამკითხველო, მათ შორის ქუთაისში საში. როგორც უველგან ისე ქუთაისში ბიბლიოთეკა-სამკითხველოები მხოლოდ სახელით არიან განყოფილებისა, თორემ მათი ნამდვილი პატრონები და მზრუნველები ცალკე წრეებია, რომელთა თაოსნობით და ხარჯით ინახებიან ისინი. განყოფილება სახელის გარდა აძლევს მდიროვალს დახმარებას წიგნებით თუ ფულით და საზოგადოებრივ მოვალეობას უწევს. გასულს 1916 წელს ბიბლიოთეკებზე გამგეობას დაუხარჯია 399 მან. 35 კ. 14 თებერვალს დავათვალიერე ქუთაისის სამივე ბიბლიოთეკა-სამკითხველო და ვაჩვენე შემდეგი.

ა) შოთა რუსთაველის სახელობის ბიბლიოთეკა-სამკითხველო მოთავსებულია ბაქახანის ქუჩაზედ ერთს საკმაოდ დიდს ოთახში, რომელშიც ჭირად იხდიან თვეში 15 მან. ბიბლიოთეკას ჰყავს გამგე ქალი, რომელსაც აძლევენ ჯამაგირად თვეში 15 მან. სამკითხველოს მოსდის საკმაოდ ბევრი ჟურნალ-გაზეთი, როგორც ქართული ისე რუსული, სახელდობრ: განათლება, ზვართი, თანამედროვე აზრი, თეატრი და ცხოვრება, მეცობარი, ნაკადული, სამშობლო, სასოფლო გაზეთი, საქართველო, სახალხო გაზეთი, ჯუჯილი, Баку, Зак. Рѣчь, Кавк. Телеграфъ, Огонекъ, Петрогр. Вѣдом. Русскія Вѣдом. და Русское Слово. ამთში ზოგი მუქთად მოსდით, ზოგი ფასით. ბიბლიოთეკას ჰქონია 862 ქართული და 492 რუსული წიგნი. ამთგან ხმარებაშია მხოლოდ უდიანი წიგნები: 568 ქართული და 404 რუსული. წიგნებიც ზოგი ნაყიდა, ზოგი შემოწირული.

გასული წლის გამავლობაში სამკითხველოში შესულა საკითხავად 8452 დღიური მკითხველი, თითქმის სულ მოწაფეები. შინ წაუღია საკითხავად წიგნები 102 მკითხველს. ესენიც უმეტესად მოწაფეები ყოფილან.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოს აქვს შემდეგი დავთრები: 1) საინვენტარო კატალოგი; 2) ლიტერატურის კატალოგი, 3) შიგ მკითხველ. დავთარი და 4) წიგნ. შიგ წამდებთა დავთარი.

სამკითხველოს კედლები მორთულია მწერალთა სურათებით. სამკითხველო დია დღისით და საღამოთი. ბიბლიოთეკის შემსახველს და მზრუნველს წრეს გასულის წლის გამავლობაში უმოგია 670 მან. 61 კ. წინა წლიდგან ნაშთიც ჰქონია 282 მ. 45 კ., სულ ერთად 953 მან. 06 კ. ბიბლიოთეკა-სამკითხველოზე დაუხარჯია 665 მან. 71 კ. და დარჩენია 1 ანგარს 1917 წლისა 207 მან. 35 კ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველო სტოვებს ადამიანზე დარბის; მაგრამ საკმაოდ რიგონად დაუენებულის ჩაბეჭდილებას. ეტუობა მზრუნველი წრე საკმაოდ მუყაითობას ეწევა და, უკუველია, საგრძნობელი სარგებლობაც მოაქვს ახალგაზრდობისათვის.

ბ) დავით კლდიაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-სამკითხველო მოთავსებულია განაპირა უბანში (საფიჩხიაში) ერთს პატარა ოთახში, რომელშიც ჭირად იხდიან თვეში 8 მანეთს. ბიბლიოთეკას ჰყავს გამგე ქალი, რომელსაც ჯამაგირად აძლევენ თვეში 12 მან. სამკითხველოს მოსდის შემდეგი ჟურნალ-გაზეთები: განათლება, ეშმაკის მათრახი, ზვირთი, თანამედროვე აზრი, თეატრი და ცხოვრება, მეცობარი, ნაკადული, სამშობლო, საქართველო, სახალხო გაზეთი, ცხოვრება და Зак. Рѣчь. წიგნების რაოდენობა არ იცინა,

რადგან საინფენტარო კატალოგი არა აქვთ. აქვთ მხოლოდ ანბანის რიგზე ჩაწერილი წიგნთა სია დაუნუმრავად. წიგნებს სახელში არ აძლევენ საკითხავად და თვით სამკითხველს შიდა შეუძლებელია მათი ხმარება, რადგან უსისტემოდ ალაგია თაროში. გამგის თქმით დასჯილებით 400-დე წიგნი ექნებათ ქართულსა და რუსულს ენაზე. უმეტესობა, მისი თქმით, ქართული უფილია. სამკითხველში რავდენიმე სურათი ჰქონია. ღია დღისით 9 ნახ. ს. 1 ნახ. ს. და საღამოთი 5—8 ს.

ბიბლიოთეკა-სამკითხველს ინახავს ცალკე წრე, რომელსაც ჯერ ვერ მოუწევია საქმე, თუმცა, მოქმედება დაუწევია 9 ივნისს 1915 წლის. ვერ შევიტეო რა შესაძლებლისა ეს წრე, რადგან არც შემოსავალ-გასავლის დაუთარი დამხვდა სამკითხველში არც გამგე ქალმა იცოდა რამე ამისი.

გ) აკაკის სახელობის სამკითხველო მოთავსებულია აკქედის გორასზე, ერთს ბუტაკა ოთახში, რომელშიაც ჭირად აძლევენ 5 მანეთს. სამკითხველს ჭეავს გამგე, რომელიც დებულებს ჭაბუკიარად თვეში 12 მან. სამკითხველს მისდის შემდეგი ჟურნალ-გაზეთები: განათლება, ეშმაკის მათრახი, თანამედროვე აზრი, თეატრი და ცხაგრება, მეგობარი, ნაკადული, სამშობლო, სასოფლო გაზეთი, საქართველო, სახალხო გაზეთი, ჟუჟილი, Зак. Рѣчь, Нива და Русское Слово. საკითხავი წიგნები სამკითხველს სრულებით არა აქვს. ღია მხოლოდ საღამოთი 4—8 საათამდე. ეს სამკითხველს ინახება ცალკე წრის ხარჯით. სამწუხაროდ, არავითარი დაუთარი არ დამხვდა სამკითხველში, რომ გამგეც ამ წრის ავლა-დიდება და განძრახვანი.

თქმა არ უნდა, რომ ჟურნალ-გაზეთების მიწოდებაც კარგი საქმეა და ამისთვისც უნდა მადლობელი ვიუგეთ იმ წრეებისა, რომელთაც თავს უღვიათ კლდიაშვილისა და აკაკის სამკითხველოების დაარსება და შენახვა, მაგრამ მაინც არ შეგვიძლიან არ შევნიშნათ, რომ ამ კეთილს საქმესთან, თუ მოინდომებდნენ, უფრო ადვილად მოახერხებდნენ მეორე უფრო კეთილს საქმეს—წიგნების კითხვის წუურვილის დაკმაყოფილებას. რაკი გაუჩინათ ბინა და უშოფიათ ადამიანი, რომელიც განსაზღვრულს დროს სწირავს საქმეს, წრეებს შეეძლოთ მოეწყოთ წიგნების კითხვა სამკითხველში და სახელში საკითხავად ძლევა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, ესეთი განძრახვა ექნებათ ხსენებულს წრეებს და, უეტველოა, ქუთაისის განყოფილების გამგეობა დახმარებას გაუწევს მათ, რაც შეიძლება მალე მოაწუონ ეს საქმე.

დ. კარიჭაშვილი

9 აპრილს 1917 წ.

